ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი 28 დეკემბერი 2020 №1 (3521) | ფასი 50 თეთრი


## ჯამი ჭურჭელია

ერთხელ, სიტყვამ მოიტანა და, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა საუბრისას მითხრა, სპორტი ჭადრაკია, ფეხბურთი და ნავთობი - პოლიტიკაო. მე კი მგონია, რომ ჭადრაკიც პოლიტიკაა.
სპორტის, ხელოვნების და პოლიტიკის კავშირი ჩვენთან, როგორც წესი, იმ დროს ახსენდებათ, როდესაც რომელიმე სახალხო არტისტი რუსეთში გასტროლებზე მიემგზავრება, საყვარელი სპორტსმენი კი მაინცდამაინც რუსულ კლუბში ამჯობინებს კარიერის გაგრძელებას.
როდესაც ნახევარი საუკუნის წინ საბჭოთა საოკუპაციო ჯარები პრაღაში შევიდნენ და მცირე ხანში ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა შეხვედრისას ჩეხებმა შაიბა რუსთა კარში გაიტანეს, იაროსლავ ჰოლიკმა ყვანჯი ავტომატივით მოიმარჯვა და საბჭოთა სათადარიგოთა სკამს მიუშვირა.
შეეძლო ასე არ მოქცეულიყო, თავი არ აეტკივებინა. საერთოდაც, იმ ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიელებს შეეძლოთ, ფორმაზე ამოქარგულ სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის გერბზე წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი პლასტირით არ დაეფარათ. კიდევ ბევრი რამ შეეძლოთ, მაგრამ ჩათვალეს, რომ უნდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მოიქცნენ.
ჰოლიკი სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, მაღალი კლასის ჰოკეისტად ცხადია, დარჩებოდა, მაგრამ აღარ იარსებებდა ის ამაღელვებელი ისტორია, რომლის აღქმაც ყველაზე კარგად ჩვენნაირი ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ.
უბრალოდ, სხვაგვარად მოქცევა არ უნდა შეგეძლოს. ესაა და ეს. მეტი არაფერი. არჩევანი კი, ინდივიდუალურია.როდესაც 2008 წლის აგვისტოში გაზეთის ნომრებს ვაწყობდით, არ შეგვეძლო, მშვიდად გაგვევსო გაზეთი სპორტული ინფორმაციებით და გვეთქვა, რომ სპორტი და პოლიტიკა უნდა გაიმიჯნოს. ამ რწმენით გაკეთდა ის პირველი გვერდები, რომლებსაც აქ ხედავთ.
თავს ნუ მოვიტყუებთ.
ჯამი ჭურჭელია.
რუსეთი ოკუპანტია.
სპორტი და პოლიტიკა არ იმიჯნება.

გიორგი დარჯანია

# 30 წელი გავიდა

## წინ კი მთელი ცხოვრებაა!

გაცილებით უკეთესი, ვიდრე ამ 30 წლის განმავლობაში გვქონდა: მშვიდობიანი, ლაღი, პერსპექტივიანი! უბრალოდ, თეთრი და შავი უნდა გავარჩიოთ, მტერ-მოყვარე განვასხვაოთ, ჩვენ-ჩვენი საკეთებელი თითოეულმა შვილებისა და შვილიშვილების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით ვაკეთოთ და მხოლოდ ღმერთისა და საკუთარი თავის იმედი გვქონდეს!

არავინ არასდროს და არაფერს გააკეთებს ჩვენთვის იმაზე მეტს, ვიდრე თავად ულირს, აწყობს.

თუ რწმენით, ურთიერთგატანით, საკუთარი გარჯისა და მარიფათის იმედად ვიცხოვრებთ, უეჭველად მოვა დღე, როცა საქართველოს სპორტსმენები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეტოქეებს სოხუმსა და ცხინვალში უმასპინძლებენ!!!

**ჯანსაღ, ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!**









ეროვნული ბიბლიოთეკა

№1 28.12.1990

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი | ფასი 40 კაპიკი | საქართველოს მენეჯერთა კავშირი

**ნომერში:**


**ჩვენ და ისინი**
„ქართული სპორტის ინტერესები უპირისპირდება... სსრკ-ს ინტერესებს.“
მე-3 გვერდი

**«ნაპოლეონმა» დაიყოლია «კაიზერი»**
გერმანიაში „სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტის დავით კაკაბაძის პირველი წერილი.
მე-4 გვერდი

**ლელა მესხი... ლამაზი საქართველოდან**



ინტერვიუ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელთან
მე-5 გვერდი

**დიდი მოთამაშის ღიმილი**
„აია“ საქართველოს ჩემპიონია
მე-8 გვერდი

**ფლორენსიო კამპომანესი:**
„მე ჭკვიანი ქალები მომწონს“.
მე-8 გვერდი




**«ფეხებში ხელი მოჰკიდა, თავდაღმა დააყირაო, საცეცხლურივით დაკმევა, ოთხკუთხივ დაუპირაო; ამისი მაყურებელი სუყველა გააკვირვაო».**

**აკაკი**

# გამარჯობა, ჩვენო მკითხველო!

ჩვენი საუკუნე სპორტის საუკუნეცაა. სპორტის მნიშვნელობის თვალსაჩინო ზრდის კვალობაზე უფრო და უფრო იკრებს ძალას მისი უმცროსი ძმა — სპორტული ჟურნალისტიკა — ერთდროულად მისი ფხიზელი შემფასებელიც და მეხოტბეც. ახლა როგორც იტყვიან, ინფორმაციული ბუმია და სპორტიც ღირსეულად მიითვლის თავის წილს, წილს, რომელიც განუზრელად იზრდება და უნდა გაიზარდოს კიდეც.

ამ რწმენითა და იმედით გულმოცემულებს, მკითხველთა სამსჯავროზე გამოგაქვს ჩვენი მოკრძალებული ნაშრომი — პირველი ნომერი ახალი, თავისუფალი სპორტული გაზეთისა.

ძვირფასო მკითხველებო, სპორტის გულშემატკივრებო, „სარბიელი“ ჯერჯერობით უცხოა თქვენთვის. მის რედაქციას კი, ესე იგი ჩვენ, გულწრფელად გვსურს იქცეს ახალი გაზეთი თქვენს კეთილ ნაცნობად, მეგობრადაც კი, და ერთმანეთს გულახდილად გავუზიაროთ ჩვენი აზრები, იმედიანი თუ დამაფიქრებელი.

ახალი გაზეთის დაარსება, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს შედარებით იოლად ხერხდება, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. საქმე მარტო საგაზეთო ტირაჟის გაყიდვა — არგაყიდვა როდია, უარეს შემთხვევაში მატერიალურად იზარალებ და ეს იქნება. შეუდარებლად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა მკითხველისა და, ცხადია, ქართული სპორტის წინაშე, რომლის ერთ-ერთი თანამდგომი, იმედი გვაქვს, ჩვენც ვიქნებით. ამ დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ვთავაზობთ ქართველ მკითხველს ახალ გაზეთს და ვიმედოვნებთ, რომ „სარბიელი“ ინფორმაციისა და პერიოდული გამოცემების ამ სიმრავლეშიც იპოვის თავის ადგილს.

რამდენადაც შევძლებთ, სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებსა და სიახლეებზე, ვიქნებით ობიექტურნი.

ოღონდ,

ჩვენს მუშაობაში მთავარი დასაყრდენი იქნება ქართული სპორტი, ისევე როგორც მისი გულშემატკივარი — „სარბიელის“ მთავარი შემფასებელი და... იმედიც.

მაშ, გამარჯობა, ჩვენო მკითხველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმ დღეს ჩვენ გავხდით საქართველო

ილია ბაბუნაშვილი
სარბიელი 30







1994 წლის 12 თებერვალს თბილისში არ იყო ელექტროენერგია, გაზი, ტრანსპორტი, ალბათ ჰაერიც. იტალიურ ეზოებსა და კორპუსებიან კვარტლებში ენთო ბევრი კოცონი, აგურებზე იდგა ქვაბები, რომლებშიც ოჯახები საერთო სადილს ხარშავდნენ. ირგვლივ ყველაფერი გამურული ჩანდა. ჩანდა კი არა, იყო. ქალაქის გასასვლელებში გზებს კეტავდნენ, საბურავებს წვავდნენ. რეიბანიან ახალგაზრდებს ავტომატები ეკიდათ და „შესოტკებით" ერთმანეთის დასახოცად გადაადგილდებოდნენ, ოღონდ... იმ დღეს მე თბილისიდან ძალიან შორს, ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერში ვიყავი.

1994 წლის 12 თებერვალს, ლილეჰამერში, ისტორიაში პირველად, ქართველ სპორტსმენთა გუნდი დამოუკიდებლად გამოვიდა ოლიმპიურ თამაშებზე. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა. მოსკოვს დსთ-ს გაერთიანებული გუნდის შესათითხნადაც აღარ ეყო ძალა. დამთავრდა, იმ დღიდან საქართველო საქართველო იყო! თუკი რომელიმე ქართველი სპორტსმენი ოლიმპიურ მედალს მოიგებდა, წარმატებას უკვე მისი და ჩემი სამშობლო მიითვლიდა. დაჯილდოების ცერემონიალზე მისი და ჩემი სახელმწიფოს დროშას აღიმართება. მის და ჩემს ჰიმნს დააგუგუნებდნენ.

რეალობა კი... როგორ იყო, იცით? როდესაც ჯერ კიდევ 11 თებერვალს პირველი რეპორტაჟის საკარნახოდ(!) ნორვეგიიდან თბილისში, რედაქციაში დავრეკე და ვინ იცის მერამდენე ცდით, როგორც იქნა გავედი, თანამშრომელმა, რომელმაც ყურმილი აიღო, პირველი ეს მკითხა:

— ბიჭო, ადამიანურად იბანავე? ცხელი წყალი შხაპში მოდიოდა?

კი, მოდიოდა. და 11 თებერვალს, დღის 12 საათზე, ლილეჰამერის ოლიმპიური სოფლის ინტერზონაში პირველად აღიმართა საქართველოს დროშა. ნორვეგიელმა ჯარისკაცებმა პატარა მოედანზე ჩამწკრივებულ ფლაგშტოკთაგან ერთ-ერთს ჩვენი შავ და თეთრზოლიანი შინდისფერი ალამი მიამაგრეს და ღირსეულად აწიეს იქ, სადაც ოლიმპიადის მონაწილე სახელმწიფოთა დროშები ფრიალებდა. დინამიკებში ჟღერდა „დიდება". ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ლილეჰამერის მერმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს დელეგაციას — „დობრო პოჟალოვატო" უთხრა...

დრო იყო ასეთი. მერე, ჩვენებმა ყველაფერი აუხსნეს და მეორე დღეს, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა ძნელად გამოსათქმელი სიტყვები „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება".

და მაინც რა დრო იყო... მახსოვს, საქართველოს დელეგაცია ნაქირავებ სახლში ცხოვრობდა და პირველ დღეს უცებ სინათლე ჩაქრა. გაინტერესებთ, რა იყო ჩვენი პირველი რეაქცია? ფანჯრებს მივაწყდით, ქალაქს გავხედეთ: ნეტავ, ყველგან ჩაბნელდა თუ მარტო ჩვენს უბანში?

არადა, დამცველი გამოვარდა. მეტი არაფერი.

დრო... რუსეთის ჯარი დღესაც თბილისთან დგას, მაგრამ სხვა რანგში. მენტალურად ჩვენ და რუსები გაცილებით შორს ვართ ერთმანეთისგან ვიდრე მაშინ ვიყავით. დღეს ქართული გუნდები შეჯიბრებებზე თავიანთი ჩარტერებით, სვლითა და გეზით დადიან, მოსკოვი არც ახსენდებათ, მაშინ კი რუსეთის დელეგაციამ ჩვეულებრივად ჩაგვსვა აერობუსში და ასე ჩავფრინდით ოსლოში. სხვა ვარიანტი მგონი არც არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ბუნებრივი ეს იყო.

ლილეჰამერი 94 — ისტორიული ოლიმპიადა საქართველოსთვის. რა თქმა უნდა ვიცოდით, რომ ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენი სპორტსმენები მედლებს ვერ მოიგებდნენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ახალი დიდი ისტორია იმ დღეს იწყებოდა და მე გამიმართლა, რომ იქ ვიყავი. მე იქ გახლდით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილთან, საქართველოს ტელევიზიის ჟურნალისტ თამარ ბალავაძესთან, „სამშობლოს" რედაქტორ პაატა ნაცვლიშვილთან, რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის წარმომადგენელ დავით კაკაბაძესთან და „ლელოს" რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძესთან ერთად — ასეთი გახლდათ ნორვეგიას მივლინებულ ჟურნალისტთა ჯგუფი, თუმცა ბატონი თენგიზისა და დავითის ფუნქცია ცოტა სხვა იყო. ბატონი თენგიზი საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი, ბატონი დავითი კი გუნდის ოლიმპიური ატაშე გახლდათ.

ხოლო პირველი სპორტსმენი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი გუნდის სახელით სარბიელზე გამოვიდა, სამთო მოთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილი იყო. რომელი ადგილი დაიკავა? აღარ მახსოვს. და ამ წერილისთვის მნიშვნელობაც არ აქვს. ოქროები ქართველებს ზაფხულის ოლიმპიადებიდან არ გვაკლია.

ჯიჯიშვილის გარდა ისტორიულ ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ: ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე, სამთომოთხილამურე ლევან აბრამიშვილი და მოციგავეები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი.

ჯიჯიშვილის ისტორიული გამოსვლის მეორე დღეს კი რედაქციაში ვერაფრით დავრეკე და სატელეფონო ბარათზე დარჩენილი გროშებით შინ, მამაჩემს დავუკავშირდი. სწრაფად, მიყრით ვუკარნახე ჩემი ტექსტი და... თბილისში დაბრუნებულმა გავიგე, რომ უკვე მოხუცებულობაში შემავალ მამას დიდუბიდან დელისამდე ფეხით დასჭირვებია იმ ჩანაწერის გატანა, მეორე დილას გაზეთში რომ მოხვედრილიყო.

თუმცა, ტრანსპორტი რომ არ მუშაობდა, ტელეფონი კი ხან რეკავდა და ხან არა, ეს ზემოთაც მოგახსენეთ. ასე იქმნებოდა დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორია. ნეტავ იცოდეთ, კიდევ რამდენია მოსაყოლი...




ქართველები ლილეჰამერში
მარცხნიდან - ივერი ჭელიძე, ჯანო ბაგრატიონი, ელგუჯა ბერიშვილი, თამარ ბალავაძე, ბეჟან ხურციძე, პაატა ნაცვლიშვილი, ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი ცხოვრების 30 წელი



ილია ბაბუნაშვილი
სარბიელი 30

საღამო იყო. გაბოლილ ოთახში „ფუჯიქსის" გარშემო ვთბებოდით და „დვიჟოკის" შუქზე იატაკს მივჩერებოდით. „დვიჟოკს" ეძახდნენ გენერატორს, რომელიც ბენზინზე მუშაობდა და ჩვენს რედაქციაში მარტო კომპიუტერების ოთახს ჰყოფნიდა. იმ დღეს კი ამ ოთახში დაძაბულობისა და სიგარეტის კვამლისგან ჰაერში ნებისმიერ რამეს დაკიდებდი. დაძაბულობის მიზეზი: რატომღაც დამკაბადონებლის გარეშე დავრჩით. რედაქციაში არ იყო ადამიანი, რომელიც კომპიუტერში გაზეთს ააწყობდა.

დამკაბადონებლებს ახლა გრაფიკული დიზაინერები ჰქვიათ და იერიც დიზაინერისა აქვთ, მაშინ კი ქუჩიდან სამსახურის საძიებლად შემოსულმა ვიღაც ხმაჩახლეჩილმა ჩვენს თანამშრომელს ასე ჰკითხა: კაბადონზე მუშაობ, ძმაო? და ეს კაბადონზე მომუშავეთა საძმო პატარა იყო. დღეს შეუძლებელია დაგჭირდეს და ვერ იშოვო კაცი, რომელიც გაზეთს, ჟურნალს, სარეკლამო ფლაერს, წიგნს ან რაღაც ასეთ პროდუქტს აგიწყობს, მაშინ კი ავტომატს უფრო ადვილად იშოვნიდი, ვიდრე დამკაბადონებელს.

მოკლედ, ვისხედით, ღერს ღერზე ვეწეოდით და გამოსავალზე ვფიქრობდით. ხან ერთს დავურეკეთ, ხან მეორეს, მაგრამ საიმედო არაფერი ჩანდა. ბუნდოვანი პასუხები იყო: რაღაცას ვაკეთებ და თორმეტ საათამდე თუ მოვრჩები, გამომიარეთ, წამოვალ. სტამბას კი თავისი გრაფიკი ჰქონდა. კალკზე ამობეჭდილი გვერდები გარკვეულ დრომდე უნდა მიგვეტანა: ჯერ ოთხი ან რვა, საქმე წინ რომ წაეგდო, მერე კიდევ ოთხი ან რვა, მაგრამ სადღაც დილის ოთხი საათისთვის არ უნდა გადაგვეცილებინა, იმიტომ, რომ სტამბა, თავის მხრივ, გამთენიისას ექსპედიციას ელოდა, ექსპედიციას კი ეს გაზეთები მთელი საქართველოს ჯიხურებში უნდა დაერიგებინა. დაგვიანებულს არ დაელოდებოდა.

ეს ის დროა, სტამბაში გაზეთის გვერდების ერთმანეთში ჩასადებად ქალები რომ მუშაობენ. ანუ, გაზეთს დაზგა კი არ აწყობს და კეცავს, არამედ ამას დევნილები აკეთებენ. ორ მანეთს, კუპონს ან შეიძლება უკვე თეთრს შოულობდა საბრალო ხალხი.

აქ მინდა ერთი რამ განვმარტო: ჩვენ „სარბიელი" ვიყავით, ამიტომ ნომრის ჩავარდნა არ შეიძლებოდა. ეს ტრაგედია იქნებოდა. ჩვენთვის იქნებოდა ტრაგედია, განა სხვისთვის. ამიტომ, ასეთი პრეცედენტი არ უნდა დაგვეშვა.

(ცნობისთვის: „სარბიელი" მკითხველამდე ერთადერთხელ არ მივიდა, როდესაც 2008 წლის 8 აგვისტოს სტამბა დახვდა დაკეტილი).

არასდროს დამავიწყდება, ვზივარ „ფუჯიქსთან" კარისკენ ზურგით და ვფიქრობ, რომ გამორიცხულია „სარბიელს" ნომერი ჩაუვარდეს. რატომ ვფიქრობ ასე? არ ვიცი. ალბათ ყველას ძალიან გვინდა, რომ გამოვიდეს და ეს ჩვენი სურვილები სადღაც „ფუჯიქსის" თავზე იკრიბება. თუმცა არა, „ძალიან გვინდა" სუსტი ნათქვამია.

ვზივარ „ფუჯიქსთან" კარისკენ ზურგით და თანდათანობით ვფიქრობ კი არა, უკვე ზუსტად ვიცი, რომ გაზეთი გამოვა. რანაირად გამოვა? აზრზე არ ვარ!

და უცებ, ჩემს უკან კარის გაღების ხმა ისმის. ყველანი იქით ვიხედებით და ვხედავთ ჩვენს ქუთაისელ მეგობარს, გაზეთ „ბურთი და მოედნის" გამომცემელს, რედაქტორს, სულს, გულს და დამკაბადონებელს ვახო ბზიკაძეს თავისი იმხანად განუყრელი მწვანე პალტოთი. ქუთაისიდან ბადრი კეთილაძესთან ერთად ჩამოსულა რაცხა თავის საქმეზე სულ ერთი თუ ორი დღით. ჩამოსულან ბიჭები და პირველი ის უფიქრიათ, მოდი ჯერ „სარბიელში" მივიდეთ, მოვიკითხოთ, როგორ არიანო.

ხომ ვამბობდი! წამოვხტი ღრიალით, რომელიც ვერავინ გაიგო, იმიტომ რომ ყველა რაღაცას ღრიალებდა.


სარბიელი
იუბილარი
10
წლის არის!
„სარბიელი" ჩვენი გაზეთია!

## ნუნუ

1992-93 წლებში, უშუქობისას, „სარბიელი" გიორგი ოქრომჭედლიძის მოტანილი ნავთქურით (კერასინკა) თბებოდა. სტატიას დავწერდით, ხელები მოგვეყინებოდა და ეგრევე ნავთქურის გარშემო ვიკრიბებოდით და ვთბებოდით...

დეკემბერია, ყინავს, კერასინკა ბოლავს, მაგრამ ათბობს! შემოვიკრიბეთ გარშემო:

- უჰ, როდის მოვა ზაფხული-ოცნებობს მეძველია - ჩემს შორტებს რომ ჩავიცმევ და გავინავარდებ!

- აბა. აბა - კვერს უკრავს მე ეგრევე გუნდების „ზბორებზე" რო გავიქცევი და სტატიებს დავწერ!

- აუჰჰ, ცივ „პივას" რომ ამოეიტანთ - ნერწყვს ყლაპავს მიგრიაული...

და უცებ...

- რა ზაფხული აგიტყდათ, მზე რო დააჭერს, ოფლი რომ წამოგივა და აშხელა ფოტოაპარატი უნდა ათრიო - ჩაგვაშხამა ოცნებებში გია ფოტოგრაფმა, იგივე ნუნუმ...



მამუკა ქვარაცხელია

# ნონა!

# ქართული სპორტის დედოფალი

## სარბიელი 30

დიდი პატივისცემით ვულოცავ „სარბიელს" 30 წლის იუბილეს. ვულოცავ გაზეთს, რომელიც ხალხს უყვარდა და რომელსაც ხალხი ყოველ დილით ელოდა.

ცხადია, ველოდი თავადაც რადგან ვიცოდი, რომ ყველა სპორტული მოვლენა ობიექტურად და მაღალპროფესიულ დონეზე იქნებოდა განხილული. თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციაც კი მაღალ დონეზე მოგვეწოდებოდა. პოპულარობით „სარბიელს" ბევრი ვერაფერი გაუტოლდებოდა.

გილოცავთ!

ნონა გაფრინდაშვილი




და იმ დღეს გაზეთი გამოვიდა.

ვახო და ბადრი კი შემდეგ თბილისში გადმოსახლდნენ და მრავალი წლის განმავლობაში „სარბიელის" ბურჯები იყვნენ.

ალბათ შეამჩნიეთ, რომ ეს წერილი, რომელიც, თუ არ მოგბეზრდათ და ჯერ კიდევ კითხულობთ, ძალიან სუბიექტურია. წესით, თანმიმდევრულად უნდა მომეყოლა, როგორ ვცხოვრობდით და ვმუშაობდით იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გაზეთი „სარბიელი" გვერქვა, მაგრამ გრძნობებს ვერ ვუმკლავდები და ვიწყებ იმ შორეული დილით, როდესაც ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში ვგრძნობდი, რომ რაღაც მიხაროდა. უცებ მივხვდი: ახლა ხომ ავდგები და „სარბიელში" წავალ. მაშინ 26 წლისა ვიყავი და გავაცნობიერე, რომ დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე ბედნიერი ვიყავი, რადგან მათგან განსხვავებით სამსახურში წასვლა მიხაროდა. და ეს ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი სპორტული გაზეთის პირველი შემადგენლობის ზურა ფოცხვერიას, ელგუჯა ბერიშვილის, გოგი ქორქიას, შალვა შალოლაშვილის, გია ახალაძის და ზაალ გიგინეიშვილის დამსახურება იყო. მათ შექმნეს ისეთი სამყარო, რომ მე ყოველ დილით თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი საბურთალოზე, კოლეგის, ალა ზენკოს ბინაში, სადაც „სარბიელის" პირველი ნომრები მზადდებოდა.

მე ამ გაზეთში მეორედან თითქმის ბოლო ნომრამდე ვიყავი და პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ჩემი ცხოვრების ბედნიერი წლები იყო.

თავს ვერ დავდებ, რომ ყოველ დღეს, თვესა და წელიწადს ზუსტად ავადგენ და ამიტომაც ვამბობ, რომ ეს წერილი „სარბიელის" ქრონიკებად არ გამოდგება. უფრო ერთი კაცის ემოციური ამოძახილია. ქრონიკები რომ იყოს, იმ პირველი ნომრების შემდეგ წესით, თბილისის ომის პერიოდზე უნდა ვყვებოდე, რის მერეც ქვეყანაში საგაზეთო ქაღალდი გამოილია(!), კიდევ ბევრ სხვა ასპექტში სახელმწიფო თავზე დაგვემხო და „სარბიელმაც" არსებობა შეწყვიტა, მაგრამ გავიდა არცთუ დიდი ხანი და ისევ აღდგა. ჯერ ჟურნალი „გოლი" გამოდიოდა, მერე კი თავად „სარბიელი".

> „აქ მინდა ერთი რამ განვმარტო: ჩვენ „სარბიელი" ვიყავით, ამიტომ ნომრის ჩავარდნა არ შეიძლებოდა. ეს ტრაგედია იქნებოდა. ჩვენთვის იქნებოდა ტრაგედია, განა სხვისთვის. ამიტომ, ასეთი პრეცედენტი არ უნდა დაგვეშვა."

რა მახსენდება, იცით? აი, „ძმებ ბლუზებში" ელვუდი და ჯეიკი თავიანთ ყოფილ მუსიკოსებს რომ დაივლიან, ბენდი აღვადგინოთო და ზოგი ოჯახს რომ ტოვებს ცივად, ზოგი მაღაზიას, ზოგი ბარს, ზოგი რას და ზოგიც რას.

მეც რაღაც სამსახურიდან წამოვედი.

მერე მახსოვს ჩემი და ზურა მეძველიას სტუმრობა „ბანი და კომპანიაში" „ლინფილდის" სკანდალთან დაკავშირებით. ინტერვიუ ჩავიწერეთ. იმ ამბის დეტალებს ამ წერილში მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ერთი კი ფაქტია: მართალია, საბჭოთა ცენზურა აღარ არსებობდა, მაგრამ იმ პერიოდის ხალხი თავისუფალი სიტყვისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს გახლდით და როდესაც „სარბიელმა" პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა სათაური „ქრთამი თუ შეთქმულება?", ჰაერი და მიწა ერთად იძრა.




სიტყვა ქრთამი? პირველ გვერდზე? ამხელა ასოებით? ეს შეიძლება?

არა, არა, მე ნამდვილად ვერ მოვთვლი, რამდენი რაღაც დაგვხდენია ანდა რამდენი რამ მოგვიფიქრებია. იმასაც კი ამბობდნენ, „სარბიელის" ენა არსებობსო და ზოგს ქართული მიწიდან ამოზრდილი მადლიანი სიტყვების სპორტულ ტექსტებში ხსენება აღიზიანებდა. გეგონება, სპორტული ტექსტი აუცილებლად შაბლონური და ტექნიკური უნდა ყოფილიყო, თითქოს ხაზი უნდა გაესვა, რომ სპორტი განათლებული და კულტურული ხალხისთვის არ არის.

მე კი ვამაყობ, რომ „სარბიელმა" ქართულს როგორც შეძლო, მოუარა, ურთულესი პერიოდი თავისი წილი სიყვარულით გამოატარა და დღეს ამ ნაღოლიავებ დედა-ენას ინტერნეტი თუ არ დაამახინჯებს, კარგი იქნება.

მაგრამ, ისევ სხვაგან წავედი. ვერა, ვერ ვწერ იმას, რისი დაწერაც მინდოდა. ვერ აღვწერ იმ უნიკალურ სამყაროს, რომელიც „სარბიელში" წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და რომელმაც განაპირობა კიდეც ამ გაზეთის სული. ვერ ვხატავ იმ არაფორმალურ გარემოს, რომელიც სამეგობროს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე სამსახურს და ამიტომ, თითქოს საქმისთვის ხელი უნდა შეეშალა, მაგრამ საოცარიც ის იყო, რომ არ შეუშლია. იერარქია? იყო და არც იყო. საძმაკაცო? იყო, მაგრამ საქმე მეორე პლანზე არ გადასულა.

და „სარბიელში" ყოველთვის მუშაობდნენ არაჩვეულებრივი ქალბატონები.

„სარბიელში" მისი არსებობის განმავლობაში ოთხი ოჯახი შეიქმნა.

სარბიელელებს გამოგვაკლდნენ ნოდარი, გიორგი, ბაჩო, ლადო, გია, გურამი, ავთო, კახა.

და მე ამ ყველაფერზეც მინდოდა მელაპარაკა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

წლეულს, 28 დეკემბერს „სარბიელის" პირველი ნომრის გამოცემიდან 30 წელი გავიდა. აქედან, ბოლო 11 წელი, გაზეთის გარეშე.

ეს, 11 წელიწადი ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი იყო, რაღაც ჯადოსნურის მონატრებით სავსე.



სარბიელელები 10 წლის იუბილეზე

# მადლობა, რომ ჩვენს გვერდით იყავით!

დიდი მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ 30 წლის განმავლობაში, „სარბიელის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან დღევანდლამდე, უდანაკარგოდ მოვიდოდით და გზადაგზა მეგობრები არ გამოგვაკლდებოდნენ.










უსაშველოდ დიდი დროა 30 წელი, მთელი თაობებია. ჯერ სპორტული ჟურნალისტიკის მეტრმა - **ნოდარ გუგუშვილმა** დაგვტოვა, შემდეგ უნიჭიერესმა **გიორგი ჩოჩიშვილმა...** და უბედურება ისიცაა, რომ მათ შემდეგ სწორედ იმ თაობის ბიჭები გამოგვაკლდნენ, ყველაფერი წინ რომ ჰქონდათ. გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ ყველაფერი წინ ჰქონდათ. ხარივით ღონიერი და სნეულებასთან ბრძოლაში კორიდაზე ხარივით წაქცეული **ლადო ხომერიკი**. **ბაჩო სვანიძე**, რომელმაც 30 წელიწადში სხვების ბარე სამი სიცოცხლე ჩაატია. მერე **გია ბერიკაშვილი**, ჟურნალისტი, ექიმი და მეზღვაური, ბაჩოს გასვენებაში მასზე დაწერილი ლექსი რომ წაგვიკითხა და თავადაც მალე დაგვემშვიდობა. **გურამ დოლენჯაშვილი**, სტადიონზე, თამაშის გადაღებისას, განუყრელი ფოტოაპარატით ხელში რომ წაიქცა და რამდენიმე დღეში აღარ იყო. უვერაგეს დაავადებასთან დამარცხებული **კახა შალამბერიძე**. ბოლოს სპორტის მემატიანე, ფოტოგრაფი და მთამსვლელი **ავთო გურასაშვილი**. მადლობა, რომ ჩვენს გვერდით იყავით!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინისძვრის დღე სარბიელში






დავით გულუა
სარბიელი 30

თამაზ მიგრიაულს კორექტურა შემოუტანეს, თვალი სწრაფად გადაავლო, ამოიოხრა და მორიგ სიგარეტს მოუკიდა: წერილს ნაჩქარეობა ეტყობა, საკმაოა საჩეხი და სამარგლი, უსიგარეტოდ არ გამოვა.

„სარბიელის" მორიგი ნომერი მზადდება და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იქნებ ეს არის: მასალის საბოლოო, დაუწერელ, მაგრამ სარბიელელთა გონებაში მყარად გამჯდარ სტანდარტზე მორგება. გასული საუკუნის მიწურულის ამბავს მოგახსენებთ. „სარბიელი" კარგა ხანია სპორტული ჟურნალისტიკის მოდის კანონმდებლად იქცა საქართველოში, ფართიც გაეზარდა და ახალგაზრდა, ალბათ პერსპექტიულ ჟურნალისტებს გვიხმეს გაზეთში, ვისაც გვგონია, რომ „სარბიელისთვის" წერა ისეთივე ლალი საქმე იქნება, როგორც მისი კითხვა გახლავთ. აღმოჩნდება კი, რომ თუმცა სკოლაში ნესტან-დარეჯანის და ფატმანის შედარებითი დახასიათება მშვენივრად დაგვიწერია და დაუყვედრებელი ხუთიანებიც მიგვილია, მაგრამ ნამდვილი წურთვნა (ძველქართული სიტყვაა) ახლა იწყება.

რედაქტორი შეუბრალებლად მიჰყვება წერილს სტრიქონ-სტრიქონ და იშვიათად ჟურნალისტსაც უხმობს თავის ოთახში, რათა განუმარტოს, რომ საქართველო - ფიჯის სარაგბო მატჩის კონტექსტში სტუმართა ქვეყნის კანიბალური წარსულის ხსენება სრულიად უადგილო ამბავია.

„ბატონო თამაზ, ველაპარაკე დინო ძოფს" - რედაქტორის ოთახში კობა ინასარიძე შემოდის, ვისი თითო მასალა - თითო დიდებული ექსკლუზივია. საუბარია იმ კურიოზულ შემთხვევათაგანზე, როცა კობამ სასაათე სარტყლებს ანგარიში არ გაუწია და ყველა დროის საუკეთესო მეკარეთაგანი, მაშინ კი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, იაპონიას მყოფი, ღამის სამ საათზე წამოაგდო ლოგინიდან ინტერვიუს ასაღებად.

თუ იცით, რას აკეთებს ამ დროს რედაქტორი, რომელსაც წინ სამიოთხი კორექტურა უდევს და დროც ძლიერ ცოტა აქვს? ფურცლებს გადადებს და კობას უსმენს, შემოსწრებულებთან ერთად (ილო ბაბუნაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, გიო ახვლედიანი, ზურა მეძველია და სხვები, როდის როგორ) განსჯის სიტუაციას და თუ ამ დროს რედაქტორის ოთახში ხარ, გრძნობ, რომ აზრებმა შენს გონებაში საამო დავლური ჩამოიარეს და კრიტიკის მიღებაც ისე ძლიერ აღარ გერცხვინება.

ნახევარი საათი რედაქტორის კაბინეტში, რომელიც უდრის რაგინდარა აუდიტორიებში და უკაცრავად პასუხია, ტრენინგებზე გატარებულ კვირებს - ჩემთვის „სარბიელი" პირველ რიგში ეს არის და მერე სხვა დანარჩენი, დილის თათბირით



თათბირზე რედაქტორთან. მარცხნიდან: თამაზ მიგრიაული, კობა ინასარიძე, ირაკლი ფირაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია ბაბუნაშვილი

დაწყებული და მეორე დილის ხუთ საათზე აწყობილი ნომრის სტამბაში ჩაბარებით დასრულებული.

„თათბირი" - მაინც წამომცდა ეს უგვანი სიტყვა. „პროექტი", „თათბირი", „დედლაინი" და ფუი ეშმაკს, "ბრაინსტორმინგი" გაჭირვების ტერმინებია, როცა საქმის საკეთებლად მხოლოდ ხელფასი თუ წაგახალისებს. ხოლო როცა შენი ხალისი ფეხბურთი და კალათბურთია, ხელბურთი და „ფორმულა - 1", კასპაროვი და „ტურ დე ფრანსი", რაღა თათბირი გინდა მაშინ, დაწერ და რომ მორჩები, მეორე იმდენის დაწერა მოგინდება კიდევ.

„სარბიელის" თათბირები რედაქციის ვიწრო დერეფანში იმართება და სიცილის დიდი აფეთქებები ახლავს თან. ხანდახან დერეფანში მოსმენილს ჩვენი მწერლები (ნამდვილ მწერლებზე მოგახსენებთ) თავიანთ რომანებში მიუჩენენ ადგილს და ასე ჩნდება ამბავი ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებისა, მორიდებული ვაკელი ყმაწვილი ხეზე რომ ააძვრინეს.

დაიძრა კონვეიერი. ხასიათზე მოსული ჟურნალისტები საქმეს შეუდგნენ, ზოგი თამაშზე გავიდა, ზოგი ინტერვიუზე, ზოგიც მუზას ელოდება და მოუთმენლობისგან მაგიდის უჯრაში შემალულ ლუდს ყლურწავს. მოყავს მუზაზე ამ კეთილშობილ სასმელს სხვათა შორის, მაგრამ ყოველთვის არა, ამიტომ შთაგონების ასაძვრელად ქალბატონი ნატრულის კაფეში სადილად ჩახვალ, იქ კი რაღაც გიზიდავს და იქნებ საღამომდეც შემორჩე.

ყოფილა, ყოფილა შემთხვევები... რაც ვერ ამიხსნია, ის არის რომ ნომერი მაინც საუცხოო გამოსულა მეორე დღეს.

საღამოსპირზე რედაქციაში ისევ ხალხმრავლობაა. ბრუნდებიან ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები ეროვნული პირველობის მატჩებიდან თუ სპორტული ბიუროკრატიის ბასტიონებიდან. ზოგი ჩინებულ ხასიათზეა, ზოგი ქუთაისურ კილოზე ბრაზობს: „ეგირა მაყურებიეთ, ბიჭო, ფეხბურთი კი არა, იგი იყო...". ხმაურია ერთი სიტყვით, მაგრამ არის მომენტი,



სარბიელი

ЗРЯ НАДЕЕТЕСЬ
ПОБЕДА
БУДЕТ
ЗА НАМИ!

როცა სიჩუმე ჩამოდგება - ესე იგი მთავარმა რედაქტორმა ჩამოიარა.

მასალა ძალიან სწრაფად გროვდება, კომპიუტერებთან ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარაა და გაზეთის მთავარი „აიტიშნიკი" მამუკა გუბელაძე, ზურგზე ხელებშემოწყობილი, ეჭვიანი მზერით დასეირნობს კომპიუტერებს შორის, რათა გაერკვეს, ახალგაზრდა ჟურნალისტი მასალის ჩასწორებაზე მუშაობს თუ გოგონებს ეარშიყება მაშინდელი მესენჯერით (ICQ ერქვა თუ სწორად მახსოვს). ერთ კომპიუტერთან ტექნიკის შედევრი - სლაიდოსკანერი ზუზუნებს დაბალი ხმით და მილენიალებო, აიფონებზე თითების ცაცუნით რომ გინდათ ჩვენი გაკვირვება, იქნებ სლაიდოსკანერზე იცოდეთ რამე. მე ვიცი და არ გეტყვით - დაგუგლეთ.

ყველაზე მაღალი დისციპლინა ოპერატორ გოგონებში და კორექტორ ქალბატონებში სუფევს. მათთან მასალა არასოდეს დაყოვნდება და შეუფერხებლად მიუვა მთავარ რედაქტორს (იხილეთ წერილის პირველი აბზაცი), რომელიც მისი ყალიბში მოყვანის შემდეგ დამკაბადონებელს მიუჯდება გვერდზე და „სარბიელის" მორიგი გვერდის მორიგ სვეტებს მორიგი ამბით შეავსებს. ხაზი შვეული და ხაზი თარაზული, ჩარჩო დიდი და პატარა, შრიფტი მუქი და ნუსხური - გაზეთის სხეულზე ყველაფერს თავის ადგილი ეკუთვნის და ნებისმიერის არასწორად განთავსება საერთო ჰარმონიას არღვევს, ამიტომ დამკაბადონებლები სხვებზე დიდხანს და დაჟინებით აჩერდებიან კომპიუტერის ეკრანს და მხედველობასაც სხვებზე მეტად იფუჭებენ.

კონვეიერი მუშაობს, გვერდი გვერდს ემატება და იმედი ჩნდება, რომ დღეს სტამბაში ცოტა ადრე გავალთ, მაგრამ ბაც! და შუქი მიდის. მე თქვენ გეტყვით, გასაკვირი ამბავია იმ დროის საქართველოში. დაიკარგა შეყვანილ-აწყობილი მასალის ნაწილი და აბოლდა სიგარეტის რამდენიმე ახალი ღერი რედაქციაში. შემდეგ კი არის გენერატორი, მონიტორების ეკრანებიდან სუსტად განათებული ოთახები და საქმე, რომელიც ისევ ჯიუტად მიიწევს წინ - მეორე დილას გაზეთი მკითხველთან უნდა მივიდეს.

ერთხელ, საუკუნეთა გასაყარზე, თბილისს მიწისძვრები შემოეჩვია. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ნერვები კი დაგვისუსტა. შეგვაქანებდა დღეს, შეგვაქანებდა ხვალ და შენობაში აღარ გინდოდა დარჩენა ადამიანს.

ახლაც ღრმა ღამეა, რედაქციაში ვართ და აქანავდა ნათურები. გასაქცევად ავმოძრავდით და მაშინ მომხვდა თვალში: კახა თალაკვაძემ ჯერ CTRL+S-ზე დააჭირა, ნომრის მიმდინარე ვერსია შეინახა და მხოლოდ შემდეგ მიჰყვა კიბეებისკენ დაძრულ კოლეგებს.

იმიტომ რომ, მიწისძვრა მიწისძვრად, „სარბიელი" კი მკითხველთან ხომ უნდა მისულიყო...

## სარბიელი 30



რას დაწერენ ხვალ „სარბიელში"? - კითხვა, რომელიც იმ დროს ჩემი ყოველდღიურობა იყო. იყო ქება, რჩევა, კრიტიკა და ხანდახან ემოციურად გადაჭარბებული კრიტიკაც. იმ დროის „სარბიელში" იმდენად პროფესიონალი ჟურნალისტების გუნდი მუშაობდა, რომ მათგან მეც ძალიან ბევრს ვსწავლობდი. ახალგაზრდა ვიყავი და მეც „სარბიელთან" ერთად ვიზრდებოდი. ეს არ იყო მხოლოდ გაზეთი...ჩვენ ერთად ჯერ „დინამოს" და შემდეგ ქართულ ფეხბურთს ვემსახურებოდით.

ხანდახან ვბრაზობდი კიდეც... მაგრამ მაინც მომავალზე ვფიქრობდი...ეს ფიქრი კი იყო კითხვა: მაინც რას დაწერენ ხვალ „სარბიელში"?

მადლობა, რომ იყო „სარბიელი".

გილოცავთ.

მერაბ ჟორდანია

# სარბიელი

# რედაქტორები

სარბიელის ვებ-გვერდი

დაასკანერეთ QR კოდი თქვენი სმარტფონის საშუალებით და გადადით ბმულზე www.sarbieli.com

## გაზეთი ბაზის კედლებზე

ამ 24 წლის წინ, როდესაც „სარბიელი" არსებობის მეექვსე წელს ითვლიდა, ევროპა ლიგას კი ჯერაც ნოსტალგიური უეფას თასი ერქვა, თბილისში მოსკოვის „ტორპედო" ჩამოვიდა. ავტოქარხნელებს, როგორც ამ გუნდს საბჭოეთში ეძახდნენ, „დინამოსთან" უნდა ეთამაშათ. სოხუმის თავზე კი ქართული დროშის დაშვებიდან ზუსტად 3 წელი იყო გასული.

თამაშის დღეს „სარბიელი" გამოვიდა სათაურით: ЗРЯ НАДЕЕТЕСЬ. ПОБЕДА БУДЕТ ЗА НАМИ!

იმდღევანდელმა პირველმა გვერდმა მომხიბლა. გულწრფელი რომ ვიყო, სწორედ იმ პირველმა გვერდმა აქცია საბოლოოდ და შეუქცევადად „სარბიელი" ჩემ გაზეთად. გაზეთად, რომელიც მხოლოდ სპორტულ ინფორმაციას კი არ მაწვდიდა, ჩემი თანამოაზრეც იყო, საერთო ღირებულებები გვქონდა.

მაშინ ნამდვილ სარბიელელობას კიდევ რამდენიმე წელი მაშორებდა და ცხადია, ვერ მეცოდინებოდა, ვინ იყო იმ პირველი გვერდის იდეის ავტორი. გვიან გავიგე, რომ ზურაბ მეძველია ყოფილა. „სარბიელის" იმდრონდელი მთავარი რედაქტორი.

ზურაბ მეძველია წლების მერე გავიცანი და მასთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. სრულიად თავისუფალი იყო კლიშეებისგან. აი, როგორ არის, იცით? შეეძლო გაზეთი ისეთნაირად აეწყო, რომ არსებული სტანდარტები და სტერეოტიპები პირწმინდად დაენგრია. ეს რომ გააკეთო, თავად უნდა იყო სტერეოტიპებისგან სრულიად თავისუფალი.

როგორ ფიქრობთ, კაცი, რომელმაც პირველ გვერდზე უზარმაზარი შრიფტით ЗРЯ НАДЕЕТЕСЬ. ПОБЕДА БУДЕТ ЗА НАМИ! დაწერა, კლიშეების ტყვეობაში იქნებოდა?!

ჰო, იმ დილას დავით ყიფიანს გაზეთების ჯიხურში ოციოდე ცალი „სარბიელი" უყიდია და ბაზაზე გაუკვრია. სამოტივაციოდ უკეთესს რას მოიფიქრებო.



ზურაბ მეძველია

**- რა სირთულეებს აწყდებოდი გაზეთის კეთებისას იმ დროს, როდესაც არ იყო შუქი, არ იყო ინტერნეტი და ა.შ.**

- ცხადია უამრავს, და ნავთის „კერასინკასთან" შეჯგუფულებში იყო კიდეც გინება ხოლმე ამა თუ იმ ბლოკის, ფიდერის ან მინისტრის მისამართით, მაგრამ სულ მახსოვდა, რომ სხვებზე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით - იმ ბნელ და ცივ დროს საყვარელ საქმეს ვაკეთებდით, ეს კარგად გამოგვდიოდა, კარგი მკითხველი გვყავდა და თან ამით თავს და ოჯახებს ვინახავდით. იშვიათი ამბავია იმ დროისთვის. თავს ბედნიერად ვგრძნობდი და ამიტომ არანაირი სირთულე, ახლა მითუმეტეს, ცუდად არ მახსენდება

**- მთავარი განმასხვავებელი ნიშანი: რით იყო სარბიელი გამორჩეული?**

- ჩვენ გვიყვარდა სპორტი და არა ჩვენი თავი სპორტში. ეს მკითხველმაც მალე იგრძნო.

**- თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ბეჭდურ გამოცემებს?**

- არანაირი, გარდა რეკლამების წყალობით არსებული უფასო გაზეთისა, რომელიც რიგდება ტრანსპორტში და სუპერმარკეტებში.

**გიორგი დარჯანია**

## ჯადოსნური სამკუთხედი

ახლა რომ ვუფიქრდები, უფლის დიდი საჩუქარია ის დრო, ამ ხალხთან „სარბიელში" რომ გავატარე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სწორედ ამ გაზეთმა და ამ ხალხმა შექმნა. ერთ-ერთი ილია ბაბუნაშვილი გახლავთ.

მშვიდი, გაწონასწორებული, ინტელიგენტური მანერების კაცი, რომელსაც ბევრჯერ სასიამოვნოდ გავუოცებივართ იმ საშემსრულებლო კლასით, ასე აუცილებელი რომ არის ჩვენს საქმეში.

ილიასთვისაც რამდენჯერ მითხოვია გამზადებული წერილისთვის თვალის გადავლება. ახლაც ვერ ვხვდები, როგორ ახერხებდა შენიშვნის მოცემის გარეშე, პირიქით - შექებით იმას, რომ სტატია ფაქტობრივად ახლიდან იწერებოდა, მაგრამ გამოდიოდა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო - სარბიელური... და ახლა ვხვდები, რომ თავად ილია არის ასეთი - „სარბიელი" მისი ნაწილია.

გარემო დიდწილად აყალიბებს ადამიანს და თავისი ჯადოსნური სამკუთხედი ილია ბაბუნაშვილსაც აქვს - მისი სახლიდან ერთი ხელის გაწვდენაზე ფეხბურთის ფედერაციის ძველი შენობაა, მეორე ხელის გაწვდენაზე - ეროვნული სტადიონი, აივნიდან კი „ნორჩი დინამოელის" ყოფილი სკოლა მოსჩანდა. ჰოდა, გასაკვირიც იქნებოდა, სპორტთან მჭიდრო კავშირი არ ჰქონოდა.

**- არაერთ ადამიანს უთქვამს „სარბიელზე" — „ჩემი გაზეთი". რის ხარჯზე მიიღწევა ეს უმაღლესი შეფასება?**

— „სარბიელის" დამფუძნებელს, პირველ რედაქტორსა და გამომცემელს ზურაბ ფოცხვერიას აქვს ერთი გამორჩეული უნარი: შემადგენლობას არჩევს სწორად. ათას კაცში მაინცდამაინც მისი წამოწყებისთვის გამოსადეგ ადამიანს შეამჩნევს. რომელილაც



ილია ბაბუნაშვილი

ამერიკელი რეჟისორის თუ მსახიობის ინტერვიუში მოვისმინე, ფილმის წარმატების საწინდარი სწორი ქასთინგიაო. აი, სულ ესაა.

**- რით შეიძლება იყოს გაზეთი კონკურენტუნარიანი ინტერნეტის ეპოქაში?**

— რით შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი თეატრი კინოს, ტელევიზიის და ინტერნეტის ეპოქაში? ანდა კლასიკური მუსიკა ან ჯაზი პოპის და იუთუბის ხანაში? ინტერნეტის „მოედანზე" თამაში და მასთან შეჯიბრება გამორიცხულია. ინტერნეტს საშენოდ თუ გამოიყენებ, ისე კი აკადემიზმით. გაზეთს თავისი სპეციფიკა აქვს, შესაბამისად თავისი მკითხველი ეყოლება და მორჩა.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ შეცვლილია მკითხველის გემოვნება? როგორ შეადარებდით 90-იანი წლების მკითხველს დღევანდელთან?**

— ეპოქა შეიცვალა. ინტერნეტის დახმარებით მასამ იძალა. გემოვნებიანი მკითხველი, რომელსაც კარგი ტექსტის წაკითხვა სიამოვნებას ანიჭებს, ისევ არის, მაგრამ ალყაშია... დღეს ყველას შეუძლია ინტერნეტში იგინოს და ათასებს ეს ტექსტი ეგონოს.

**პაატა კვანტალიანი**

## ბლოკნოტების ამბავი



გიორგი დარჯანია

მიჭირს თქმა, ვინ უფრო მეტია, გიორგი დარჯანია - ჟურნალისტი, თუ გიორგი დარჯანია - რედაქტორი. მისი ყველა ნაწერი ჟურნალისტიკის ნამდვილი ნიმუშია - ლაკონური, მართალი და ხშირად სასარგებლოდ მწარე ნასაკითხი, შემოლაწუნებას რომ ჰგავს და პრობლემას ძირამდე ჩაჰყვება.

მაგრამ სარბიელელობაზე თუა ლაპარაკი, თავში პირველი ის მომდის, რომ გიორგიმ მთავარი რედაქტორის პულტი ძალიან მძიმე დროს ჩაიბარა და გუნდთან ერთად ბოლო ვაზნამდე ებრძოდა იესპიენევროსპორტებს, ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს, მაღალბიუჯეტიან სპორტულ პორტალებს და სხვა ათას მომხვდურს, 21-ე საუკუნეში ბეჭდური სპორტული მედიის გასაქრობად გაჩენილთ. 2009 წელს „სარბიელი" ღირსეულად დაემშვიდობა მკითხველს. ცხრა წლის შემდეგ კი ონლაინ-სივრცეში აღორძინებულ „სარბიელს" გიორგი კვლავ ერთგულად უდგას გვერდში.

მისი განუყრელი ატრიბუტები კალამი და ბლოკნოტია, ოღონდ ლუის ვან გაალივით უშველებელი დავთარი კი არა, არამედ - პატარა, ძლივს შესამჩნევი. თათბირია თუ ქუჩაში მივაბიჯებთ, გადაშლის, ჩანაწერს გააკეთებს, შეინახავს, მე კი თავსატეხს გამიჩენს: რა ვთქვით ამ წუთში ისეთი, ბლოკნოტში ჩასაწერად რომ ღირდეს? ეს მარტო გიორგიმ იცის, ის ჩანაწერები კი შემდგომ ჩამოიქნება ნაირგვარ გეგმებად, წერილებად, რეპორტაჟებად - კრისტალური სიზუსტით და სისუფთავით, ყოველგვარი მინარევების გარეშე.

შორეულ 96-ში პაიჭაძეზე ინგლისი რომ მოგვერია, გიო ახვლედიანმა დაწერა - ერთი გლენ ჰოდლის ბლოკნოტი ჩამაგდებინა ხელშიო.

მე კიდევ - ნეტავ გიორგი დარჯანიას ბლოკნოტები ჩამაგდებინა ხელში...

**- „სარბიელის" გამორჩეული ნიშანი...**

- ხარისხიანი გაზეთის კეთება ბევრს შეუძლია და აკეთებენ კიდეც. „სარბიელის" გამორჩეულობა, ჩემი აზრით, ისაა, რომ ახალი, ჩვენი სტანდარტი ჩამოვაყალიბეთ, რის მერეც ჩვენ კი არ ვედრებოდით სხვას, სხვები ადარებდნენ თავის მუშაობას ჩვენსას. ჩვენ ვთქვით - მოდი, ასე გავაკეთოთ. ამის მერე, არაერთმა კოლეგამ გადაწყვიტა - მოდი, „სარბიელივით" გავაკეთოთ.

**- რა არის შენთვის ჟურნალისტიკა?**

- მომწონს, რომ ადამიანები ჩვენგან იგებენ ახალ ამბავს. მომწონს, რომ გაზეთის ორი ერთნაირი ნომერი არ არსებობს და ამდენად, სამუშაოს რუტინად ქცევის საფრთხე ნაკლებია. სწორედ ამის გამო, რაც უნდა მაგარი ნომერი გამოუშვა, თუკი ხვალაც იგივეს არ იზამ, დღევანდელ მაგარ ნომერს ფასი ეკარგება. ანუ ჟურნალისტიკა მუდმივად მობილიზაციას გაიძულებს. რაღაც თვალსაზრისით, ჟურნალისტიკა ჯარივითაა.

**- რა არის ამ პროფესიის „გვერდითი მოვლენები"?**

- დიდი ხნის განმავლობაში წიგნების კითხვა მიჭირდა. საკუთარი თავი რამდენჯერმე გამოვიჭირე, რომ წიგნის კითხვისას კორექტურას ვეძებდი. ასე ვიყავი სპორტული შეჯიბრის ყურების დროსაც. აღმოვაჩინე, რომ თამაშისგან სიამოვნების მიღების ნაცვლად, იმაზე ვფიქრობდი, ამ მატჩის მიმოხილვას როგორ დავწერ-მეთქი.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სარბიელის მთავარი ნერვი

მარტო კაცია, სიმარტოვეში აგროვებს და მერე არიგებს. მთიდან ბარში ჩამოგვიტანა მადლები. თვალებში ცხოვრობს და ნაფაზით გეუბნება - ამოასუნთქებს სათქმელს.

ტკბილად „შეგარცხვენს" უქართულობას, ზედმეტობით თავს დაგიხრის და ისე ამოშაქრავს, შემოგეტკბილება.

ნასარბიელევს პეროვზე დავდიოდით და სათაურებით ვბრუნდებოდით.

დავარქვათ? დავარქვათ ჯეკ, მაგის დედაც, ეს ხო „სარბიელია" - „სარბიელი", ნერვი და განცდა.

შენც დაწერე, სულ ჩვენ რომ გვკითხულობ-მეთქი, შევბედე - გიოს გაეცინა, ჩაიხითხითა.

დაწერა, ფეხბურთზე კი არა, კალათბურთზე კი არა, არაფერ ბურთზე ვაჰ, ნიჩბოსნობაზე, წყალჯომარდობაზე ქართულზე და მოგვისვა ნიჩაბი.

**სოსო კოტორეიშვილი**

- დავიბენი, ცოტა არ იყოს... კი ბატონო, „ყველაზე დასამახსოვრებელი" ნომერი; მაგრამ რომელი ერთი... გონებაში მოგონებების ვიდეო დატრიალდა, დიდი და უწყვეტი სერიალი, ბევრი ადამიანი, უამრავი ეპიზოდი. ჟანრი – რაც კი შეიძლება, როგორც ცხოვრებაში. სახალისო და ტკბილად მოსაგონარი, რამდენიც გინდა, მაგრამ იყო დაძაბული, „მძაფრი სიუჟეტებიც" – განსაკუთრებით 90-იან წლებში. რა არ შეგემთხვეოდა, ვის ან რას არ გადაეყრებოდი. სახლიდან რედაქციაში ვინ რამდენ კილომეტრს გადიოდა ფეხით... მაგრამ მთავარი და ყველაზე მკაფიო იყო ჟინი – საქმის ახლებურად კეთების ჟინი. ახალი დროება იდგა, ახალი ენა იყო საჭირო, უშიშო და თავისუფალი აზრის ენა. ამიტომაც გაკეთდა ბევრი რამ პირველად და, ჩემი ჭკუით, სწორედ ეს იყო „სარბიელის" „სამარკო ნიშანი" და, არა მგონია, ვაჭარბებდე, დამსახურებაც ქართულ სპორტულ მედიაში.

* * *

- ნიჭი! ნიჭი ნიჭიერთა ბირთვის შეკრების და მათთვის სარბიელის მიცემის. კარგი გუნდი შეიკრა და კარგი „მწვრთნელიც" ჰყავდა. ზურაბ ფოცხვერია ასეთი ტაქტიკით „გვათამაშებდა": ჯობს ჩვენი ურთიერთობა ამა თუ იმ ფედერაციასთან იყოს რთული, მაგრამ საქმე წავიდეს კარგად, ვიდრე ურთიერთობა იყოს კარგი, მაგრამ საქმე მიდიოდეს ცუდად.

სპორტში მოტრიალე ხალხისთვის ამიტომაც არ იყო სულერთი, რას დაწერდა „სარბიელი" ამა თუ იმ ამბავსა თუ საკითხზე. რეაქციებიც სხვადასხვანაირი იყო: ზოგი „ვიწრო წრეში" დაიჩივლებდა, ზოგი საყვედურს გვითვლიდა, ზოგიც, რომ იტყვიან, გვეჯახებოდა. ამ „სარბიელში" მერაბ ჟორდანიას მაშინდელი განწყობის გადმომცემ ნიშანდობლივ ფრაზას ამოიკითხავდით: ნეტა, რას დაწერს ხვალ „სარბიელი"? ეს სიტყვები ნამდვილად იმსახურებს მადლობას გულწრფელობისთვის – ის ხომ ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა, რომელსაც ჩვენგან კრიტიკა არ დაჰკლებია. სწორედ ამიტომ უყვარდა მკითხველს „სარბიელი" – ის წერდა იმას, რასაც ფიქრობდა და რაზეც წუხდა გულშემატკივარი. წმინდა პროფესიულად კი ასე იყო: მკითხველი გაზეთს ელოდა. ეს ძალიან კარგი, თუმცა ჩვეული ამბავია. უფრო მაგარი ისაა, მკითხველს მოულოდნელის მოლოდინის გრძნობა რომ გაუჩინო. ეს ყოველთვის და ყოველდღე ვერ ხერხდება, მაგრამ როცა შანსია, უნდა გამოიყენო და, მგონი, „სარბიელი" ამას ახერხებდა. სპეც.კორ-თა რეპორტაჟები უცხოეთიდან იმ დუხჭირ დროში, ინტერვიუები „მიუწვდომელ" ვარსკვლავებთან (ბაჩო სვანიძე სულაც მარადონას ელაპარაკა) და სხვაც არაერთი. მთავარი კაპიტალი კი ტექსტების ხარისხი იყო. რა გასაკვირია, „საკუთარი" მწერლები გვყავდა. ფეხბურთის ენაზე რომ ვთქვათ, ქართული პროზის „ოქროს ბურთის" არაერთგზის მფლობელი აკა მორჩილაძე; ილია ბაბუნაშვილმაც „სარბიელში" ყოფნისას გამოსცა რომანი და მოთხრობები, ავთო გურასაშვილი სპორტული წიგნების მთელი წყების ავტორია. და რამდენი კიდევ, ვინც „სარბიელში" აიდგა ფეხი როგორც ჟურნალისტმა, თავისი სტილი „დაიყენა", თავისი კვალი დაატყო გაზეთს, მერე კი სხვა საქმეს ეწია და წარმატებითაც. მოკლედ, ისეა, როგორც დიდმა თქვა: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი"...

* * *

- მეგობრობა და საქმე? დავიბენი და... დავირცხვინე კიდეც. ამაზე ახლაც ვფიქრობ და ვფიქრობ როგორც ცოდვილი – ხელი ხომ არ დავაკელი-მეთქი საქმეს. ალბათ, კი, რადგან მეგობრობამ „გადაქაჩვა" იცის (რა იგულისხმება ამაში, ქართულად თუ წავიკითხავთ და გავშიფრავთ, იოლი მისახვედრია). მაგრამ, ღმერთი, რჯული, უპირველესი იყო საქმე, რომელიც გვიყვარდა და რომელსაც არ ეღალატებოდა. ჰოდა, ამიტომაც ეთქმის არაერთ სარბიელელს – ჩვენ არა მხოლოდ ვმუშაობდით, ვცხოვრობდით „სარბიელში", რომლისგანაც მეც, ერთ-ერთს, ბევრი ცხოვრებისეული სიკეთე მახსოვს ჭირშიც და ლხინშიც..

**თამაზ მიგრიაული**






რა უნდა გაგიკვირდეს, როცა ძველი მეგობრები გწერენ? ეგეც ცოტა ისეთი ნათქვამია: ძველი მეგობარი რას ნიშნავს? ვინც საით არ უნდა გადაგვისროლოს ბედმა, განგებას ინტერნეტი მოუგონია და დაახლოებით მაინც ვიცით, სად ვართ და როგორ. დღევანდელობის ერთადერთი კაი ამბავი მგონი ეგაა, რომ ერთმანეთის აღარაფერი ვიცით, მაგრამ აი, ვიცით რომ ვიღაცა ჩვენიანი ხოვლეში ყოფილა, ვიღაცა სანტა მონიკაში. მაინც ფიქრობ, რომ კაია, საღოლ; კარგად არიან, აგე, ფოტო და ამბავი.

მაგრამ ეგ მაინც გასაკვირელი მონაწერი იყო: ნომერი გავაკეთოთო, უფრო სწორად, ნომერს ვაკეთებთ და აბა, შენ რას იზამო. 11 წელიწადი გვარიანი დროა. მე სულ ეგრე მეგონა, რომ სულ სულ სულ ბოლომდე „სარბიელში" ვიქნებოდი, როგორც ბოლშევიკები იტყოდნენ, „შრომით ვახტზე".

ჩემი ვახტა განუზომლად მცირე იყო სხვათა შრომასა და საქმის ცოდნასთან შედარებით, მაგრამ რაღაცა არშიას მაინც მივაქსოვდი ხოლმე.

თუმცა, როცა რაღაცა მთელი გულით გიყვარს, მოცულობაზე ველარ ფიქრობ! „სარბიელის" ნომერი გავაკეთოთო, ცოტა ისეთი რამეა, უამრავ რაღაცას გულისხმობს. წარსული რა არი? მგონი ის, რასაც ვერ გადააკეთებ. მგონი „სარბიელში" მუშაობა და იქ ცხოვრება ისეთი წარსულია ჩემთვის, რომლის გადაკეთებასაც არასდროს შევეცდებოდი.

უბრალოდ და მარტივად ეგრეა და ლათაიებს თუ მოყვები, იქიდან ათასი რამე გამოედინება ხოლმე. მე არ გადავაკეთებდი. ნეტავი დღესაც ერთად ვიყოთ. თან, ყველა სარბიელელი, ისინიც, ვისაც თვეზე მეტი არ გაუტარებია იქ, ისინი ვინც დაარსების დღიდან ბოლომდე იშრომა და იცოცხლა და ისინიც, დღეს რომ ცოცხლები აღარ არიან. რას უზამ ასეთ უბედურებას და გულისტკივილს? ვერაფერს უზამ.

ძველი სარბიელელი სულაც არ ვარ. როგორც იტყვიან კარგ და კეთილ გაზეთებში ნათრევი ადამიანი გახლავარ იმ დაუვიწყარ ოთხმოცდაათიანებში. „სარბიელში" კვირაში ერთხელ ვწერდი ხოლმე სვეტს და ბოლოს კი ეგრე გამოვიდა, რომ გადავედი. როგორც გაირკვა, საბოლოოდ. ეგ მახსოვს, რომ ახალ სამუშაოზე რომ მივედი, ზურა ფოცხვერიამ უთხრა ზალიკო გიგინეიშვილს:

- აგე, რო მეუბნებოდით შენ და მეძველა, გადმოიყვანე, გადმოიყვანეო, გადმოვიყვანე და წერეთ ეხლაო, - გავიცინეთ.

ჩამოთვლა უმადური საქმეა, სვეტში რაიმეს მოყოლა და დალაგებულად მტკიცება, კიდევ უფრო უმადური. „სარბიელის" ჩემს ძველ სვეტში ასე იყო და ახლაც ალბათ ასეა, თუკი სადმე გულში, თუ უხილავ სამყაროში არსებობს ჩვენი ძველი გაზეთი.

მარა, მაინც, სვეტი კია, მაგრამ როგორც იტყვიან, მესიჯი უნდა. ძველათ ასეთ მესიჯს მივწერდი ხოლმე:

- შეხედე სვეტს მსუბუქად! ძაან მძიმე ქვეყნის ამბავში.

ამ ბატიფეხურს კი ცოტა გრძლად მივამატებდი: ვინ იცის, ერთ დღეს, ერთ ადგილას, ისევ შევიყაროთ იმ რთულ ადგილას, რომელიც მეკობრეების ხომალდს მახსენებდა და გავაკეთოთ ის, რაც გვიყვარს. უკეთესი რა შეგვიძლია ერთად? გავაკეთოთ ის ჩვენი ძველი, ხრინწიანი, გულიანი, ფიქრიანი, შავ-თეთრი და მაინც იმდენი ფერის გაზეთი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# როცა პენსია არ გამოდის

გიო ახვლედიანი
სარბიელი 30

მარადონა ახლახანს სამოცი წლისა შესრულდა და მოკვდა. როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იცოცხლა. ბოლო ვიდეოები, რომლებსაც სახლში, მის გარშემო მოტრიალე ვილაც იდიოტები ავრცელებდნენ, სანუგეშო არ იყო. სვამდა და ცეკვავდა, ძალიან მთვრალები რომ ცეკვავენ ხოლმე, დაახლოებით ისე და იმაზე მეტადაც. მერე თავში ჰემატომა აქვსო. სანამ ამოკვეთდნენ, ვილაც ტიპს კოცნიდა მთელი გულით, მოდუნებული და თვალებმილულული, ლა პლატის ხიმნასია და ფარიკაობის კლუბის შავ ფორმაში ჩაცმული. იქ იყო მწვრთნელად. ეგ იყო ბოლო ვიდეო, რომელიც საერთაშორისო არხებზე გამოჩნდა.

მერე ამოვკვეთეთო და სახლში გულის შეტევით გარდაიცვალაო. სევდიანი ამბავია.

ჯიუტად შავთმიანი, მაჯებზე წყვილ-წყვილი ძვირიანი საათებით, რომელთაგან ზოგიერთი, საყურეებთან ერთად იტალიაში გაგზავნა მრავალმილიონიანი საგადასახადო ვალების რალაც ნამცეცის დასაფარად, მაინც არ ეშვებოდა ფეხბურთს, მწვრთნელობდა. მწვრთნელი იმის მეასედი არ იყო, რაც ფეხბურთელი და საერთოდ, როგორც ერთი ძველი, დიდი კოვბოი იტყოდა, გამარჯვებული ყოველთვის ფეხბურთელია, არა მწვრთნელი. ოლონდ, მარადონა მწვრთნელი იმიტომ თუ იყო, რომ მინდორზე გასვლა და ფეხბურთის თამაში ვეღარ შეეძლო. უფეხბურთოდ კი ის იყო, რასაც ახალ ამბებში გამოაჩენდნენ ხოლმე მის შესახებ: ფიდელას და უგო ჩავესის ძმაკაცი, მექალთანე, ძველი მორფინისტი, მერე ლოთი, ვითომ მწვრთნელი, სულელური პოლიტიკური განცხადებების კაცი, რომელსაც სერიოზულად აღარავინ აღიქვამს.

აი, ასე წერენ: გარდაიცვალა სამყაროს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც პელესა და იოჰან კრუიფის გვერდით მოიხსენიებაო. გარდაიცვალა ბზარიანი გენიოსი. ინგლისური გამოთქმაა ეგეთი - ბზარიანი გენიოსი. უბზარო ისაა, რომელიც არ დამთვრალა, ან ინგლისისთვის ხელით არ გაუტანია. როგორც არი. ეგ ყველაფერი ხო გასაგებია. მარადონა ხარ და ცოტაც და ბევრიც ყველას აწყენინე. ოლონდ ეგაა, რომ მარადონას არასდროს უთქვამს, რომ ორგზის მსოფლიო ჩემპიონია და არც ოდესმე გამოკლებია ნაკრებს რამე პირადი მიზეზით. არც შეღავათი მიუცია საკუთარი თავისთვის თავის ქვეყნის სამოსის ხარჯზე, ეშმაკობით კი ბევრი უეშმაკია თავისი ქვეყნისთვის დროშის ქვეშ.

ზიდანი ყველაზე მაგარი იყო, მესისთანა არ დაბადებულა, კრიშტიანუ რამდენს ცდილობს და სხვა ასეთი რამეები მარადონას და არგენტინის ერთობის ფონზე არ განიხილება. არგენტინაში ასეა.

ვილაცამ თქვა, საქმე ის კი არ არის, რას უკეთებს მარადონა საკუთარ თავს, საქმე ის არის, რა გაუკეთა მან არგენტინასო. აი, ესაა და მორჩა. და ასეა იმათთვის, ვინც მის თამაშს მოესწრო. ასე იყო მრავალ წელიწადს, ათეულობით მილიონი ადამიანისათვის. მარადონამ რალაცნაირი აზრი მისცა ფეხბურთს, ის საბოლოოდ გააცილა საფეხბურთო სამყაროს. რა თქმა უნდა, ასეც ამბობდნენ, შეეძლო მაგალითი ყოფილიყო ახალგაზრდებისთვის და სანაცვლოდ, მხოლოდ ცუდი მაგალითი გამოდგაო, მაგრამ როგორც ფეხბურთელი მარადონა როგორ უნდა ყოფილიყო ვინმეს მაგალითი, როცა მისი მიბაძვა შეუძლებელი იყო. როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, ის ასევე ვერ გამოდგებოდა მაგალითად, რადგან მისი ცხოვრება, ხასიათი და სოციალური სული ამას გამორიცხავდა.

ვინ იყო ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მარადონა თავის ქვეყანაში? არგენტინის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, რობერტო პერფიუმომ, რომელიც ფეხბურთელობის შემდეგ ჟურნალისტი გახდა და მინდორზეც და მის გარეთაც დიდი გონებისა და უნარების ადამიანი იყო, მეტსახელად კი მარშალსაც ეძახდნენ თავისი საბრძოლო თვისებების გამო, ერთხელ თქვა, რომ მარადონას ამბავი რომის იმპერატორების ამბავს ჰგავს, ოლონდ პირიქითო: ტრიუმფების დროს იმპერატორს უკან მონა მოჰყვებოდა და საყოველთაო ხოტბისას მოსძახოდა, არ დაგავიწყდეს, ჩვეულებრივი მოკვდავი ხარო. მარადონას კი უკან მთელი არგენტინა მოვყვებოდით და სრულიად საპირისპიროს ვუყვიროდით, უკვდავი ხარო. ჰოდა, რა გინდათ ამ კაცისგან, რაც მოახერხა მინდორს გარეთ ისიც დიდიაო. სწორია და რაც საინტერესოა, მარადონაც ეთანხმებოდა.



ვერ იცხოვრა ისე, როგორც ითამაშა, თუმცა არც თვითირონია აკლდა. ისიც მშვენივრად იცოდა, რომ რალაც ძნელს და არცთუ მოსაწონს ცხოვრობს, სხვანაირად კი არ გამოსდის.

**ერთხელ თქვა: აჰ, კოკაინი რომ არ ყოფილიყო, რა მაგარი ფეხბურთელი ვიქნებოდიო.**

საერთოდ, სპორტი დრამის ამბავია: რასაც ყველაზე კარგად აკეთებ ცხოვრებაში, იმის კეთების დრო შეზღუდული გაქვს. მერე უნდა მოიგონო რალაც საქმე და აკეთო. ამ დროს კი მაგარი სხვა საქმეში ხარ და იმის კეთება გინდა. მარადონამ ეგრეც ვერ მოიგონა რამე ისეთი, რაც ოდნავ მაინც დაემსგავსებოდა მის ფეხბურთს. პენსიონერი ვერ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაცი, ვინც მოიგონა სარბიელი



რაც მინდოდა მეთქვა, ის არ გამოდის, რადგან უფრო სალაპარაკო და სათქმელი იქნებოდა, ვიდრე საწერი.

ნაწერი გარემო სხვაა, ნალაპარაკევი სხვა. ჩვენ კი, ამ გაზეთის ხალხი, მაინც ნაწერი გარემოს ვინმეებად ვრჩებით. ეგეთი რამე ისეთ დროს ხდება, როცა პირადი სათქმელის ოდენობა სახალხოს აჯობებს ხოლმე. პირადი კი პირადად ითქმის და იმასაც თავისი წამები აქვს. მოხერხებული და სწორი წამები, როცა სიტყვაც კი არ იქნება ხოლმე საჭირო, არამედ გამოხედვა, ხელის მოძრაობა, შეხება და სხვა ასეთი რამეები, რაც კაცებს შორის მოხდება.

ზურა ფოცხვერიამ „სარბიელი" მოიგონა, დააფუძნა და ოც წელიწადს გამოსცემდა მას. ამ დროის განმავლობაში რედაქტორიც იყო ხოლმე, როცა საჭიროდ დაინახავდა. ამ გაზეთის საფუძველი სწორედ ეს ფიქრი და ნაბიჯები იყო.

ვინც „სარბიელის" ცხოვრებაში მონაწილეობდა, მადლიერი, თუ გულგატეხილი, ყველამ იცის, რომ ეს ყველა იქ მყოფის და იქ მოტრიალეს გაზეთი იყო. სხვანაირად, ჩვენი. ასე ვთვლიდით და ასევე ვცხოვრობდით იმ სამყაროში. ზურამ იცოდა, რომ ასე იყო და რალაცნაირად, ამდენი არცთუ მაინცდამაინც დაწყობილი კაცის ერთად საქმიანობა და ერთობა სიამოვნებდა, თუ მოსწონდა. რომელიცაა, ახლა რას ჩაულრმავდები.

სინამდვილეში ეს მისი გაზეთი იყო. როცა ველარ შეიძლო, კიდეც დამთავრდა.

სევდიანი ამბავია. მაგრამ ასე ხდება ხოლმე. მგონია, რომ ყველას ბევრი დაგვრჩა ამ ისტორიიდან და ზურას კი ეგებ ყველაზე მეტი, რადგან ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე მისი იყო და არასდროს უფიქრია, რომ უბრალოდ რალაც პროექტი ვართ, რომელიც ერთ დღესაც დამთავრდება.

როცა გრძნობ, რომ ადამიანთან ცხოვრებით და საქმით მოტანილი სიახლოვის გამო მისი ხასიათი, შეხედულებები და ცხოვრების წესი მთელი გულით იცი, მის შესახებ იოლად და ჰაიჰარად ვერასდროს იფიქრებ და ვერც სადღეგრძელოს მსგავსად გამოისვრი სიტყვებს. ისე გამოდის, რომ მის ცხოვრებას, როგორც რომანს, ნამდვილ დრამას, ისე უნდა შეხედო. სინამდვილეც ესაა და დანარჩენი კი ყოფითი უხალისობები თუ გამოვა.

ჩემი მოკლე ჭკუით, ზურას ცხოვრება სწორედ რომ ნამდვილი ცხოვრებაა. ის საქმეც, რაც იმ ჩვენს გაზეთში ტრიალებდა, ნამდვილი საქმე იყო. დანარჩენი კი, ვის როგორ შეგვეძლო და შეგვიძლია.

**გიო ახვლედიანი**



ზურაბ ფოცხვერია და გიორგი ქორქია „სარბიელის" პირველ ბინაში

**თავად ზურა კი ამბობს:**

- გაზეთის გამოცემა მთლიანად ფეხბურთის დამსახურებაა. რაც თავი მახსოვს, თბილისის „დინამოს" შესახებ ვაგროვებდი ცნობებს, ვკითხულობდი და ვინახავდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს და ასე, ნელ-ნელა გონებაში მომწიფდა ის აზრი, რომ სპორტული გაზეთი გამეკეთებინა, თუმც სსრკ დროს ეს შეუძლებელი იყო. გაზეთის იდეა გარკვეული პერიოდი გონებაში იხარშებოდა, მწიფდებოდა. ისე არ ყოფილა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვთქვი და გავაკეთე. 80-იანი წლების ბოლოსკენ კოოპერატივები რომ შეიქმნა გაზეთის იდეა კოლეგა მეგობრებს გავუზიარე - ელგუჯა ბერიშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, დავით კაკაბაძე, ნოდარ გუგუშვილი, გიორგი ქორქია ინტერესით შეხვდნენ ჩემს წინადადებას. დავიწყეთ საქმე. გაზეთის სახელწოდების ჩვენ - ჩვენი ვარიანტები გვქონოდა. საბოლოოდ გუჯა ბერიშვილის სიტყვამ იმარჯვა. ყველაზე მოხდენილად, შესაფერისად სწორედ „სარბიელი" მივიჩნიეთ. დავარეგისტრირე კომპანია, ყველა შესაბამისი საბუთი მივილე და მერე მხატვარ ანტონ დუმბაძეს დავუკავშირდი. ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ის შრიფტი, რომლითაც ჩვენი გაზეთის „ქუდი" არის შესრულებული, ექსკლუზიურია, საგანგებოდ „სარბიელისთვის" არის შექმნილი და მხოლოდ „სარბიელს" ეკუთვნის.

- ჩვენ ბევრი სიახლე შევთავაზეთ მკითხველს. სწორედ „სარბიელი" იყო ის გაზეთი, რომელმაც რაგბი, ჩოგბურთი, ფორმულა 1 და სპორტის კიდევ ბევრი სხვა სახეობა ახლებურად, უფრო ამომწურავად გააშუქა, პოპულარობა შემატა. მკითხველს ამ სახეობების მიმართ ინტერესი გაუჩინა, სხვა კუთხით დაანახა. „სარბიელი" სტრუქტურულადაც ახლებურად იყო გამართული. გამოწერილი გვქონდა სხვადასხვა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო, რაც საშუალებას გვაძლევდა ყველა ფოტო გაზეთში ლეგალურად გამოგვექვეყნებინა. გვყავდა სამი ფოტორეპორტიორი. მივლინებებს ხომ თვლა არ ჰქონდა, მცირე მასშტაბის ტურნირებით დაწყებული „უიმბლდონით" დამთავრებული, „სარბიელის" ჟურნალისტი იქ იყო. საქართველოს ნაკრების ყველა მატჩს, ქვეყნის განურჩევლად, ადგილიდან ვაშუქებდით. აქედან გამომდინარე, სპორტსმენებსაც მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდათ - იცოდნენ, რომ ნეგატივზე „სარბიელი" თვალს არ დახუჭავდა.

- დიახ, „სარბიელში" ბევრი კრიტიკა იბეჭდებოდა, მაგრამ არასდროს ზღვარგადასული; არ იბეჭდებოდა ტყუილი; არ იბეჭდებოდა პასკვილი, რასაც მკითხველიც ამჩნევდა და სპორტის კონკრეტული მუშაკიც. მათ იცოდნენ, რომ „სარბიელი" ღვარძლით, ზიზღითა და ბოლმით არ წერდა.

- იყო, როგორ არა, როცა კონკრეტული სტატიით უკმაყოფილო ხალხი რედაქციაში დიდი აგრესიით მოსულა, „საქმის გარჩევა" მოუნდომებია, მაგრამ მალევე დამშვიდებული და კმაყოფილი წასულა. იმიტომ, რომ „სარბიელი" მართალი იყო, ჩვენ ტყუილს არც საკუთარ თავს, მით უმეტეს მკითხველს, არ ვაკადრებდით.

- „სარბიელის" თანამშრომლებს ჰქონდათ სრული შემოქმედებითი თავისუფლება. მხოლოდ ერთ „ჩარჩოს" ვცნობდით, მორალურ - ზნეობრივს... „სარბიელში" მუშაობის დაწყება და წასვლაც ამ „ჩარჩოზე" იყო დამოკიდებული. ახალი თანამშრომლისთვის მთავარი იყო, როგორ შეეწყობოდა გუნდს. გუნდი კი მართლაც გამორჩეული გვყავდა, ნიჭიერი და გონიერი ადამიანების გუნდი. მაგალითად, იყო პერიოდი, როცა რედაქტორი არ გვყავდა, მაგრამ საქმეს ეს არ დატყობია და ვერც ვერავის შეუმჩნევია.

# ჩემი ნათლული



ელგუჯა ბერიშვილი

სარბიელი 30

იმ დროს კარგი ამბავი დიდი იშვიათობა იყო, ცუდი ამბები - რამდენიც გინდა. სწორედ იმ არეულ-დარეულ დროში გაჩნდა „სარბიელი", რაც, რასაკვირველია, ძალიან კარგი ამბავი იყო. აბა, გავიხსენოთ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მიჯნა: ჯერ კიდევ ბუნდოვანი პოლიტიკური ვითარება, ერთმანეთს გადაკიდებული და დაქუცმაცებული საზოგადოება, სიდუხჭირე და გაურკვევლობა, გზაჯვარედინზე მდგარი ქართული სპორტი. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროისთვის, სწორედ ახალი პოლიტიკური ვითარების გამო, ახალი გაზეთის გამოცემის უფლების მიღება შედარებით იოლი საქმე გახდა, მაგრამ რთული იყო საამისო სახსრების მოძიება, მკითხველის ყურადღების მიპყრობა, იმდროინდელ მედიასივრცეში ფეხის მოკიდება.

ამის მიუხედავად, მოკლე დროში მოხერხდა სახსრების მოძიებაც, სარედაქციო ჯგუფის შეკვრაც და ჩვენი პირველი შეკრებიდან ორიოდ თვეში დაიბადა ახალი ქართული სპორტული გაზეთი. ეს ის შემთხვევაა, როცა დაბადებას, რა თქმა უნდა, წინ უსწრებდა „ნათლობა". რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ, საბოლოოდ კი ჩემი წინადადება გავიდა - „სარბიელი"! ასე გავხდი ნათლია ახალი გაზეთისა, რომელსაც წინ თურმე დიდი ალიარება ელოდა. მაგრამ ნათლიობა რა მოსატანია იმ საქმესთან შედარებით, რაც „ნათლიმამამ" - ზურაბ ფოცხვერიამ, „სარბიელის" დაარსების ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა გააკეთა.

ზურასთან საკმაო ხნის ახლობლობა და პროფესიული ურთიერთობა მაკავშირებდა და როცა ახალ და ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდა, საოცარი ალლო, ორგანიზატორული ნიჭი და რედაქტორისთვის აუცილებელი თვისებები გამოავლინა. პირველ რიგში, შეკრიბა თანამოაზრე და პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტთა მობილური გუნდი და, გამოცდილი და წინდახედული საფეხბურთო მწვრთნელის მსგავსად, ყველას თავისი ამპლუა და როლი განუსაზღვრა. ამავე დროს, გაზეთის თითოეულ ჟურნალისტს ჰქონდა სრული შემოქმედებითი თავისუფლება, ოლონდ უნდა დაეცვა რამდენიმე ძირითადი პრინციპი. მთავარი პრინციპი სწორედ საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება იყო. პრინციპულობა და ზომიერება ყველაფერში - ქებაშიც და კრიტიკაშიც. ვინმეს განქიქება და შეურაცხყოფა კატეგორიულად მიულებელი იყო. მაგრამ ამავე დროს, სათქმელს ლიად და მოურიდებლად ვამბობდით და ამას ვაკეთებდით მისი უდიდებულესობა ქართული სპორტის სახელით და ქართული სპორტის გულშემატკივართა, მაშასადამე - „სარბიელის" მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით. სხვა რამ ინტერესი არასოდეს გვქონია.

ამიტომაც გამოდგა ეს საქმე ასეთი წარმატებული, ამიტომაც შეიყვარა მკითხველმა ჯერ კიდევ ახალფეხადგმული გაზეთი, რომელმაც ქართულ სპორტს ბოლომდე უერთგულა და ქართულ ჟურნალისტიკაშიც თქვა თავისი ღირსეული სიტყვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნოზაძე
სარბიელი 30

# ლილეჰამერიდან



ისე მოხდა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და გაზეთი „სარბიელი" თითქმის ერთდროულად მოევლინენ ქვეყანას. ოფიციალურად სეოკი 1989 წლის 6 ოქტომბერს კი დაფუძნდა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მხოლოდ 1992-ში გვიბოძა დროებითის, კიდევ ერთი წლის თავზე კი სრულუფლებიანი წევრის სტატუსი.

სულ პირველად საქართველოს ოლიმპიურმა გუნდმა გახსნის ცერემონიაზე ეროვნული დროშა 1994 წლის 12 თებერვალს ნორვეგიულ ლილეჰამერში - ზამთრის თამაშებზე ააფრიალა (კახა ვახტანგიშვილმა). პირველად სწორედ მაშინ გაიხსნა „ქართული ოლიმპიური სახლიც". პირველად მაშინ მიავლინა ოლიმპიადაზე საკუთარი კორესპონდენტი „სარბიელმა". ბუნებრივია, ჩვენი ოლიმპიური გუნდის ხუთეულისგან (კახა ნაქაძე, ლევან აბრამიშვილი, ლევან თიბილოვი, კახა ვახტანგიშვილი და ზურაბ ჯიჯიშვილი) მედლებს არავინ ითხოვდა, მაგრამ ემოციური ფონი მაინც ფანტასტიური იყო.

მერე კი დიდი ოლიმპიური ბატალიებიც დაიწყო...

### ბარსელონა - 1992

ბარსელონაში საქართველოს ოლიმპიური დებიუტი თან შედგა და თან არც შედგა. რადგან სოკ-ის სრულუფლებიანი წევრები ჯერ არ ვიყავით, ხელოვნურად შექმნილი დსთ-ის გაერთიანებულ გუნდში ვმონაწილეობით. აქედან იყო, რომ მონაწილე არცთუ ბევრი გვყავდა. სამაგიეროდ, 12 ქართველის მიერ მოპოვებული 8 ოლიმპიური მედალი პროცენტულად დიდებული შედეგი იყო.

დავით ხახალეიშვილმა, კახი კახიაშვილმა და ლერი ხაბელოვმა ტრიუმფით მოიარეს ბარსელონა და ოქროს მედლები მოიპოვეს. კახიაშვილის ერთი ოქრო ხუთად ფასობდა: ცხინვალიდან დევნილი ბიჭი სავარჯიშო დარბაზს საკუთარი ხელით დახატული შეშით ათბობდა, მერე კი, ძალოსნობის სამყაროს ზემოდან გადმოხედა და ნეიტრალური დროშის თანხლებით კვარცხლბეკზე ასვლა იუარა - საქართველოს ეროვნული დროშა მოიტანეთო. მოიტანეს! კიდევ ხუთმა ჩვენიანმა: ნინო სალუქვაძემ, დავით გობეჯიშვილმა, გიორგი კოლუაშვილმა, რამაზ ფალიანმა და ლელა მესხმა ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

### ატლანტა - 1996

ატლანტისთამაშები დღემდე ყველაზე დიდ იმედგაცრუებად რჩება. პირველად ვმონაწილეობდით დამოუკიდებელი გუნდით და საკმაოდ შთამბეჭდავი შემადგენლობაც მოგვიგროვდა. რამდენიმეს თუ არა, პირველ ოქროს მედალს მაინც ველოდით, მაგრამ რად გინდა: ამერიკაში უპირობო ფავორიტის რანგში ჩასული დავით ხახალეიშვილი დელეგაციის წევრებმა აწონვაზე დროულად ვერ მიიყვანეს და ტურნირმა მის გარეშე ჩაიარა. 36 ქართველის მიერ მოპოვებული ორად-ორი ბრინჯაო დიდი ვერაფერი ნუგეში იყო. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე სოსო ლიპარტელიანი და ელდარ კურტანიძე ავიდნენ, საქართველოს ჰიმნის აჟღერება კი კიდევ ოთხი წლით გადაიდო.

### სიდნეი - 2000

საქართველოს ამჯერადაც 36 სპორტსმენი წარმოადგენდა. ორის ნაცვლად ამჯერად 6 მედალი ვირგუნეთ, მაგრამ ტრიუმფი კვლავაც ვერ შედგა და საქართველოს ჰიმნი ვერავინ ააჟღერა. გიორგი ასანიძემ, გიორგი ვაზაგაშვილმა, ელდარ კურტანიძემ, აკაკი ჩაჩუამ, მუხრან ვახტანგაძემ და ვლადიმერ ჭანტურიამ 6 ბრინჯაო მოუტანეს საქართველოს. ყველაზე გულდასანყვეტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ელდარ კურტანიძის ზედიზედ მეორე ოლიმპიური ბრინჯაო იყო. „სარბიელში" საჩემპიონო შამპანურის გახსნა კიდევ ოთხი წლით გადაიდო.

### ათენი - 2004

არის! „სარბიელში" საჩემპიონო შამპანური გაიხსნა! ზურაბ ზვიადაური პირველი ქართველი შეიქნა, რომელმაც კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან საქართველოს ჰიმნი დაუკვეთა. არანაკლებ ძვირფასია გიორგი ასანიძის ოქრო, რომელმაც მტკივან მაჯასთან ერთად მასპინძელთა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ პიროს დიმასსაც აჯობა. პირველად მოვიპოვეთ ვერცხლის მედლებიც. ნესტორ ხერგიანს და რამაზ ნოზაძეს დაფნის გვირგვინამდე მცირედი დააკლდათ.

### პეკინი - 2008

ყველაზე ტრაგიკულად მოსაგონარი. 08.08.08 - საქართველოში ოლიმპიადის ნაცვლად ომი დაიწყო. პეკინი მაინც ყველაზე ხვავრიელი გამოდგა. მანუჩარ კვირკველიამ, ირაკლი ცირეკიძემ და რევაზ მინდორაშვილმა სამი ოქრო მოგვიტანეს, გიორგი გოგშელიძემ და არსენ კასაბიევმა - ვერცხლი, ნინო სალუქვაძემ და ოთარ თუშიშვილმა კი ბრინჯაო. ყველაზე დასამახსოვრებელი 90 კილოგრამამდე წონაში ძიუდოისტთა ნახევარფინალი იყო - მომავალმა ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ რუსთა პრეზიდენტის ჯილა ფალავანი ივან პერშინი ტატამს გააკრა, მერე კი ლამაზი ჟესტით კიმონოზე გაკეთებული წარწერისკენ მიუთითა - GEO!

არ გვეზეიმებოდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა სპორტმა ოდნავ გააქარვა ტკივილი და დაგუბებულ ემოციას გასაქანი მისცა.

### ლონდონი - 2012

მედლების ოდენობის მიხედვით პეკინი კი განმეორდა, მაგრამ ხარისხში აშკარად ჩამოვრჩით. ტურნირის სტარტზევე ლაშა შავდათუაშვილის ტრიუმფმა დიდი იმედები კი ჩაგვისახა, მაგრამ ერთადერთი აღმოჩნდა. დავით მოძმანაშვილმა, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა და რევაზ ლაშხმა მხოლოდ ფინალები დათმეს. ამას გარდა, ჩვენს ყულაბას სამი ბრინჯაო დავით მარსაგიშვილმა, მანუჩარ ცხადაიამ და გიორგი გოგშელიძემ შემატეს.

### რიო დე ჟანეირო - 2016

ჩვენი ოლიმპიური გუნდი სარეკორდოდ მრავალრიცხოვანი იყო. ბრაზილიას 40 სპორტსმენით ვესტუმრეთ, მაგრამ 7 მედალი ისევ გადაულახავ ბარიერად გვექცა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა წინა ოლიმპიადის ვერცხლი, ოქროს მედლად აქცია, ლაშა ტალახაძემ კი ყველას გასაგებად აუხსნა - სპორტის ამ სახეობას ძალიან დიდი ხნით ისეთი ლიდერი მოევლინა, მხოლოდ საკუთარ თავთან და რეკორდებთან რომ მოუწევს ჭიდილი.

ერთადერთი და ცრემლით დასველებული ვერცხლის მედალი ვარლამ ლიპარტელიანის იყო. ქართველ ძიუდოისტთა კაპიტანი და მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი ბრაზილიაში მხოლოდ ოქროსთვის იყო ჩასული.

ბრინჯაო სამი იყო: ლაშა შავდათუაშვილის, შმაგი ბოლქვაძის და გენო პეტრიაშვილის. თავი იმით დავიიმედეთ, რომ მა-



არის! „სარბიელში" საჩემპიონო შამპანური გაიხსნა! ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონია

# ტოკიომდე

გარი თაობა გვეზრდება და ოთხი წლის თავზე ტოკიოში ავიღებდით სარეკორდო რაოდენობის ოქროებს, მაგრამ...

### ოლიმპიური ზამთარი: დაცემა და ამაღლება

ძალიან ძნელია ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საუბარი. 22 წლის ნოდარ ქუმარიტაშვილი კანადურ ვანკუვერში ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ გახსნამდე, სანვრთნელი დაშვებისას დაიღუპა. ქართველი მოციგავის დაღუპვა მსოფლიო სპორტის ტრაგედიად იქცა და იმის აღიარებამ, რომ ბრალი საციგაო ტრასის კონსტრუქციაში დაშვებულ შეცდომებში იყო, ტკივილი ვერ გაანელა.

რაც შეეხება ყველაზე დიდ წარმატებას, ცუდი შანსი არ ჰქონდა ფიგურულ სრიალში ორგზის ევროპის პირველობის მესამეადგილოსან ელენე გედევანიშვილს. სამწუხაროდ, ამ უნიჭიერესი გოგონას კარიერა დიდწილად დიდმა პოლიტიკამ შეიწირა. ჯერ 2006 წელს დედამისის დეპორტაცია მოხდა რუსეთიდან, მერე კი ახალ ვიზაზე უარი ეთქვა. ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ ელენეს ოკეანის გადაღმა წვრთნა-ცხოვრებისთვის ფინანსები გამოუყო და სანუგეშოდ ღირსების ორდენიც გადასცა, მაგრამ დაკარგული ორი სეზონი ძვირი დაჯდა და ელენეს ოლიმპიური მაქსიმუმი ტურინში დაკავებული მე-10 ადგილი აღმოჩნდა.

რეალურად სულ ეს იყო და დანარჩენ შემთხვევაში კი საქართველო ზამთრის ოლიმპიადებზე სრულად ამართლებდა ოლიმპიურსავე დევიზს - მთავარია მონაწილეობაა.



ზურაბ ზვიადაური

### ეპილოგი

ტოკიო - 2020 ერთი წლით გადაიდო, თუმცა სახელი შეუნარჩუნდა. სპორტის ქომაგისთვის ეს მხოლოდ გადავადებული დღესასწაულია. მხოლოდ სპორტსმენებმა იციან, რა ფასად დაუჯდათ ოთხწლიანი მოსამზადებელი ციკლი, კარიერის უმთავრესი ტურნირისთვის ფორმის პიკზე მისვლის სურვილი და მერე გაურკვევლობა.

მეტი რა გზაა. მათაც და ჩვენც მოთმინება გვმართებს.




ნოდარ ქუმარიტაშვილი ვანკუვერის ოლიმპიურ ტრასაზე ტრაგიკულად დაიღუპა

ლილეჰამერი - ნორვეგიული სამხრეთის პატარა ქალაქი - ზამთრის ორი ოლიმპიური თამაშების მასპინძელია, პირველი 1994 წელს დიდი, პირობითად კლასიკურის, მეორე კი 2016 წელს ახალგაზრდულის. ბუნებრივია, ამ კოპწია უხვთოვლიანმა ქალაქმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ოლიმპიზმის ისტორიაში.

ლილეჰამერი ქართული ოლიმპიზმისთვისაც მნიშვნელოვან გეოგრაფიულ წერტილად იქცა. თავად განსაჯეთ:

- საქართველოს დებიუტი ოლიმპიურ თამაშებზე;
- პირველი ალღუმი, პირველი მედროშე და პირველი სტარტი;
- პირველი ოფიციალური შეხვედრა სოკ-ისა და სეოკ-ის ხელმძღვანელებს შორის;
- პირველი „ქართული სახლი" ოლიმპიურ თამაშებზე.

სხვათა შორის, უკან ჩამოტოვებული ზამთრის შვიდი ოლიმპიადიდან ქართველ სპორტსმენთა რაოდენობით ლილეჰამერი მეორე იყო ჩვენთვის ტრაგიკული ვანკუვერის შემდეგ.

# პირველი

ითქვა, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ ლილეჰამერში პირველად იასპარეზა ოლიმპიურ თამაშებში. თუმცა, საქმე ის არის, რომ ოლიმპიურ რუკაზე საქართველო ლილეჰამერამდე, ანუ 1994 წლის თებერვლამდე შვიდი თვით ადრე - 1993 წლის ზაფხულში დაფიქსირდა ჰოლანდიურ ვალკენსვაარდში - რიგით მეორე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე.

უპრიანი იქნება, ორიოდე სიტყვა ვთქვა პირველ ქართველ ოლიმპიურ მედროშეზეც. ჩვენ კარგად გვქონდა გაცნობიერებული, რომ ლილეჰამერში მოასპარეზე ქართველ სპორტსმენებს სამედლო პერსპექტივა ნაკლებად ჰქონდათ. თუმცა, მათ შორის ყველაზე გამოცდილები გარკვეული სპორტული შედეგებით მაინც მოციგავეები იყვნენ. სწორედ ამიტომ გაჩერდა არჩევანი კახა ვახტანგიშვილზე.

ლილეჰამერის სტარტებამდე 120 დღით ადრე გახდა საქართველოს ეოკ-ი ოლიმპიური ოჯახის სრულფასოვანი წევრი. იმ პერიოდში - გასული საუკუნის 90-იან წლებში, ოლიმპიური კომიტეტი ორი დიდი პრობლემის წინაშე იდგა: პირველი - ეპოვა თავისი ადგილი ქართულ სპორტულ სივრცეში და მეორე - რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო სეოკ-ის ინტეგრაცია საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში. ამ მხრივ ჩვენ უფლება არ გვქონდა არ გამოგვეყენებინა ლილეჰამერი. ეს რთული იყო, დიდ ძალისხმევასა და ორგანიზაციულად გამართულ მუშაობას საჭიროებდა.

სწორედ სასტუმრო „ლილეჰამერში" შედგა სეოკ-ის ხელმძღვანელობის პირველი ოფიციალური შეხვედრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან. დიდხანს მზადდებოდა ეს შეხვედრა და შედგებოდა თუ არა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავით. საქმე ის არის, რომ განსაკუთრებული შემთხვევების გარდა სოკ-ი თავს არიდებს ასეთ შეხვედრებს თამაშების მიმდინარეობის პერიოდში. 1994-2018 წლებში ჩატარებული ზაფხულისა და ზამთრის 14 ოლიმპიადის პერიოდში თამაშების მასპინძელ ქალაქებში სეოკ-ისა და სოკ-ის ხელმძღვანელობის პირველი პირების შეხვედრა სულ ოთხჯერ გაიმართა: პირველი ლილეჰამერში, მეორე იყო პეკინი, შემდეგ სოჭი და ვანკუვერი. ყველა მათგანს განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა. მეორე შემთხვევაში რუსეთ-საქართველოს ომი და დელეგაციის მიერ თამაშების სავარაუდო დატოვების საკითხი, მესამე შემთხვევაში საქართველოს სოჭის თამაშებში მონაწილეობა-არმონაწილეობასთან დაკავშირებული დიდი აჟიოტაჟი და აზრთა სხვადასხვაობა (მე ვიტყოდი, ეს სოკ-ის მხრიდან ჩვენს მიერ გადადგმული რაციონალური ნაბიჯის მიმართ ერთგვარი მადლიერების გამოხატვა იყო), მეოთხე შემთხვევაში კი - ნოდარ ქუმარიტაშვილთან დაკავშირებული ტრაგედია.



ხუან ანტონიო სამარანჩი ქართულ სახლში, საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისას

პირველ შეხვედრაზე, რომელსაც ჩვენგან ესწრებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი, დავით კაკაბაძე, რუსუდან აფციაური, თამარ ბალავაძე და ამ სტრიქონების ავტორი, უხერხული სიტუაცია შეიქმნა, რომელიც დაკავშირებული იყო, რბილად რომ ვთქვათ, ხუან ანტონიო სამარანჩის გათვითცნობიერებასთან ჭადრაკში. შეკითხვები, რომელიც მან ქალბატონ ნონას დაუსვა ჩვენთვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო...

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამარანჩის პრეზიდენტობის უკანასკნელ წლებში ჭადრაკს ერთი ნაბიჯიღა აკლდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართვამდე.

სხვათა შორის, სამარანჩი ლილეჰამერში კიდევ ერთხელ შეხვდა ჩვენი დელეგაციის წევრებს. ეს უკვე მოხდა „ქართულ სახლში"! ამ შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ისიც იყო, რომ იმავე წლის ზაფხულში სოკ-ის პრეზიდენტი წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად ეწვია საქართველოს.

დღესაც მადლიერებით მახსენდება პურმარილი, რომელიც ხუან ანტონიო სამარანჩის სტუმრობისას გაიშალა და რომლის შემომქმედნიც თამარ ბალავაძე და ან გარდაცვლილი ბეჟან ხურციძე გახლდათ. ამ სახლში ვემცხოვრები აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტების სახით მათ ნამდვილად კარგი ასისტენტები ჰყავდათ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ლილეჰამერში ხუან ანტონიო სამარანჩთან შეხვედრასა და მის „ქართულ სახლში" სტუმრობას დიდი ძალისხმევა მოახმარა ქართული ემიგრაციის შესანიშნავმა წარმომადგენელმა ჩიტო რუხაძემ, რომელიც იმხანად სოკ-ის ოფისში მუშაობდა.

უნდა ითქვას, რომ ლილეჰამერში „ქართულმა სახლმა" თავისი მისია ფრიად წარმატებით შეასრულა - სტუმართა შორის იყვნენ სოკ-ისა და კონტინენტალური ასოციაციის მაღალჩინოსნები, 20-ზე მეტი ეოკ-ის ხელმძღვანელები, დიპლომატები, ბიზნესმენები, სპონსორები, ჟურნალისტები, უცხოეთში მცხოვრები ქართველები. სწორედ ლილეჰამერის პოზიტიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდგომში წარმატებით ფუნქციონირებდა „ქართული სახლები" ატლანტაში, ათენში, პეკინში, ლონდონში.

დაბოლოს, როგორც სპეციალისტები და თვითმხილველნი ამბობენ, ორგანიზაციული თვალსაზრისით ლილეჰამერი - 1994 ნამდვილად კარგი იყო; ლილეჰამერი-2016 კი - შედარებით წარუმატებელი.

**ემზარ ზენაიშვილი**

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოფლიო ფეხბურთის პლეხანოველი პიონერი



კობა ინასარიძე
სარბიელი 30

ფეხბურთი მარტივი თამაშია, იოლად ასახსნელი, გასაგები... ამიტომაც არის გენიალური.

ბურთი ხელზე მოგხვდება? ჯარიმაა... საჯარიმოში მოგხვდება? პენალტი... მეტოქეს ეუხეშები? ყვითელ ბარათს მიიღებ... უფრო მეტად ეუხეშები? წითელს მოგცემენ და მოედანს დაგატოვებინებენ... მერე ამ ეპიზოდს ცალკე განიხილავენ და ან ბევრ თამაშს გამოგატოვებინებენ, ან - ცოტას... თავდამსხმელი თუ ხარ და მეტოქის კართან მცველზე ახლოს ხარ, თამაშგარეა... ბურთი მცველისგან კარს უკან თუ გადავა, კუთხურს მოაწვდი. გვერდიდან - აუტს... ეგაა და ეგ. პერიოდულად ფეხბურთის თამაშის წესებს რაღაცას მიუმატებენ, გამოაკლებენ, თუმც პრინციპი საუკუნეზე მეტია არ იცვლება...



მიშელ პლატინი და სულხან იაშვილი

1992 წლის 25 ივლისს კი ფიფამ ფეხბურთს ერთი ახალი წესი დაამატა. ერთი შეხედვით იქნებ დიდი არაფერი, მაგრამ წუთით თუ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ფრიად მნიშვნელოვანი სიახლე დანერგილა... და ვინ მოიგონა? ჩვენებურმა, სულხან იაშვილმა, ვისაც დიდ ფეხბურთთან ოდენ „დინამოს" ქომაგობა აკავშირებდა. არანაირი პროფესიული შეხება, ინჟინერმექნიკოსია...

და მთავარი აღარ ვთქვათ? ბევრმა, მით უმეტეს ახალმა თაობამ, არ იცის, რომ იდეა, რომლის დედააზრიც მეკარისთვის მცველისგან მიღებული ბურთის ხელებში აღების აკრძალვა გახლდათ, სწორედ ამ პლეხანოველი კაცის თავში მოიხარშა.

- „დინამოს" თამაშებს არ ვაცდენდი და მუდამ აღშფოთებული ვრჩებოდი, როცა ჩვენების მეტოქეებს სათამაშო დრო გაჰყავდათ. მეტწილად ეს მეკარისთვის ბურთის უკან დაბრუნებით ხდებოდა. მეკარე ბურთს ხელებში აიღებდა, იქით გაირბენდა, აქეთ და ამასობაში ოქროს წამები გადიოდა. მერე დავფიქრდი და 1987-1988 წლების სეზონიდან იმ დროის აღრიცხვა დავიწყე, რაც ბურთის მეკარისთვის დაბრუნებისას იკარგებოდა. მახსოვს, ერთხელ, ორივე გუნდიდან მეკარისთვის ბურთის 29 დაბრუნება დავთვალე, მეორე მატჩისას გაცილებით მეტი - 52. მოკლედ, დავაჯამე და გამოვიდა, რომ მთელი სათამაშო დროის 4-5 პროცენტი ამ „კომბინაციას" მიჰქონდა, - გვიამბობს სულხან იაშვილი, ვინც ფეხბურთის წესებში ახლა კიდევ სამი ცვლილების ინიციატივით გამოდის...

„მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზეც გავაკეთე ქრონომეტრაჟი. იქ, საშუალოდ, მატჩში 5-7 წუთი დაიკარგა ბურთის მეკარისთვის დაბრუნებაში. მერე ეს ყველაფერი წვრილ-წვრილად ჩამოვწერე და წერილად ფიფაში ვაფრინე. პასუხი მალევე მომივიდა, კერძო პირების წერილებს არ განვიხილავთ, თქვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მიმართეთო. მივმართე. მაშინ ჩვენი ფედერაცია ფიფას წევრი არ იყო, ჩემი წერილი კი ნოდარ ახალკაცმა ფიფასთან კიდევ ერთ დამატებით კომუნიკაციად გამოიყენა. არც მაშინ დააყოვნა პასუხმა - ის, რასაც გვთავაზობთ, ჯერ თქვენთან გამოსცადეთო. ექსპერიმენტი თბილისის „იბერიას" ერთ-ერთი ამხანაგური მატჩისას ჩატარდა. 3-დან 6-წუთამდე დრო დაიკარგა", - ამბობს იდეის ავტორი.



FEDERATION INTERNATIONALE DE FOOTBALL ASSOCIATION

Mr Nodar Akhalkatsi, President
Georgian Football Federation
Shota Lamabidze Str. 5
380012 Tbilisi
Republic of Georgia

23 September 1994
WG/bb

New Football Rule by Mr S. Iashvili

Dear Mr Akhalkatsi, dear friend,

We acknowledge receipt of your fax dated 22 September 1994 for which we thank you.

We are most grateful to Mr Iashvili for contributing directly to the realisation of this new rule which has greatly contributed to the development of football worldwide. We appreciate the work of all pioneers whose ideas help to improve our beloved sport.

Yours sincerely,

FEDERATION INTERNATIONALE DE FOOTBALL ASSOCIATION

Walter Gagg
Head of the Technical Dept

საქართველოში ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ ფიფამ წესი 1991 წელს, ეკვადორში გამართულ მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოიყენა. გაამართლა. 1992 წლის 25 ივლისს კი ფეხბურთის თამაშის წესებში ცვლილება შევიდა, იმ დღის შემდეგ მეკარეს თანაგუნდელისგან მიღებული ბურთის ხელებში აღება არ შეუძლია.

კი მაგრამ, თავით მიწოდებულ ბურთს რატომ იღებენ მეკარეები? - ვკითხე სულხან იაშვილს.

„ჩემს წერილში მხოლოდ ფეხით პასზე იყო ყურადღება გამახვილებული," - მივიღე პასუხად.

ორი წლის შემდეგ ნოდარ ახალკაცმა ფიფას წერილით მიმართა, სულხან იაშვილი ხსენებული წესის ავტორად ითვლება, თანაავტორად თუ რა სტატუსი აქვსო...

„1994 წლის 22 სექტემბერს წერილი გაიგზავნა, 23 -ში კი ფიფას ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერილი წერილი მოვიდა: სულხან იაშვილისადმი მადლიერების გამოხატვით გაცნობებთ, რომ მისი მოწოდებული იდეა დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი საყვარელი თამაშის განვითარებისთვის, გმადლობთ რომ ხელი შეუწყვეთ ახალი წესის დამკვიდრებასო, მოიწერეს ფიფადან. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს გარდა ფიფას კიდევ 12-მა კაცმა მიმართა ერთმანეთის მსგავსი წინადადებით, თუმც მოგვიანებით ითქვა, რომ მათ შორის ყველაზე დასაბუთებული, არგუმენტირებული ჩემი მიმართვა გახლდათ. პიონერად სწორედ მე ჩამთვალეს".

სულხან იაშვილს დავთარში ახლა ფიფასთვის მისაწოდებლად გამზადებული კიდევ სამი წინადადება აქვს მონიშნული და ვინ იცის, მალე, იქნებ ესენიც მარტივ წესად იქცეს...

„სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისას მეტოქის მეკარის ბაქანზე არ იყოს თავდამსხმელი; თავით პასისას გაუქმდეს თამაშგარე მდგომარეობა; მატჩის დაწყების წინ, მისალმებისას, მეტოქეებმა ხმამაღლა წარმოთქვან, რომ დაიცავენ პატიოსანი თამაშის წესებს. აი, ასეთი სამი მოსაზრება მაქვს, რომელიც ფიფას უნდა გავუზიარო. მეკარის ბაქანზე თავდამსხმელთა არყოფნით მეტოქეთა შორის ბოლო დროს ასე გახშირებულ ძიძგილაობას ავიცილებთ თავიდან; თავით პასისას თავდამსხმელს მიეცემა უპირატესობა; ხოლო, ერთგვარად ფიცის წარმოთქმა ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად იმოქმედებს და თამაშისას ერთმანეთთან მეტი პატივისცემით იქნებიან".





უმანე ჩუხაძის პირადი არქივიდან

## სიმწრის პირსახოცი

„სარბიელს" მაშინ არსებული დაბალი ლიგის თამაშების გაშუქებაც წესად ჰქონდა. ერთ-ერთი პრინციპული მატჩის განსასჯელად ფედერაციიდან დასავლეთ საქართველოში ცნობილი არბიტრი ოთარ გუნთაძე და მისი ბრიგადა მიავლინეს. მეც ტრიბუნაზე გახლდით და ტაბლოზე ანგარიშს რომ ვუყურებდი, გული ცუდს მიგრძნობდა. აგებდნენ მასპინძლები და ადგილობრივი ქომაგის აგრესიაც მატულობდა.

წააგეს ის თამაში მასპინძლებმა... წამატჩევს ოქმის გადასამოწმებლად მსაჯთა ოთახში რომ შევედი, სწორედ მაშინ გამოარღვია 30-მდე თავზეხელაღებულმა დაცვის კორდონი. სიბნელე იყო იმხანად საქართველოში და რამდენიმე პოლიციელი, აბა, რას გახდებოდა?!

თავბედს ვიწყევლი, თან ჟურნალისტის მოწმობას ვეძებ, იქნებ საბუთმა გაჭრას და ჯადავრჩეთ. ვიდრე მომხდურები კარს ამტვრევენ, ვაფიქსირებ, რომ ოთახში მხოლოდ მე და გუნთაძე ვართ, მატჩის კომისარი და მსაჯის ასისტენტები არსად ჩანან. მაგიდასთან მჯდარმა ოთარმა თავზე პირსახოცი გადაიფარა, თავი დახარა და სიმწრისგან სიცილი დაიწყო. შემოანგრიეს კარი და იქვე გაჩერდნენ..

- აბა ამას რა პასუხი მოვთხოვოთ, ამხელა კაცი ბავშვივით ტირისო... გუნთაძის მოცახცახე მხრებმა გადაგვარჩინა.

მამუკა კვანტალიანი

## სარბიელი 30



„სარბიელს" ზურა ფოცხვერიას წყალობით დავუმეგობრდი. თავად ზურა კი ტელევიზიაში გავიცანი, როცა ის სჭთანამშრომლოდ სპორტულ რედაქციაში მოვიდა. თუმცა ჩვენთან დიდხანს არ დაყოვნებულა, აშკარად იმაზე მეტი ამბიცია და კრეატიული იდეები ჰქონდა, ვიდრე ერთ, თუნდაც კარგ ჟურნალისტს. ცოტა ხნით „დაგვეკარგა", 1990 წლის მიწურულს კი ისევ გამოჩნდა, გაზეთ „სარბიელის" პირველ ნომერთან ერთად!

დახვეწილი დიზაინის, კარგი ქართულის, ავტორების პროფესიონალიზმისა და ოპერატიულობის წყალობით, „სარბიელმა" სპრინტერულ ტემპში მოიპოვა პოპულარობა. მახსოვს, თუ დილაადრიან ვერ ვასწრებდი გაზეთის ყიდვას, „სარბიელის" ხელში ჩასაგდებად ტელევიზიის ბიბლიოთეკაში კარგა ხანს მიწევდა ლოდინი. ეს რომ ზურა ფოცხვერიას ვუამბე, შემომთავაზა - ყველა ნომერს გადაგინახავთო! ხოდა შევივლიდი „სარბიელის" რედაქციაში, კოლეგებთან ჩვენი სპორტის ავ-კარგზე ვისაუბრებდი და ტელევიზიაში გაზეთების სოლიდური შეკვრით ვბრუნდებოდი. ბოლოს მითხრეს - მაინც თანამშრომელივით დადიხარ და ბარემ გაზეთისთვის რამე დაწერეო! იმხანად საკმაოდ დაძაბული გრაფიკი მქონდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი, რამდენიმე წერილი და ინტერვიუ მართლაც მოვამზადე. არ ვიცი გაზეთს რა ვარგე, მაგრამ „სარბიელთან" იმ, თუნდაც ხანმოკლე თანამშრომლობას დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ!

შარშან ჩემი და „სარბიელის" გზები ისევ გადაიკვეთა, ოღონდ სხვა ფორმით. გაზეთის საიტისთვის ჩვენი ლეგენდარული მოჭადრაკე ქალების, „ქართული ფენომენის" შესახებ ფილმი მოვამზადეთ. ძალიან მეამაყება რომ ის ფილმიცა და მაია ჩიბურდანიძესთან ინტერვიუც, რომელიც მრავალწლიანი დუმილის შემდეგ მოგვცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, „სარბიელის" საიტზე დევს!

იმედია გაგრძელება იქნება!

თამარ ბალავაძე

# 150 გირვანქიდან 222 მილიონამდე


სოლომონ გულისაშვილი
სარბიელი 30




**5 ყველაზე ძვირი ტრანსფერი**

**1. ნეიმარი (ბრაზილია). ბარსელონა - პარი სენ-ჟერმენი. 222 მლნ. ევრო. 2017 წელი**

**2. კილიან მბაპე (საფრანგეთი). მონაკო - პარი სენ-ჟერმენი. 180 მლნ. ევრო. 2018 წელი**

**3. ფილიპე კოუტინიო (ბრაზილია). ლივერპული - ბარსელონა. 145 მლნ. ევრო. 2018 წელი**

**4. ჟოაო ფელიში (პორტუგალია). ბენფიკა - ატლეტიკო. 126 მლნ. ევრო. 2019 წელი**

**5. ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი). ატლეტიკო - ბარსელონა. 120 მლნ. ევრო. 2019 წელი.**




დიდი ხანია ფეხბურთში რომანტიზმის ხანა დამთავრდა. აბა დღეს ვინლა წარმოიდგენს, რომ შეიძლება ჩემპიონთა ლიგა „სტიაუამ" ან „ცრვენა ზვეზდამ" მოიგოს. ფინალში გავიდეს „პარტიზანი," „სენტ ეტიენი" ან „მალმიო".

ბოლო სამი ათეული წელია ყველაფერი ფულმა შეჭამა. მათ შორის სატრანსფერო სისტემაც. მთავარი ამბავი ამ მხრივ 1995 წელს მოხდა. ეგრეთ წოდებულმა ბოსმანის საქმემ ყველანაირი აკრძალვა მოხსნა ევროკავშირში უცხოელ ფეხბურთელებზე. თუ მანამდე კლუბებს მაქსიმუმ სამი უცხოელი შეეძლოთ ყოლოდათ, ბოსმანის საქმის შემდეგ ევროპული ფეხბურთი ჩვეულებრივ საერთაშორისო ბაზრად გადაიქცა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროპის ტოპ ჩემპიონატებში უკვე უცხოელები ჭარბობენ ადგილობრივებს. გაივსო იქაურობა დემბელეებით, ნდომბელეებით და მენდებით.

სამი წლის წინათ საერთოდ დაუჯერებელი რამ მოხდა: „პარი სენ-ჟერმენმა" ბრაზილიელ ნეიმარში 222 მილიონი ევრო გადაიხადა...

პროფესიონალი ფეხბურთელების საერთაშორისო ასოციაციის (FIFPro) გენერალურმა მდივანმა, ტეო ვან სეგელენმა, ამ ტრანსფერს კონკურენციის დამსამარებელი უწოდა.

„ფეხბურთი სულ უფრო ექცევა მდიდარი კლუბების გავლენის ქვეშ. ახლა უკვე მხოლოდ რამდენიმე ფულის ტომარას შეუძლია საუკეთესო ფეხბურთელების ნებისმიერ თანხად შეძენა. კონკურენცია მოკვდა." - დასძინა ვან სეგენელმა. ძნელია არ დაეთანხმო ამ ადამიანს.

არადა, პირველი რეგისტრირებული ფეხბურთელი, რომელიც გუნდიდან გუნდში ფულის გამო გადავიდა, გახლდათ ვილი გროუვზი. ის 1893 წელს „ვესტ ბრომვიჩიდან" „ასტონ ვილაში" გადაბარგდა. ახალმა კლუბმა მასში 150 გირვანქა გადაიხადა. ამ დროს ოდენ რვა წლის შემოღებული იყო პროფესიონალი ფეხბურთელის სტატუსი.

1925 წელს შედგა პირველი ხუთნიშნა ციფრის ტრანსფერი - დევიდ ჯეკი „ბოლტონიდან" „არსენალში" 10 890 გირვანქად გადავიდა. თუმცა, „მეთოფეთა" მენეჯერ ჰერბერტ ჩეპმენს ამისთვის ბოლტონელთა წარმომადგენლების გამოთრობა მოუწია. ვერ თანხმდებოდნენ.

პირველი მოთამაშე, რომელშიც 100 ათას გირვანქაზე მეტი გადაიხადეს, ლუის სუარეს მირამონტესი გახდა. „ინტერმა" „ბარსელონას" მასში 150 ათასი გირვანქა შეაძლია.

1975 წელს კი ფეხბურთელის ფასმა პირველად მიაღწია მილიონ გირვანქას (ორ მილიარდ ლირას) - ეს მოთამაშე ჯუზეპე სავოლდი გახლდათ. მან „ბოლონიას" „ნაპოლი" არჩია.

სხვათა შორის, სავოლდის თბილისშიც აქვს ნათამაშევი. 1978 წლის 13 სექტემბერს. სწორედ იმ „ნაპოლის" ლიდერი იყო, რომელიც თბილისის „დინამომ" უეფას თასის 1978-79 წლების გათამაშების პირველ რაუნდში გამოაგდო. თბილისში 2:0 მოვიგეთ (გოლები - ყიფიანი, შენგელია), ნეაპოლში კი 1:1 ვითამაშეთ. იქ სავოლდიმ გაგვიტანა პენალტით.

ჩვენს გოლს კი საინტერესო ისტორია აქვს. თამაშის დღეს ვიტალი დარასელიას ვაჟი შეეძინა. მან თქვა: ვინც გოლს გაიტანს, შვილს მის სახელს დავარქმევო. გოლი თავად დარასელიამ გაიტანა 66-ე წუთზე და ბავშვსაც ვიტალი დაარქვეს.

მერე იყო ცხონებული დიეგო მარადონა, რომელმაც თავისივე სარეკორდო ტრანსფერი გააუმჯობესა. „ბარსელონამ" დიეგო „ბოკა ხუნიორსიდან" 3 მილიონად, მერე კი „ნაპოლიმ" „ბარსელონასგან" 5 მილიონად შეიძინა.

შეიძინა და დიეგომ იქ ისტორია დაწერა - ითქვა, ნეაპოლის „სან პაოლოს" სტადიონს დიდი არგენტინელის სახელი დაერქმევაო.

მარადონას შემდეგ საკუთარი სატრანსფერო რეკორდის გაუმჯობესება მხოლოდ „კიჭა" რონალდომ შეძლო. „ბარსელონამ" პსვ-ს მასში 13,2 მილიონი გადაუხადა 1996-ში, მერე კი კატალონიური კლუბიდან „ინტერში" 19,5 მილიონად გადავიდა.

ინფლაციის გათვალისწინებით, თანხები სულ უფრო იზრდებოდა და როცა ერნან კრესპო „ლაციოდან" „პარმაში" 30 მილიონად გადაბარგდა, BBC-იმ რიტორიკულად იკითხა: მსოფლიო გაგიჟდა? მაგრამ თურმე ჯერ სად იყო...

ბოლო წლებში საერთოდ გაუგონარი ამბები ხდება. ლუიშ ფიგუ „რეალიდან" „ბარსელონაში" 57 მილიონად გადავიდა. ერთი წლის შემდეგ „რეალმა" „იუვენტუსს" ზინედინ ზიდანში 77,5 მილიონი გადაუხადა. დაუჯერებელი ამბავი იყო, იტალიურ ვალუტაში ეს თანხა 150 მილიარდ ლირას შეადგენდა... რეკორდი რვა წლის განმავლობაში შენარჩუნდა.

მერე იყო იმავე „რეალის" მიერ კრიშტიანუ რონალდუში გადახდილი 94 მილიონი ევრო. ოთხ წელიწადში „სამეფო კლუბმა" თავისივე რეკორდი გააუმჯობესა - გარეთ ბეილში „ტოტენჰემს" 100 მილიონი ჩაუთვალა.

2016 წლის ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედმა" იყოჩაღა - პოლ პოგბაში 105 მილიონი გადაიხადა. მალე კი „პარი სენ-ჟერმენმა" საერთოდ ფურორი მოახდინა - ბრაზილიელ ნეიმარში 222 მილიონს გამოვიდა...

რაც შეეხება ქართველ ფეხბურთელებს. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშობდნენ და ცხადია, უცხოეთში ვინ გაუშვებდა, თორემ მათშიც საკმაოდ სოლიდურ თანხებს გადაიხდიდნენ.

სთავაზობდნენ კიდეც უცხოელები ჩუმ-ჩუმად, მაგრამ წახვიდოდი და შენს ოჯახს და ახლობლებს ისეთ დღეს მოუწევდნენ, ფეხბურთი კი არა, სიცოცხლე აღარ მოგინდებოდა - ეს, სხვათა შორის, დავით ყიფიანის სიტყვებია.

მერე კი წავიდნენ და წავიდნენ. 2001 წელს „მილანმა" კახა კალაძეში 16 მილიონი ევრო გადაიხადა. ამდენად, დღემდე ის ყველაზე ძვირად ღირებულ ქართველ ფეხბურთელად რჩება.

კიდევ რამდენიმე „მილიონერი" გვყავს. 1995 წლის ზაფხულში „მანჩესტერ სიტიმ" თბილისის „დინამოს" გიორგი ქინქლაძეში 3 200 000 დოლარი გადაუხადა, 1998-ში კი „აიაქსმა" „სიტის" ქართველში 5 მილიონი დოლარი ჩაუთვალა.

1997 წელს „აიაქსმა" შოთა არველაძე „ტრაბზონსფორიდან" 1,6 მილიონ დოლარად იყიდა. ხოლო ოთხ წელიწადში შოტლანდიურ „რეინჯერსს" 4,5 მილიონად მიჰყიდა.

თემურ ქეცბაია „ნიუკასლიდან" „ვულვზში" 2000 წელს 1,4 მილიონ ევროდ გადავიდა.

1997 წელს „ფეიენოორდმა" თბილისის „დინამოს" გიორგი დემეტრაძეში 1 მილიონი ევრო გადაუხადა. ოთხ წელიწადში კი „რეალ სოსიედადმა" უკვე კიევის „დინამოს", ქართველში 5,4 მილიონი ევრო შეაძლია.

საბა კვირკველიაში 2017 წელს მოსკოვის „ლოკომოტივმა" ყაზანის „რუბინს" 3 მილიონი ევრო გადაუხადა, წლეულს აგვისტოში კი ვოლგოგრადის „როტორმა" 5 მილიონი გადაურიცხა რკინიგზელებს მის სანაცვლოდ.



სარბიელი 30

ძვირფასო სარბიელელებო!

ყველას გილოცავთ იუბილეს. ყველას, ვინც დააფუძნა ეს არაჩვეულებრივი გაზეთი და მათ, ვინც თავდაუზოგავად მუშაობდით „სარბიელის" რედაქციაში.

მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც ძალიან ბევრი წაუკითხავს თქვენთან და ბუნებრივია, მეტ ინფორმაციასთან წვდომის საშუალება მქონდა.

ვიყავი თქვენი გამოკითხვების ლაურიატიც, მკითხველიც და გულშემატკივარიც.

გილოცავთ!!!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით

რევაზ არველაძე

# სიმძიმე? რამდენიც გინდა!



# დევკაცი




ჩვენი ბიჭი ყველაზე ძლიერია!

აქ შეგიძლიათ ნახოთ ლაშა ტალახაძის გამოსვლის ვიდეო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონები


ირაკლი ფირაშვილი
სარბიელი 30

„სარბიელი" ორ ოლიმპიადას გამოაკლდა - 2012 წლის ლონდონის და 2016 წლის რიო დე ჟანეიროს თამაშებს. ამ ხანში სამი ჩემპიონი წამოგვესწრო - ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი, მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და ძალოსანი ლაშა ტალახაძე. ისინი არ არიან რიგითი ჩემპიონები, სამივე განსაკუთრებულია და სამივე ძალიან გვეამაყება. და სამივე ჯერაც მოქმედია.

**ლაშა შავდათუაშვილი** ლონდონში 20 წლის იყო, მასზე მეტად ალბათ უფრო სხვებისგან ველოდით მაღალ შედეგებს, მაგრამ ამ უთქმელმა და მორიდებულმა ბავშვმა სოფელ კარალეთიდან ისტორია გადაწერა - გახდა ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, მოიგოლამაზად, მოიგოთავდაჯერებით. მერე კი გაუძლო რამდენიმეგრამიანი ოქროს მედლის აუტანელ სიმძიმეს. არ ვიცი, როგორ ძლია თვითკმაყოფილების გამაზარმაცებელ შეგრძნებას, მაგრამ მან გააგრძელა სპორტსმენის კარიერა. მოიგო იქ, სადაც სხვა აღზევებული ქართველები კრახით მარცხდებოდნენ. ღარიბი ბიჭი უზარმაზარმა საპრიზომ ვერ შეცვალა, პოპულარობის მოვარდნილმა სურნელმა ვერ შეაჯავრა დარბაზში მოდენილი ოფლის სუნი. ტრავმებს მოერია, წონა შეიცვალა (რაც უნდა იყოს ჯერაც მზარდი სხეული ოდნავ უმძიმდებოდა), 2016 წელს რიო დე ჟანეიროში ტატამზე იდგა და იქ ბრინჯაოს მედალს შესწვდა. ეს იყო ბოლო ოლიმპიადებზე ერთადერთი შემთხვევა, როცა ქართველმა სპორტსმენმა ოქროს ბრინჯაოს მედალიც მოაყოლა.

გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - მსუბუქ წონაში მსოფლიოშისაუკეთესოთავისუფალი სტილით მოჭიდავე. მისი ისტორია ცოტათი განსხვავდება შავდათუაშვილის ამბისგან. 2012 წელს ლონდონში ისიც პატარა ბიჭი იყო დიდი გულით და მასაც ოქრო უნდა მოეგო. მძიმე ბრძოლით მივიდა ფინალამდე, სადაც შეხვდა კავკასიის კიდევ ერთ შვილს, რუს (ჩეჩენ) ჯემალ ოთარსულთანოვს. წესებში სრულყოფილად ვერ ვერკვევი და თავს ვერ დავდებ, მაგრამ ისე მომეჩვენა, რომ მსაჯებმა რუსს ზურგში ხელი წაჰკრეს. იქ წაგება იყო უზარმაზარი იმედგაცრუება. ასეთი რამეები ადამიანს დაღს ასვამს, ანგრევს, მაგრამ ლადომ პირიქით, საწვავად გამოიყენა, ცხოვრების მთავარ ბრძოლაში წაგებით გაძლიერდა და შექმნა ახალი, გამარჯვებული კაცის ცხოვრება. ნიანგის მოთმინებით ელოდა შემდეგ ოლიმპიადას, ბევრს და ჯიუტად ვარჯიშობდა, ყველა ტურნირზე მოსაგებად მიდიოდა, მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, სამჯერ ევროპირველობა და მშიერი ჩავიდა რიო დე ჟანეიროში, სადაც ულაპარაკოდ საუკეთესო იყო. ფინალში 0:3 შემოუტრიალა იაპონელ რეი ჰიგუჩის. ლადო მერეც აქტიურად ჭიდაობს და შრომისმოყვარეობის მაგალითს აძლევს მომყოლ თაობას.

**ლაშა ტალახაძე** - საჩხერელი ძალოსანი მძიმეწონოსანი, საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი, ყველაფრის ჩემპიონი და ყველაფრის რეკორდსმენი. ასეთი ადამიანი დედამიწაზე საუკუნეში თითო იბადება და ჩვენსბედად ამ საუკუნეში საქართველოში დაიბადა. მისი შედეგები შიშისმომგვრელია. რა არაადამიანური ძალაა ჩაბუდებული ამ კეთილ, ღრმადმორწმუნე ბიჭში?! სადაა მისი ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარი? როდემდე უნდა აუმჯობესოს საკუთარივე მსოფლიო რეკორდები? რკინის რამდენი ბლინი უნდა დაუმატონ შტანგაზე, რომ ამან ვერ ასწიოს? თან რა იოლად აჰკრავს, რა მშვიდი სახით აიტაცებს! ეს არაა ტკივილისგან დაკრუნჩხული ძალოსნის სახე, რომლისთვისაც ყოველი ზედმეტი კილოგრამი გულმუცლის ჩაწყვეტა და სიკვდილთან მიახლოებაა. ლაშა ტალაძის და მსოფლიოს დანარჩენ გოლიათებს შორის სხვაობა ათეულობით კილოგრამს შეადგენს. არის ლაშა და სადღაც ძალიან დაბლა არიან დანარჩენები. ლაშამ მოიგო 2016 წლის რიოს ოლიმპიადა, ზედიზედ ოთხი მსოფლიოს ჩემპიონატი, ზედიზედ ოთხი ევროპა, მათ შორის შარშან ბათუმში გამართული კონტინენტის პირველობა და იქ მეორე ადგილზე გასულ ირაკლი თურმანიძეს 31 კილოთი გაასწრო. არანორმალური შედეგია! არანორმალურია, რომ მან თავის სულ პირველ დიდ ტურნირზე 16 კილოთი აჯობა მეორე ადგილოსანს, მერე კი სხვაობები მუდამ 20-30 კილოები იყო! ლაშას უნდა მოეგო წლევანდელი ტოკიოს ოლიმპიადა, მაგრამ არა უშავს, გაისად მოიგებს. და ის მხოლოდ 27 წლისაა.





სარბიელი 30

სარბიელი ერთ-ერთი პირველი რამე იყო რაც დამოუკიდებელ საქართველოში მომეწონა. მახსოვს თვითონ 11X11-ში ვმუშაობდი იმერეთში საკუთარ კორესპონდენტად და თითქმის მთელი ჰონორარი, სადღაც 30-40 ლარი იყო თვეში, კონკურენტი გაზეთის ყიდვაში მეხარჯებოდა. არასდროს მინანია. ყველა ნომერი ღირდა იმ 50 თეთრად თუ 1 ლარად, რა ფასიც ჰქონდა. ყველაზე მეტად მხატვრული ენა მომწონდა, რაც ძაან რთულია სპორტს მიუსადაგო და რასაც სარბიელელები ჯადოსნურად ახერხებდნენ. ეჰ, კარგი დრო იყო -მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სარბიელი ახალი საქართველოს მტკივნეულ საწყის წლებს ნამდვილად ალამაზებდა. მადლობა ყველას, მოგვიანებით.

გიორგი ჯანელიძე






"They should try some of our excellent cognacs and Georgian champagne, we have plenty"

# KINKLADZE

ზურაბ მეძველია
სარბიელი 30

14 ივლისი ძალიან კარგად მახსოვს. ცხადია, არა ბასტილიის ალებით - ეგ ჩემს დაბადებამდე მოხდა - 1995 წლის 14 ივლისი. ალბიონის ალების დღე დავარქვი ჩემთვის.

ჰითროუს აეროპორტში სულ სხვას რომ ვხვდებოდი, ჟენევიდან ჩამოფრენილ მერაბ ჟორდანიას გადავეყარე და - გიო ქინქლაძე ჩამოდის მალე, „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი ხდებაო.

პარასკევი იყო და ეგრევე „სარბიელის" მომავალი ნომრის პირველ გვერდზე ვიფიქრე. მგონი, ყველაზე დიდი ტირაჟით ეგ ნომერი დაიბეჭდა. მერეც, სულ მცირე მაისამდე, არ ჩამოსულა პირველი გვერდიდან. მაგ ბიჭის ამბები ერთადერთი ნათელი წერტილია ამ სიბნელეშიო - ძალიან, ძალიან ბევრი გვწერდა მაშინ რედაქციაში.

ჰოდა, ჩამოფრინდა გიო, ვნახე და ცოტა ხანში ის და ჟორდანია მანჩესტერში გაფრინდნენ. მეორე დღეს ინგლისური გაზეთები იუწყებოდნენ უცნობი ქართველის „სიტიში" მისვლას და სათაურად უმეტესად Georgia on My Mind-ს ათამაშებდნენ. ნაღდად არ მეგონა იმ დღეს, რომ მალე ეს ჯორჯია ლამის მუდმივად იქნებოდა „სიტის" თამაშების რეპორტაჟების სათაურებში.

და სულ მალე შეიცვალა ერთი რამ - აი რის გამოც დავარქვი ამ 14 ივლისს ალბიონის ალების დღე - საქართველოს ცნობადობა ინგლისში: მორჩა ეს ფორმერ სოვიეტ და ბლექსი ნია თურქი და შევარდნადზე და მთლად ის მანიაკი... ქინქი და მორჩა.

... მესამე ტური იყო, გიოს „სიტის" მატჩს პირველად რომ დავესწარი. „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ეთამაშებოდა ლონდონში და მეგობართან ერთად მივადექი „ლოფტუს როუდს". ცხადია, სტუმარი ფანებისთვის განკუთვნილ პაბში შევედით. გაძეძგილია, ოღონდ არავინ ზის - სვამენ, ხტიან და მღერიან. ჩვენ დავსხედით და ვაკვირდებით. ცოტა ხანში მოვიდა ვიღაც ახმახი ტიპი, არცთუ სათნო გამომეტყველებით და წინ „ჩამოგვიჯდა", ოღონდ ასე - სკამზე ფეხები დადო და საზურგეზე დაჯდა. აბა, ვინა ხართ ეგეთები, ჩვენი სიმღერა რომ არ იცითო, გვკითხა და მოგვაშტერდა. ჩავთვალე, რომ ხუმრობის ან სხვა ექსპერიმენტების დრო და ადგილი არ იყო და - ერთი ახლობელი ბიჭი თამაშობს თქვენს გუნდში და იმის სანახავად მოვედითმეთქი. ვინაო. ახალია, მაგრამ მგონი მაინც უნდა იცოდეთ, ქინქლაძე-მეთქი... ასე წამში მსგავსი გარდაქმნა ჰომო საპიენსისა მგონი არც მინახავს არასდროს: წამოდგა სკამზე, ხელი აწია და დაიღრიალა - გაჩერდით და მუსიკა გამორთეთო. ბრძანება შესრულდა წამიერად. გაკვირვებული მზერები იქიდან და ჩვენს მაგიდასთან მოქუჩებული ხალხი თავის ლიდერს და ჩვენ შემოგვცქეროდა. ესენი - და თითი ჩვენკენ გამოიშვირა ლიდერმა - აი ესენი, საქართველოდან არიან და ქინქლაძეს იცნობენ!!!

მერე რაც ხდებოდა, უკაცრავად და, რომის პაპთან აუდიენციას უნდა შევადარო - ჩვენ ვიდექით და ალტაცებულსახიანი ხალხი, დიდიან-პატარიანა, მორჩილად ელოდა თავის რიგს ქინქლაძის ნაცნობისთვის ხელი რომ ჩამოერთვა ან მთლად გადახვეოდა. პაპი ტყუილად არ ვახსენე - ორი მათგანი ხელზე გვეამბორა კიდეც. მართლა. რაც ჩვენ მაგაზე ვიცინეთ, ოღონდ მერე, ცხადია.

და ეს იყო მესამე ტურში - ერთი ფრისა და ერთიც წაგებული მატჩის შემდეგ. ის ჯერ კიდევ უბრალოდ ქინქლაძე იყო.

მერე იყო Kingkladze და, ამ წარწერით და საქართველოს დროშიანი მაისურა, პირველივე დღეს 40 ათასამდე ცალი რომ გაიყიდა; მერე იყო მართლაც ზღაპრული თამაშები და პრესის აღიარება; მერე იყო „სიტის" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი „სიტის" ისტორიაში ყველაზე სუსტ გუნდში" და მერე იყო პრემიერლიგიდან გავარდნა და ქართულენოვანი პლაკატები „ძალიან გთხოვთ არ დაგვტოვო"!

თვალსაჩინოებისთვის აქ ერთი თამაშის რეცენზიები უნდა გავიხსენო. არა, „საუთჰემპტონთან" მისი ცნობილი გოლისა არა... თუმცა ცდუნება დიდია და ერთ აბზაცს იმ მატჩის დეილიტელეგრაფისეული წერილიდან მაინც მოვიყვან: „დიდად სამწუხაროა, რომ არ არსებობს ნიჭის ზუსტად გაზომვის არანაირი საშუალება. არ არსებობს არანაირი თერმომეტრი, რომელიც ფეხბურთელის ენის ქვეშ მოთავსდებოდა და ციფრობრივად შეაფასებდა მის ტექნიკას, მოქნილობას, მრავალფეროვნებას, ბურთთან დამოკიდებულებას, თამაშის რიტმისა და ნახაზის ხედვას, იმპროვიზაციის უნარს და ამ ყველაფრის ერთად შემკვრელს, მისი ხასიათის სიმტკიცეს. თუმცა ასეთი რამ რომ არსებობდეს, ნიძლავს დავდებდი, რომ ქინქლაძე ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავთა სიის თავში მოექცეოდა - ერიკ კანტონა, ალან შირერი, რაიან გიგზი, რობი ფაულერი, დენის ბერხკამპი და თვით გულიტიც კი, 33 წლის ასაკში, მასზე დაბლა განლაგდებოდნენ".

ჰოდა, ეს კარგი, მოგებული თამაშისა და გადასარევი გოლის მერე იყო, მაგრამ აგერ „მიდლსბროსთან" 1:4 განადგურების შემდგომი წერილები სამი სხვადასხვა გაზეთიდან:

The Times: „უსაზღვროდ სანახაობრივ მატჩში ორივე გუნდმა თავი შეტევას მიუძღვნა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო თავის დაცვა ხანგრძლივად.

და ამ პაექრობის შიდა პაექრობა? ის არ შედგა. ჟუნინიო ერთობ კარგად თამაშობდა. მან ერთი გოლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა და ერთიც თავად გაიტანა. თუმცა ჟუნინიოს აჯობეს არამარტო მისმა თანაგუნდელებმა ულშმა და ბარმბიმ, არამედ გიორგი ქინქლაძემაც, რომელიც სხვა კონტინენტზე კია დაბადებული, მაგრამ შაბათის მატჩში სხვა პლანეტიდან ჩამოსულს უფრო ჰგავდა. ქართველი მარჯვენა ფეხით იდგა, მარცხენით ჯადოქრობდა, დასამახსოვრებელი გოლიც შეაგდო და შექმნა საგოლე მომენტებიც, რომლებიც სხვებმა გააფუჭეს. მისთვის ადვილი გადასატანი არ იქნება უბრწყინვალესი თამაშის მიუხედავად განცდილი სასტიკი მარცხი.

ჟუნინიოს ჩამოსვლის აჟიოტაჟთან შედარებით ქინქლაძე თითქმის შეუმჩნევლად, ბრაზილიელის ნახევარ ფასად აღმოჩნდა „მეინ როუდზე". და მაინც, ალან ბოლი წინასწარმეტყველებდა, თამაშზე გავლენის უნარით ეს ორი იმპორტი თამბაქოს გასახვევი ქაღალდის სისქით თუ განსხვავდებიანო. ამ საბუთზე დაყრდნობით „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი თამბაქოს, სავარაუდოდ, შექსპირის სრული კრებულის გამოცემაში ახვევს".

Sunday Express: „ჟუნინიო იშვიათი ტალანტია, მაგრამ ნახევარ საათზე მეტი ხნის განმავლობაში მან მთლიანად უკანა პლანზე გადაიწია თბილისიდან ჩამოსული კაცის მისდამი სრულიად ანგარიშგაუწეველი დამოკიდებულებისა და საოცარი ოსტატობის გამო".

Daily Express: „რატომ გამოსჭვიოდა შურის ნაპერწკალი „მიდლსბროს" მატჩისშემდგომ ზეიმში? ამის ახსნა-განმარტება ორი სიტყვით გადმოიცემა - გიორგი ქინქლაძე. "მიდლსბროს" თითქმის ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ მას არ ჰყავდა პატარა კაცი საქართველოდან. მას არ ჰყავდა მებრძოლი-ხელოვანი, რომელმაც ნახევარი საათის განმავლობაში 30 ათას მაყურებელს დაანახა ალთქმული მიწის გაელვება".

... ჩამოვზიდე მთელი მაშინდელი პრესა, ვათარგმნინე კარგ მეგობარს რატი ყოლბაიას და „სარბიელმა" დავაპირეთ გამოგვეცა წიგნი: „პატარა გიო დიდ ინგლისში", მაგრამ... ძალიან დიდი გამოდგა ისეთი ხარისხის წიგნის დაბეჭდვის ხარჯი, გიოს და იმ სეზონს რომ ეკადრებოდა... რა გვეჩქარება, ყველაფერი წინააო, ვიფიქრეთ და გადავინახეთ უკეთესი დროებისთვის.

უკეთესი დროება, ქვეყანა რომ ქვეყანას დაემსგავსა, სადღაც ათწლეულში დადგა, მაგრამ მაგ დროს ქინქლაძე თავისი კარიერის წიგნის - „შემეძლო საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ვყოფილიყავი, მე კი კარიერას ყაზანში ვამთავრებ" - ბოლო თავს წერდა თათრეთის მოედნებზე...

**P.S.** ქინქლაძის კარიერით ჩემი იმედგაცრუება იმდენად დიდი გამოდგა, ზოგადად ფეხბურთისადმი ჩემს შეყვარებულობასაც კი მოაკლდა რაღაც გრადუსები. ინგლისიდან მისი წასვლის მერე მგონი ორჯერ ვნახე სულ. ამიტომაც იყო, ქინქიზე დაგვიწერე რამე ამ ნომრისთვისო, რომ მითხრეს, ფეხი კარგა ხანს ვითრიე - იმ 1995-96 სეზონის გახსენება კარგ მოგონებებში კი მაგდებს, მაგრამ მასევდიანებს კიდეც... თუმცა დღეს იუბილეა, სევდა და ტკივილოსნობა არ ეგების და იმით დავამთავრებ, რასაც „სარბიელის" ამ საგანგებო ნომერში გიო ნამდვილად იმსახურებს - ძალიან დიდი და გულწრფელი მადლობით! ის ხომ ბევრისთვის ლამის მართლაც ერთადერთი ნათელი იყო იმ სიბნელეში.

# მოკლე, ღონიერი

## ქართული სპორტი და

**საქართველო ნელი ტემპით შორდება დამანგრეველ 90-იანებს. მოკლე ნაბიჯებით ვითარდება ქართული სპორტიც. სამწუხაროდ, ვითარდება ხარისხობრივად და არა თვისობრივად, შეძლებისდაგვარად ვაუმჯობესებთ ძველს, სიახლე კი თითქმის შეუმჩნეველია. ძალიან უნდა მოვინდომოთ, რომ ქვეყანაში პროფესიონალი მორბენალი აღმოვაჩინოთ, ან თუნდაც მოცურავე, რომელიც მსხვილ საერთაშორისო ტურნირზე ლიდერებს მიუახლოვდება.**

ირაკლი ფირაშვილი
სარბიელი 30

ერთხელ ირლანდიელ კოლეგას რაგბიზე ვესაუბრებოდი, მორკინალები მაგრები გვყავს, მაგრამ ბეკებში გვიჭირს, ზოგადად სწრაფად ვერ დავრბივართ-მეთქი. როგორც ჩანს, მოკლე ფეხები გაქვთო. მაშინ ამ ხუმრობამ ზრდილობიანი ღიმილი მომგვარა, მაგრამ მერე ხშირად მახსენდებოდა ის უბოროტოდ ნათქვამი. იქნებ უნებურად მთავარ მიზეზს მიაგნო წითელცხვირა აიდან მაკგეტრიკმა? მართლა გენეტიკაში ხომ არაა საქმე და ნუთუ აგებულება არ გვიწყობს ხელს, პოლინეზიელ თუ არა კელტ ვინგერს რომ გამოვედევნოთ? რატომ აქვს გრანდჩაკოელ ფრთას უკეთესი პლასტიკა? ფიჯელებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებიც 110-კილოგრამიანი სხეულით არაბუნებრივ სისწრაფეს ავითარებენ და ფინტსაც ისეთს დაგირტყამენ, ჩამრგვალებულ სხეულზე ვერც წაეპოტინები.

„ღონე ბუნებრივი მონაცემია, ან დაგყვება, ან - არა. ხელს რომ წაავლებ, მკლავი უნდა მოტეხო, მაშინ ხარ კარგი ძიუდოისტი. მარტო ვარჯიშით მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდები" - ამის მთქმელი მრავალმხრივ ნიჭიერი ბიჭია, ოდესღაც თავის წონაში მესამე ნომერი იყო. ხარივითაა, მაგრამ ალალად თქვა, მე არ ვყოფილვარ საკმარისად ძლიერიო, ზვიადაურს რომ ვესპარინგებოდი, დაღლილობისგან ფეხზე ვერ ვიდექი, რამდენჯერ ცხვირიდან სისხლი წამსკდომიაო.

ალბათ სისწრაფეც ბუნებრივი მონაცემია. თუ წვივებში ზამბარებით არ დაიბადე, ვარჯიშით თავი რომც მოიკლა, ოლიმპიადაზე ვერ მოხვდები.

მრავალფეროვნებისთვის კარგი იქნებოდა, ოლიმპიადებზე წარგვედგინა მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებული მძლეოსანი. ამის მოლოდინი უსაშველოდ დიდხანს გაიწელა. ბოლო მძლეოსანი, რომელიც პირველივე გარბენში არ ამთავრებდა გამოსვლას და თუნდაც ერთი ეტაპის გადალახვა შეეძლო, იყო თარჯმორბენალი დავით ილარიანი.

ოლიმპიადები ერთმანეთს მისდევენ, საქართველო კი რჩება ჯანიანი ბიჭების იმედად. მოჭიდავეები, ძიუდოისტები, ძალოსნები... ტყიანი მთა-ბორცვების ფერდობებზე შეფენილი ქართული სოფლები და დაბები კვლავ და კვლავ შობენ ფალავნებს და ჩემპიონებს, როგორც ადრე შობდნენ მეომრებს.

საქართველო ზაფხულის ოლიმპიადებზე 1996 წლიდან გამოდის საკუთარი დროშით: ექვსი თამაშები მოვილიეთ, რვა ჩემპიონი გვყავს და რვავე სწორედ ძალისმიერი სამეულიდან - სამი ძიუდოისტი, სამი მოჭიდავე და ორი ძალოსანი. თუკი ქართველი მსოფლიოში რაიმე სპორტში საუკეთესოა, სწორედ ამ სამეულში.

ლაშა, ლადო, ლაშა - ეს ტრიო გამორჩეულია ბოლო ათწლეულში ოლიმპიურ სახეობებში. ამავე სპორტებში გვყავს მსოფლიოს ჩემპიონებიც. ჩამოვთვალოთ: ავთო ჭრიკიშვილი, გურამ თუშიშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (ძიუდო), გენო პეტრიაშვილი, ზურა იაკობაშვილი, ბექა ლომთაძე (თავისუფალი ჭიდაობა), ნუგზარ წურწუმია, ლაშა გობაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ანასტასია გოტფრიდი (ძალოსნობა).

ანასტასია გოტფრიდი უკრაინელი გოგონაა, რომელმაც ოცი წლისამ დატოვა დონეცკის ოლქშიმშობლიურისნიჟნე, ხუთჯვრიანი დროშით დაიწო გამოსვლა და 2017 წელს ამერიკული ანაჰაიმის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლაშას დარად ოქრო მოუპოვა საქართველოს.

ცალკე სახსენებელია კიდევ ერთი გორელი ფალავანი გენო პეტრიაშვილი, რომელსაც რიოს ოლიმპიადაზე 23 წლისას მხოლოდ ბრინჯაო ერგო, მაგრამ მერე თავისუფალ ჭიდაობაში ზემძიმე წონის ტახტიდან ჩამოაგდო ლეგენდარული თურქი ტაჰა აკგული, ზედიზედ სამ წელს მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი და ტოკიოშიც მთავარ ფავორიტად უნდა ნასულიყო. აკგულის შტაბი ტონა ფულს ხარჯავს დაკარგული პოზიციის დასაბრუნებლად. მის მწვრთნელებს სხვა ქართველი მოჭიდავეები ჰყავთ სპარინგებადაყვანილი, რომლებიც პეტრიაშვილს ძალიან კარგად იცნობენ, მაგრამ გენო ჯერ ისევ პირველი და საუკეთესოა.

ძიუდო-ჭიდაობა-ძალოსნობა - ამ სამ ვეშაპზე დგას ქართული ოლიმპიური სპორტი, ხოლო სხვა სახეობებში ჯერ კიდევ ველით ოლიმპიადის და მსოფლიო პირველობის მომგებ გოგო-ბიჭებს. იმედისმომცემი ნიჩბოსანი გვაჩუქა მცხეთამ - ზაზა ნადირაძეს რიოში სულ ცოტა დააკლდა სამეულამდე. მედალს ერთთავად ახლოს უტრიალებს ბატუტზე მხტომელი ლიუბა გოლოვინა, დიდი გამარჯვებებისთვის მომწიფდა მოფარიკავე სანდრო ბაზაძე...

და ყოველთვის მედალს ველით ნინო სალუქვაძისგან, უნიკალური სპორტსმენისგან, რომელიც გაისად თავის მეცხრე ოლიმპიადაზე წავა. გასაოცარია, ნინომ თავისი პირველი მედალი იმ დროს მოიგო, როდესაც საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის ნახევარი დაბადებულიც არ იყო და ნახევარ საუკუნეს გადაცილებულიც პროფესიონალიზმის მაგალითს იძლევა.



ქართველი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონატზე უკვე რეგულარულად თამაშობენ

### კალათბურთი

განვლილი ათწლეული არაერთგვაროვანია ქართული კალათბურთისთვის. 2010-იანი წლები ნაკრებისთვის თუ ოქროს ხანაა, საკლუბო კალათბურთისთვის დიდი ჩავარდნაა. ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე - ამ ნიჭიერმა თაობამ მაქსიმუმი გააკეთა და ზედიზედ ოთხჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე - 2011, 13, 15 და 17 წლებში, ყოველ ჯერზე ღირსეულად გამოვიდა და ერთხელ კონტინენტის 12-საუკეთესო ნაკრებს შორისაც მოხვდა. ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფლეგმატური სერბი იგორ კოკოშკოვი შეცვალა ზეემოციურმა ბერძენმა ილიას ზუროსმა და თუმცა ლიდერების ბირთვი პენსიაზე გავიდა და მათი სრულფასოვნად ჩანაცვლება ვერ მოხდა, ეროვნული გუნდი ზუროსის ხელშიც ღირსეულად გამოდის. რად ღირს თუნდაც წლეულს თებერვალში ბელგრადში სერბების ძლევა, ისიც შეთხელებული შემადგენლობით, თორნიკე შენგელიას გარეშე.

ნბა-ში თავისი კვალი დატოვა ზაზა ფაჩულიამ, რომელიც ამერიკულ ლიგაში 16 წელი თამაშობდა, 2017 და 18 წლებში „გოლდენ სტეიტ უორიორზთან" ერთად ზედიზედ მოიგო სუპერფინალი და შარშან დაასრულა მრავალფერადი კარიერა. ევროპული საკლუბო კალათბურთის ნამდვილ მონსტრად იქცა თორნიკე შენგელია, რომელიც ესპანური „ბასკონიადან" წლეულს გადავიდა რუსულ ცსკა-ში. ნბა-ში გვრჩება კიდევ ერთი პერსპექტიული ცენტრი, 21 წლის გოგა ბითაძე, რომელიც პირველად 2015 წელს, სულ ბავშვი შევნიშნეთ თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე.

სამწუხაროდ აშკარა რეგრესს განიცდის ჩვენი საკლუბო კალათბურთი. ქართული კლუბები მხოლოდ შიდა ასპარეზით კმაყოფილდებიან და წლებია არცერთ ევროტურნირზე არ მიუღიათ მონაწილეობა.

### რაგბი

2010-იან წლებში ახალ სიმაღლეზე გავიდა ქართული რაგბი. „ბორჯღალოსნებმა" ერთხანს მსოფლიო რეიტინგის 11-ე საფეხურს უწიეს, მუდამ მონაწილეობენ მსოფლიოს 20-გუნდიან ჩემპიონატზე და იქ ყოველთვის იგებენ მინიმუმ ერთ თამაშს, ხოლო 2015 წელს მილტონ ჰეიგის მწვრთნელობით და მამუკა გორგოძის ლიდერობით, ჯგუფში



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხების ქრონიკა

## 11 წელი უსარბიელოდ

ოთხიდან ორ მეტოქეს, ტონგას და ნამიბიას სძლიეს. რეგულარულად უგებენ საკმაოდ ძლიერ, ტრადიციულ სარაგბო ნაკრებებს, 80-90-იანების მონსტრები კანადა, რუმინეთი, სამოა ერთ ლუკმად ყოფნით. ჩვენ ამას მოცემულობად ვთვლით და მეტს მოვითხოვთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი გამარჯვებების მოლოდინი თავად მორაგბეებმა გააჩინეს. მათ რაგბი რამდენიმე ათეული მოყვარულის გასართობი ბურთაობიდან გადააქციეს ქართული სპორტის და ქართული გენის სავიზიტო ბარათად და დღეს უკვე ბრძოლაში საუკეთესოებს იწვევენ. საქართველოზე ბევრად ძლიერი ქვეყნები - გერმანია, რუსეთი, ესპანეთი, სხვები რას არ მისცემდნენ, დღეს ჩვენს დონეზე რომ მდგარიყვნენ. მათ შეუდარებლად მეტი ფინანსური, ადამიანური, ტექნიკური, ყველანაირი რესურსი აქვთ, მაგრამ ქართული რაგბის ფენომენიც ესაა, რომ ეს სპორტი ჩვენი მატერიალური ყოფის ფონზე ალოგიკურად წინ გაიქცა და მსოფლიო რაგბიში თავისი კოლორიტული შინდისფერი შეაქვს.

დღეს რაგბი უკვე პროფესიული სპორტია, ჩვენი ეპოქის მორაგბეები ბალახზე, ან უკიდურეს შემთხვევაში ხელოვნურსაფარიან მოედნებზე იზრდებიან და არა გაბეტონებულ გრუნტზე. წაქცევისას ბურთის ამოგდებაზე ფიქრობენ და არა იდაყვების გადაყვლეფაზე. გორგოძის, ზირაქაშვილის და კვირიკაშვილის თაობას შემცვლელად არანაკლები ბიჭები მოჰყვნენ. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 2016 წლიდან მონაწილეობს 12-გუნდიან მსოფლიო ჩემპიონატზე, ყველაზე ძლიერებს თანაბრად ეთამაშება და ეს უდიდესი სკოლაა ახალგაზრდებისთვის. 2017 წელს ამ ტურნირის მასპინძელიც ვიყავით და მაღალ დონეზე ჩავატარეთ.

ხოლო რაც შეეხება მოჭარბებულ ამბიციებს, გიგანტების დაჩოქებას, ქართველი გულშემატკივარი მოითხოვს მაღალი დონის მეტოქესთან რეგულარულ თამაშებს, მაგალითად ექვს ერს ასეთი ინტონაციით - „ჩვენ ამას ვიმსახურებთ", მაგრამ თვითონ მორაგბეები ამ თემას ერთგვარი სიფრთხილით უდგებიან. მათ საუბარში იგრძნობა პრაგმატული დამოკიდებულება. „ისინი გვჯობნიან და არ უნდა გაგვიკვირდეს დიდი სხვაობით წაგება" - ამ აზრზეა მამუკა გორგოძე.

„მარტო ნაკრები მეტად ველარ განვითარდება, ქვეყანა უნდა დაეწიოს ნაკრებს და დაეხმაროს" - ამბობს დავით ზირაქაშვილი. მისი ნათქვამი ალბათ გულისხმობდა თანამედროვე ინფრასტრუქტურას, თანამედროვედ განათლებულ მწვრთნელებს, მსაჯებს, სპორტულმედიცინას, გულშემატკივრებს, ფულიან გულშემატკივრებს, რეკლამას, ბიზნესს და ყველაფერ იმას, რისი უქონლობაც უფსკრულს აჩენს საქართველოსა და მსოფლიო რაგბის პირველ ზეინდუსტრიულ ათეულს შორის.

ხოლო ის, რომ ქართველებს ბევრი ჯანიანი ბიჭი გვყავს (ეს ერთხელ გვითხრეს ესპანელებმა, თან ისეთი აუწერელი შურით, ალბათ გულისხმობდნენ, მარტო ძალა გაქვთ და მეტი არაფერიო), ეს მხოლოდ საშუალოებში დრეიფისთვის კმარა.

### წყალბურთი

ბოლო ათწლეულში საუკეთესო შედეგებს აჩვენებს წყალბურთელთა ნაკრები, რომელსაც ლეგენდარული რევაზ ჩომახიძე წვრთნის, ვეტერანი ზურაბ რურუა კაპიტნობს და რომელიც 2014-20 წლებში ზედიზედ ოთხჯერ გავიდა ევროპის ჩემპიონატზე. 20-30 წლის წინ ყველაფრის გადაგვარების პერიოდში ეროვნული გუნდი საეროდ ვერ იკრიბებოდა, ახლა კი ჯვაროსნები 16-გუნდიან ევროპირველობაზე ანგარიშგასაწევ გუნდად ითვლებიან და წლეულს საფრანგეთის და თურქეთის ძლევის შემდეგ მე-10 ადგილი დაიკავეს.

### ჩოგბურთი

ნიკა ბასილაშვილზე ცალკე სტატიის დაწერაც შეიძლება. საქართველოს ასეთი მაღალი დონის ჩოგბურთელი 70-იანი წლების ვარსკვლავების, ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას შემდეგ არ ჰყოლია. შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა ბასილაშვილმა გაცილებით მაღალი შედეგები დადო, ვიდრე წინა თაობის ნიჭიერმა შვილმა ირაკლი ლაბაძემ. მოიგო სამი მსხვილი ტურნირი, მსოფლიო რეიტინგის მეორე ათეულში შევიდა და 2019 წლის გაზაფხულზე მე-16 საფეხურს უწია. 27 წლისა კარიერის პიკზე იყო და ალბათ პირველ ათეულში მოხვედრისთვისაც იბრძოლებდა, რომ არა ტრავმიანობა და პარალელურად არეული პირადი ცხოვრება.

ბოლო ათწლეულში გოგონებში გამორჩეული გახლდათ ანა ტატიშვილი, რომელმაც სამჯერ ითამაშა მსხვილი ტურნირის ფინალი და ერთხელ იმარჯვა. 2012 წელს მან ამერიკის ღია პირველობაზე სამი ეტაპი გაიარა და იმავე წელს ჰქონდა რეიტინგში საუკეთესო, 50-ე პოზიცია. ტატიშვილმა 2014 წელს ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. პერმანენტული ტრავმების გამო მან პრაქტიკულად შუა გზაზე, 26 წლისამ დაასრულა კარიერა. ჩვენ კი იგი დაგვამახსოვრდა როგორც ყველაზე ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი ქალი ლეილა მესხის (1995 წელს რეიტინგში 21-ე საფეხური) შემდეგ.



ასე დაალელოვა გიორგი კვესელაძემ ირლანდიელები

### ჭადრაკი

მუდამ მოწინავეებში ტრიალებს საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები, რომელიც იმდენად ძლიერ ფესვებზე დგას, რომ იოლად უძლებს თაობათა ცვლას. ქართველმა გოგონებმა 2008 წელს მოიგეს საჭადრაკო ოლიმპიადა და 2015 წელს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. მთელი ეს წლები მაღალ დონეზე გამოდიან ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, სალომე მელია... ძაგნიძე მუდამ პირველ ათეულში ან მის ახლომახლო ტრიალებს. ქართულ ჭადრაკში გამორჩეული მოვლენა იყო 2019 წელს ბათუმში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი, სადაც ქართველმა ქალებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.



ქართველმა მორაგბეებმა წარმატებებს დაგვაჩვიეს

## სარბიელი 30



სექტემბერში ფეისბუქზე მემორიმ 5 წლის წინანდელი სტატუსი ამომიგდო. რაგბის მსოფლიო თასზე ტონგასთან მოგების მერე დამიწერია: ოჰ, რა იქნება „სარბიელი" გამოდიოდეს, ხვალ რა მაგარი წასაკითხი იქნებოდა-მეთქი.

აი, მასე იყო. თუ რამეს მოვიგებდით და გვიხაროდა, მეორე დიდი სიხარული შემდეგი დღის „სარბიელი" იყო. მე ხომ ვიცოდი, რაც მიხაროდა, მაგრამ იქიდან კიდევ მიმატებდნენ და თან გემრიელად მიმატებდნენ.

ყველა ნომერი მქონდა შენახული და იმავე ფეისბუქიდან ახლაც ვგებულობ ხოლმე, თურმე კიდევ რამდენი აგროვებდა ჩემსავით. რომ დავუკვირდე, რატომ უნდა შეაგროვო გაზეთი, რომელიც ყოველდღე გამოდის ხომ? წაიკითხე და გადააგდე. მაგრამ ვერ ვაგდებდი, ძვირფასი იყო. ისე წერდნენ, ვერ ვაგდებდი და ჩვევაშიც გადავიდა.

მასეთ დახვეწილ და ლამაზ ქართულსაც ბევრგან ვერსად წაიკითხავდით. ვერც ვერსად!

ჰო, მე „სარბიელის" ფანი ვარ და ხომ არის, რომ როცა შენს კერპს გაიცნობ, ცოტა „გიტრუხდება" გრძნობა. სარბიელელ ბიჭებს რომ დავუმეგობრდი, მეშინოდა, ეგ არ დამემართოს-მეთქი. ნწუ, არ „გამიტრუხდა".

ახლა საიუბილეო ნომერი გამოდისო. აი, არ ვიცი, რანაირი გრძნობა იქნება, საყიდლად რომ მივადგები გაზეთების ჯიხურს... ის კი ვიცი, რომ ვიყიდი, აუცილებლად თსუ-ს პირველი კორპუსის ბაღში წავალ, იქ ჩამოვჯდები და წავიკითხავ.

**გოჩა თანდარაშვილი**

# ძალა და ღირსება

ამერის ოფიციალური ჰიმნი

დაასკანერეთ QR კოდი თქვენი სმარტფონის საშუალებით და გადადით ბმულზე www.sarbieli.com



გიორგი დარჯანია
სარბიელი 30

ბევრი წლის წინ „ამერის" დამაარსებელსა და პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ვკითხე, კლუბის შექმნა რამ გადაგაწყვეტინათ-მეთქი.

სადღაც იტალიაში ან ესპანეთში ამ კითხვას სხვა დატვირთვა ექნებოდა, იმ ქვეყანაში კი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სხვა შინაარსი აქვს. ფეხბურთი, როგორც ბიზნესი, საქართველოში, ალბათ ყველაზე სარისკო და უმადური საქმეა, რასაც ყაირათიანმა ადამიანმა შეიძლება მოჰკიდოს ხელი. ზურაბ ფოცხვერიას კი წლების განმავლობაში სწორედ ასეთ ადამიანად ვიცნობდი.

იცი, ბავშვობაში ფეხბურთელობა მინდოდაო, მერე მწვრთნელობა და ვერ გამოვედი, ამიტომ ბოლოს გადავწყვიტე, საკუთარი კლუბი მყოლოდაო - ასეთი ხუმრობანარევი პასუხი მივიღე კითხვაზე და ეს პასუხი მერე „ამერის" ყოველწლიურ ცნობარშიც მოხვდა, რომელსაც კლუბი წელიწადში ორჯერ, სეზონის წინ და დასრულების შემდეგ გამოსცემდა.

ისე, რამდენი ქართული კლუბი გახსენდებათ, ცნობარებსა თუ კლუბის ლოგოიან პოლიგრაფიაზე „ამერივით" გულმოდგინედ ეფიქროს? დაგეხმარებით: ვერ გაიხსენებთ.

ცხადია, მატჩს გუნდი იგებს და არა ხარისხიან ქაღალდზე დაბეჭდილი ბუკლეტი ან უზარმაზარი სტიკერებით შეფუთული საკლუბო ავტობუსი. მაგრამ მერწმუნეთ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი: სტადიონზე კრეისერივით შემოსული „ამერის" ავტობუსის დანახვაზე, სათამაშოდ რეისიდან მოხსნილი სამარშრუტო ტაქსით მოსული არა ერთი მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს ნირი ისე წახდომიათ, თამაში დაწყებამდე წაუგიათ.



სარბიელი

რევანში ერევანში



იყავი მუდამ ამეროვნული!

კენჭისყრა კენჭის გავლამდე

ამერული ტრადიცია ისიც იყო, რომ მატჩის წინ ხელის ჩამორთმევისას, „ამერის" კაპიტანი მეტოქის კაპიტანს საკლუბო ვიმპელს ჩუქნიდა, იმ მეტოქე კაპიტანს კი საპასუხო საჩუქარი არ ჰქონდა ხოლმე. იცით, ხომ რა გრძნობაა, როდესაც სხვა საჩუქრითაა, შენ კი ხელცარიელი ხარ მისული?

ეს კი ერთი მეგობარი ფეხბურთელისგან მაქვს მოსმენილი, „ამერში" გადმოსვლამდე, „ამერის" გლდანის სტადიონზე მოწინააღმდეგის შემადგენლობაში რომ უთამაშია.





- გვძულდა აქ თამაშიო - გამიმხილა იმ ფეხბურთელმა - ბურთს რომ გავუშვებდით და სტადიონზე „ეს სულ ასე უბერავს" ჩაირთვებოდა, გაშვებულ ბურთზე. მეტი სიმწარე ამ სიმღერის მოსმენა იყოო.

ცხადია, მეტოქეთა კარში ბურთები აბრეზას, რატის, ტატანას და ბიჭებს გაჰქონდათ, მაგრამ გია ნიკოლაძის (რომელიც „ამერის" ოფიციალური ჰიმნის ავტორი გახლავთ) ყველაზე პოპულარული სიმღერის ეს სტროფი, მერწმუნეთ, თავის საქმეს აკეთებდა.

ამ ამბების გახსენება იმის სათქმელად დამჭირდა, რომ საქმეში ნებისმიერ საქმეში, წვრილმანი არ არსებობს და ყველაფერი მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ერთმანეთის პირისპირ ორი ფაქტობრივად თანაბარი ძალის გუნდი დგას, როგორც წესი, სწორედ ასეთი დეტალები იძლევა იმ თითქმის შეუმჩნეველ უპირატესობას, რომელსაც საბოლოო გამარჯვებამდე მიყევხარ.

გამარჯვებები კი „ამერს" ჰქონდა! სამ სეზონში ორჯერ მოგებული საქართველოს თასი (რომელიც, ზედიზედ მეორედ მოპოვების შემდეგ „ამერს" სამუდამო მფლობელობაში გადაეცა) და ორჯერაც სუპერთასი, ცოტა ვერაფრით იქნება. „ამერი" - „ზესტაფონის" 2006 წლის ფინალი კი, დარწმუნებით ვიტყვი, ყველაზედრამატული და სანახაობრივი იყო შეჯიბრის ისტორიაში.

ეს ამბავი კი ძველი თაობის ფეხბურთელმა ზურაბ ხორგუაშვილმა მიამბო და იმდროინდელია, „ამერი" საერთოდ რომ არ არსებობდა: „პასი მივიღე და გავრბივარ კარისკენ. ერთ-ერთ ცხუმელს ფეხებშუა გავუტარე და ჩემ წინ აღარავინაა, უეჭველად ვიტან. უცებ ზურგს უკნიდან ვილაცის ქშენა მესმის, მოვიხედე და, ჩიხო მომდევს ისეთი სახით, თუ დამეწია, ნალდად მეც ამაგდებს ჰაერში. ვერ გავრისკე და... გადავაგდე ბურთი, რა მექნა..."

ჩიხო, ანუ გიორგი ჩიხრაძე ამერის მთავარი მწვრთნელი იმ დროს გახდა, როდესაც გუნდი პირველი ლიგის ცხრილში რომელიღაც ქვედა ადგილზე იყო. ყველა გამარჯვება და მოგებული თასი მის სახელს უკავშირდება. მისი ასეთი ხასიათი კი, რაც ხორგუაშვილის ამ მცირე მოგონებიდანაც კარგად ჩანს, „ამერის" ხასიათიც იყო და ეს ყველაზე კარგად მგონი, გუნდის სულ პირველ საევროთასო დაპირისპირებაში გამოჩნდა.

უეფას თასზე „ამერი" სომხურ „ბანანცს" დაეჯახა. თბილისში მეტოქემ 1:0 მოიგო. სტატისტიკა კი გვამცნობს, რომ არც იქამდე და არც მას მერე, არ მომხდარა, რომ ქართულ გუნდს შინ წაგებული მატჩის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გაეღწიოს. ერევნული მატჩის პირველ ტაიმში „ამერმა" კიდევ ერთი ბურთი გაუშვა და მდგომარეობა თითქოს ბოლომდე უიმედო გახდა. და მაინც, იმ დარჩენილ ბოლო ტაიმში „ამერმა" ორი ბურთი გაიტანა და... მოდი, ასე ვიტყვი, ერთი სიამოვნება იყო, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე სომეხი კოლეგებების კითხვების მოსმენა.

ცხადია, ეს ამ ყველაფრის მოთავის, ზურაბ ფოცხვერიას ხასიათიცაა. იმ თბილისური წაგებული მატჩის შემდეგ, ერევანში გამგზავრებამდე, კლუბის პრეზიდენტმა თავისთვის და სპორტულ დირექტორ ვახტანგ ბზიკაძისთვის ერევანი-ჟენევის ორი ბილეთი აიღო, მეორე დილას მომდევნო ეტაპის წილისწყრაზე დასასწრებად. არც უფიქრია, რომ ბილეთები შესაძლოა, გამოუყენებელი დარჩენოდა.

წერილის თავში დასმული კითხვის პასუხიც, მგონი ეს არის. ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი ყველაზე სარისკო და უმადური ბიზნესია, ფეხბურთის კლუბი „ამერი" მხოლოდ ასეთი ხასიათის მქონე ადამიანებს შეიძლებოდა შეექმნათ და დევიზად დაეწერათ: „ძალა და ღირსება".



სარბიელი

ამერელების ადღეგრძელო: თასიდან დაგველიოს, თასი არ დაგველიოს!



საქართველოს თასის 2007 წლის მფლობელი თბილისის „ამერი"

## სარბიელი 30



ჩემთვის დილა „სარბიელით" იწყებოდა. მახსოვს, გზად სახლიდან სამედიცინო ინსტიტუტამდე, შევიძენდი „სარბიელს" და ლექციაზე ისე შევდიოდი, ცალ ხელში ხალათი მქონდა, მეორეში - გაზეთი, რომელიც მოგვიანებით, ხელიდან ხელში, ნახევარ ინსტიტუტს მოივლიდა ხოლმე. გადავფურცლავდი „სარბიელს" და იღებოდა ჯადოსნური კარი, რის იქითაც მსოფლიოს სპორტის სამყარო იყო. მადლობა ამისთვის „სარბიელს". სად იყო მაშინ ინტერნეტი და მაღალი ტექნოლოგიები, თუმც იყო „სარბიელი", ჩემი მშობლიური და საყვარელი გაზეთი, რომელიც დღესაც რომ გამოდიოდეს, სიამოვნებით შევიძენდი. ყოველკვირეული იყოს? ყოველ კვირა შევიძენდი. დღეში ორჯერ გამოდიოდეს? დღეში ორჯერ შევიძენდი... ყველა სხვა გაზეთის პატივისცემის მიუხედავად, გული მწყდება, რომ დღეს გაზეთი „სარბიელი" არ გამოდის. იუბილეს გილოცავთ!

ოთარ ტატიშვილი




მოქმედება ხდება დასავლეთ იორკშირში, რიდლსდენში, კითლისა და ბინგლის შუა, ბრედფორდის სამრეწველოში, მრუმედ განათებულ პაბ ერდელტერიერის დედალ ლეკვში. გარეთ წვიმს.

პაბში ორი ახლაგაზრდა კაცი ზის, **ერიკ ჩითლზქვეითსი** და **მარტინ ბორდინგთორნი.**

ორივენი მეგობრის ნიშნობაზე იმყოფებოდნენ რიდლსდენში და პაბშიც შემოიარეს, რათა სალამოს მატარებლის ჩამოდგომამდე ორიოდე კათხაც გადაჰკრან და წვიმის გადაღებასაც დაელოდონ.

ერიკი „პონტეფაქტ კოლიერიზის ფ.კ.-ს" თავდამსხმელია, ხოლო მარტინი „ვორსბრო ბრიჯ მაინერ ველფეას" მოთამაშე.

პაბში ზის პირქუში კაციც, რომელიც ახალგაზრდებს ყურადღებას არ აქცევს, თუმცა მარტინი მალიმალ გააპარებს ხოლმე მისკენ თვალს. დახლში შუახნის ქალი დგას.

**ერიკი:** ჰოდა, ის კაცი შოტლანდიელი იყო და ასე თქვა, ინგლისელებმა დრიბლინგი არ იცოდით, შოტლანდიელებმა გასწავლეთო. გესმის?

**მარტინი:** რა ჯანდაბად გვასწავლეს. მე როგორც მცველს, ეგ არ მომწონს. ერთხელ განაპირა მცველად დამაყენეს და კინაღამ მოვკვდი. ვიღაც უგანდელი ბიჭი იყო, ბენზინის სადგურიდან. წელში გამწვიტა. მერე აღარც მინახავს. არალეგალი იყოო და გაუსახლებიათ. კიდევ კარგი.

**ერიკი:** ხო, ფრთაზე მცველობა ძნელია, მაგრამ შოტლანდიელებს როგორ უნდა ესწავლებინათ დრიბლინგი და მოტყუება, როცა ფეხს მუხლში არც კი ხრიან ისე დასდევენ ბურთს? მე, როგორც იორკშირელი, ამ სისულელეს არ დავეთანხმები.

**მარტინი:** შოტლანდიელებმა იციან დრიბლინგი. ის კინო ნანახი გაქვს?

**ერიკი:** რომელი?

**მარტინი:** თრეენ სფოთინგი. იქ ხო არი გოლი, არჩი ჯემილი რომ ნახევარ ჰოლანდიას ატყუებს და მერე გააქვს.

**ერიკი:** ეგ გოლი კი მახსოვს მაგ ფილმიდან, მაგრამ მაშინ მგონი მამაჩემიც კი არ დადიოდა სკოლაში.

**მარტინი:** ფილმში კი აჩვენებენ და...ჰოლანდიელების მოტყუებას ეხუმრები?

**ერიკი:** დიდი რამე. იტალიელები ხომ არ არიან. ეგეც ვერ გავიგე. ფეხბურთს კინოში რა უნდა? ფეხბურთი ტელევიზორშია.

**მარტინი:** კინოც ტელევიზორშია. ერთსაც დალევ?

*ერიკი თავს უქნევს. მარტინი წამოდგება და დახლთან ლუდს ასხმევინებს. თან იქვე მჯდომ კაცს შეათვალიერებს.*

*მარტინი დახლის ქალისკენ გადაიხრება.*

**მარტინი:** ქალბატონო, ეს კაცი ვინ არის?

**ქალი:** არ ვიცი, სიყვარულო. ასე ზის და უყურებს კედელს. ორმოცდახუთი წუთია ზის და ტელევიზორს უყურებს.

**მარტინი:** ორმოცდახუთი წუთი. მთელი ტაიმი.

**ქალი:** პირველად ვხედავ. შემოვიდა, წითელი ღვინო აიღო და დაჯდა. არც დაულევია ის ღვინო. ცუდ ხასიათზეა. მგონი ლტოლვილია.

**მარტინი:** რატომ?

**ქალი:** რა ვიცი, სულ ახალ ამბებს უყურებს და მგონი დიდად არ ესმის. ეგებ სირიიდანაა.

**მარტინი:** იორკშირში?

**ქალი:** ღმერთო ჩემო. ყველა ჩემი მეზობელი სადღაციდანაა.

**მარტინი:** ხო, მაგრამ ჩვენ ხომ საზღვარი არ გვაქვს მაგ რაღაცებთან?

**ქალი:** აეროპორტები ხომ გვაქვს, საყვარელო? ლიდსი-მალიორკაც კი დაფრინავს.

*მარტინი უნდობლად შეხედავს ქალს, მერე ორი კათხა ლუდი მოაქვს მაგიდასთან.*

**ერიკი:** ჯონი მაკინტაირი რომააა ჩვენთან, იცი როგორ ურტყამს ბურთს? ველარ პოულობენ. მენეჯერმა კითხა, შენ ოზი რულზს ხომ არ თამაშობდიო და კიო. კრაისჩერჩის კოლეჯების ჩემპიონი ვარო. ავსტრალიელია, მაგრამ ხომ შოტლანდიელია? მაგან რა დრიბლინგი უნდა მასწავლოს? ბურთი იკარგება ცაში.

**მარტინი:** მოიცა ერთი... რა დროს ჯონი მაკინტაირია... ის კაცი იცი ვინ არის?

**ერიკი:** ისა.. რა ვიცი ვინ არის... ვერც ვხედავ წესიერად.

**მარტინი:** მაურინიოა...

**ერიკი:** მაურინიო? რის მაურინიო.

**მარტინი:** ახლა შევათვალიერე. ნამდვილად ჟოზე მაურინიოა. თან ლუდს არ სვამს. წითელი ღვინო უდგას.

**ერიკი:** მაურინიოს რა უნდა რიდლსდენში? მოიცა ერთი. ვინმე ავტობუსის მძღოლი იქნება. პორტუგალიელები და ესპანელები მუშაობენ ბიძაჩემთან, ავტოპარკში.

**მარტინი:** ეგ მაურინიოა. მელასავით გამომხედა. ხომ გინახავს, რომ გამოიხედავს ხოლმე.

**ერიკი:** ტელევიზორში მინახავს... მაგრამ იორკშირში რა დარჩენია?

**მარტინი:** შეიძლება ლიდსის მენეჯერად ნიშნავენ.

**ერიკი:** იქ ხომ არის კაცი. ის კაცი. არგენტინელი.

**მარტინი:** მერე იმას მოხსნიან და ამას დანიშნავენ. სულ მასე არ ნიშნავენ? შეხედე, როგორი დაძაბული ტანი აქვს. გაბრაზებულად ზის. ნამდვილად მაურინიოა.

*ერიკი კაცს აკვირდება.*

**ერიკი:** მგონი მაურინიოს მეტი თმა აქვს.

**მარტინი:** ეეე... შეიჭრა და მორჩა.

**ერიკი:** თან, მგონი, უფრო გამხდარია.

**მარტინი:** ამ ქურთუკში საიდან გაარკვიე მაგის სიგამხდრე?

*ერიკი ორჭოფობს.*

**ერიკი:** შეიძლება მაურინიოც კი იყოს.

**მარტინი:** იცი რას გეტყვი, მოდი ოც ფუნტზე დავნაძლევდეთ. ეგ მაურინიოა.

**ერიკი:** და როგორ გავიგებთ?

**მარტინი:** ახლოს მივიდეთ, გამოველაპარაკოთ.

**ერიკი:** ეგ უხასიათო კაცია. პოლიციაში არ დარეკოს.

**მარტინი:** მაურინიოსთან გასაუბრება ერთ პოლიციაში დარეკვად აღარ ღირს?

**ერიკი:** მივიდეთ.

*მარტინი და ერიკი მაგიდასთან მჯდომ პირქუშ კაცს მიუახლოვდებიან.*

**მარტინი:** გამარჯობა. ნება მოგვეცით კათხაზე დაგპატიჟოთ, სერ.

**კაცი:** გმადლობთ. ლუდს არ ვსვამ.

**ერიკი:** ჩვენ ფეხბურთელები ვართ.

**კაცი:** და ასე სვამთ?

**მარტინი:** ჩვენ დუმბარს ვსვამთ. ნაკლებ ალკოჰოლს შეიცავს.

**კაცი:** არ ვიცი. ინგლისურ სასმელებში ვერ ვერკვევი.

**ერიკი:** შოტლანდიურში?

**მარტინი:** მოიცა... რას დალევთ, სერ?

**კაცი:** არაფერს.

**ერიკი:** ესე იგი შოტლანდიელი ხართ?

**კაცი:** არა.

**მარტინი:** ნამდვილად ისაა.

**კაცი:** ვინ ისა.

**მარტინი:** თქვენ ჟოზე მაურინიო ხართ?

**კაცი:** რა სისულელეა.

**მარტინი:** ჩვენ არავის ვეტყვით. უბრალოდ ავტოგრაფი მოგვეცით, ხელი მოგვიწერეთ.

**კაცი:** არ ვარ ჟოზე მაურინიო. ეგლა მაკლია. ამიტომ ხელს ვერ მოგიწერთ.

**მარტინი:** იცით რა. მე მცველი ვარ და ეგებ არც გაინტერესებდეთ, მაგრამ ჩემი მეგობარი პონტეფაქტის მენახშირეების მეორე საუკეთესო მეგოლეა. ეგებ გასინჯოთ? აი, რომ ჩამოვიდეს ჩელსიში და უბრალოდ გასინჯოთ. რამდენი კარგი ფეხბურთელია, რომ გასინჯვაც არ ეღირსა.

**კაცი:** მაურინიო ჩელსიში აღარ მუშაობს დიდი ხანია.

**მარტინი:** ჰო. ბოდიში. ტოტენჰემში. გასინჯავთ?

**კაცი:** ჭარბი წონა აქვს.

**ერიკი:** მე სულ ასეთი ვიყავი. ბავშვობიდან.

**კაცი:** მგონი, ეგ ნაკლებალკოჰოლური ლუდიც მოეხმარა.

**ერიკი:** რას?

**კაცი:** იმას, რომ სულ ასეთი იყავით.

**მარტინი:** კარგით ჟოზე, ნუ ვიდავებთ. უბრალოდ თხოვნა გვაქვს. ტელეფონში მაინც განახებთ ერიკის გოლებს და მერე კი თქვენ გადაწყვიტეთ, დაიბარებთ თუ არა გასინჯვაზე. ერთი ტელეფონი ხომ თან გაქვს?

**ერიკი:** კი. კი.

**კაცი:** არ ვნახავ. ეგ ჩემი საქმე არ არის. აგენტების საქმეა. მენახშირეების გუნდი არ გამიგონია.

**ერიკი:** ჩვენ მეშვიდეზე ვართ ჩრდილოეთის ლიგის პირველ დივიზიონში.

**კაცი:** სასიამოვნოა, მაგრამ ვერ ვნახავ.

**მარტინი:** გარეთ ბეილის პეპსის რეკლამებს ხომ გულისფანცქალით ნახავთ? ვილას უნდა ბეილი? დახურდავებულ ბებრებზე გადახვედით?

**კაცი:** გარეთ ბეილი არაფერში მჭირდება.

**მარტინი:** გაზეთები წერენ.

**კაცი:** შეიძლება. მე არ მჭირდება. არც არასდროს მჭირდებოდა.

**მარტინი:** ძალიან მწყინს, რომ ყველაფერზე უარს გვეუბნებით. რა მოხდება, გასინჯვაზე რომ ჩამოვიდეს?

**ერიკი:** ახლა მაინც ვერ წავალ, მარტინ. ბეტი დღე-დღეზე ელოდება. ეგებ ამ წუთშიც კი მშობიარობს.

**მარტინი:** ერთ რამეს კი გეტყვით, სერ. ალბათ იცით, რომ ბრიტანეთი ევროპას გამოეყო.

**კაცი:** კი, ვიცი. მე არ მეხება. მე მუშაობის უფლება მაქვს.

**მარტინი:** ამის მიუხედავად მალე ისეთ კანონებს მივიღებთ, რომ თქვენს მცხუნვარე ქვეყანაში მიბრძანდებით. აი, ასე, სერ.

**კაცი:** შეიძლება. თუ წვიმა ოდესმე გადაიღებს, ეგებ წავიდე კიდეც.

**ერიკი:** ერთი შეკითხვა მაქვს, ჟოზე. დარჩით ინკოგნიტოდ, მე წინააღმდეგი არ ვარ, ოღონდ, რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რასაც შოტლანდიელები ამბობენ.

**კაცი:** რას ამბობენ?

**ერიკი:** დრიბლინგი და ფინტები ინგლისელებს ჩვენ ვასწავლეთო.

**კაცი:** პასებიც. ინგლისელები ისე თამაშობდნენ ფეხბურთს, როგორც რაგბის. ოღონდ ბურთი ფეხებით მიჰქონდათ.

**ერიკი:** ეგ ვინ გითხრათ? პასებიცო.

**კაცი:** დისქავერის ისტორიის არხზე ვნახე.

**მარტინი:** ყველაფერი მართალი ყოფილა, რასაც თქვენზე წერენ. რა მოხდებოდა, რომ ხელი მაინც მოგეწერათ ხელსახოცზე? ვორსბროში ბიჭებს ვაჩვენებდი.

**კაცი:** შეიძლებოდა. მაგრამ არ ვარ მაურინიო.

*პაბის კარი იღება და მუქ ლურჯ კოსტუმში ჩაცმული, შავჰალსტუხიანი კაცი შემოიხედავს, თან შავ ქოლგას კეცავს.*

**შემოსული კაცი:** კლუბის ვერტმფრენი დაჯდა, წავედით.

**კაცი:** და მანქანა?

**შემოსული კაცი:** არაფერი, ევაკუატორით წამოიყვანენ. გასაკეთებელია. ვერ მიეჩვიე ამ სველ გზებზე სიარულს. გადარჩენილი ხარ.

**კაცი:** ჰო. უცებ მომიცურდა.

**ქალი:** ჩვენი იორკშირის მატყუარა წვიმა.

**შემოსული კაცი:** წავედით პეპ, წავედით. გადაიღო უკვე. ისედაც დაგვაგვიანდა.

*კაცი დგება და დაუმშვიდობებლად გადის პაბიდან.*

**ქალი:** აი, ასე ემსახურებიან ინგლისელები ამ უცხოელებს.

**ერიკი:** ეშმოშ, ეს მაურინიო არ იყო, მარტინ.

**მარტინი:** ხო, მაგრამ საბოლოო ჯამში სწორად ველაპარაკეთ.

**ფარდა**





# როგორ გავლახეთ ბრუკინგი





მამუკა კვარაცხელია
სარბიელი 30

...1996 წლის ნოემბერში თბილისში ინგლისის ნაკრები ჩამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართად და მე ინგლისელ კოლეგებს შევუთანხმდი - ჩვენც გვეთამაშა ფეხბურთი. ნაკრებების მატჩის წინა დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე შევერკინეთ ერთმანეთს. სტადიონი ნახევრად დანგრეული იყო და ინგლისელები შეშინებულები იყურებოდნენ, ეს სად მოვხვდითო. სხვათა შორის, მაშინ დაწერა ცნობილი სტატია „ლივერპულის" ფეხმარდმა ვარსკვლავმა სტივ მაკმანამანმა: თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქი კია უკეთილშობილესი ხალხით, მაგრამ ახლა მთლიანად ნაცრისფრად გამოიყურებაო... ხომ გახსოვთ მაშინდელი თბილისი?

მოკლედ, ინგლისელთა წინააღმდეგ მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, დიმა ობოლაძე, კობა ინასარიძე, მიშა ჯორბენაძე და ბექა ბალარჯიშვილი დაცვას ამაგრებდნენ, ლაშა დვალიშვილი, რომელიც თავის დროზე პაკისტანში საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა (მშობლები დიპლომატები ჰყავს) თავდასხმაში ირჯებოდა, არმაზ მეტრეველი, მამუკა ჩიხლაძე, სანდრო ბრეგაძე და ზურაბ გენგიური სკამს ხეხავდნენ, მიშა აბაიშვილი სად დაწოწიალობდა - თვითონ არ იცოდა, მამუკა კვანტალიანი - ჩვეულებისამებრ მეკარე გახლდათ... დანარჩენ ბიჭებს ველარც ვიხსენებ... ჩვენი მწვრთნელი გიორგი ქინქლაძის მამა, ბატონი რობინზონი იყო... მათ კი ცნობილი ვარსკვლავი, გაჟურნალისტებული თრევორ ბრუკინგი კაპიტნობდათ, 1981 წელს „დინამოს" რომ „ვესტ ჰემი" შეხვდა, მაშინდელი სუპერდირიჟორი. 1996 წელს ბრუკინგი 43-44 წლისა იქნებოდა და კვლავაც მშვენიერ ფორმაში გახლდათ. ჩვენ პირდალებული შევყურებდით, იმის ოსტატობას, იმან კი „ჯენტლმენმა", ამხელა ფეხბურთელმა, 0:0-ზე, არაჯენტლმენურად, დადო თავისუფალი დარტყმა და პირდაპირ, მეორედ შეხების გარეშე გაუტანა ჩვენს მეკარეს, სარბიელელ მამუკა კვანტალიანს. ჩვენ პირები დავაღეთ, მაგრამ მსაჯიც ინგლისელი იყო და ჩათვალა! ბექა ბაადურის ძე



მამუკა კვარაცხელია სარბიელით ხელში

1994 წ.
მარჯანიშვილი
4 000 მეტრი!!!

ბალარჯიშვილი, ჩვეულებისამებრ ალალი გული რომ აქვს, და ბახუსის ტყვეობაში კი - ოოოო! დაიბოლმა... ამასობაში მე მარჯვენა ფლანგზე დრიბლინგი განვახორციელე და ცარიელი კარის წინ ლაშა დვალიშვილს ვუპასე, „პირველი არხის", „მზის", „იმედის" და ყველა ტელევიზიის ახლანდელ ვარსკვლავს, მაგრამ სარბიელელმა ონისე შინჯიკაშვილმა დაასწრო და ანგარიში გაათანაბრა 1-1. ამაზე ბრუკინგმა უნმაწურად: ფაქ! ფაქ! - დაიწყო. ბექა, რომელიც იმ დღეს, ბახუსის ტყვეობაში გახლდათ და ძლივს დავაწყნარე... ხუთ წუთში ბრუკინგმა, „პადკატში" ჩაწოლილ სარბიელელ კობა ინასარიძეს ფეხებში ჩასცხო, თანაც შეაგინა! კობა წესიერი ბიჭია, აპატია თავხედობა, ფეხზე კი ტკივილისგან ველარ წამოდგა. ბრუკინგი კი უარესად გახელდა და მის დაწყნარებას შევუდექი, მაგრამ უცებ, სად იყო და სად არა, მოედნის მეორე ნახევრიდან ბექა მოფრინდა, ბეჭდიანი ბებერი მუშტი შიგ შუბლში გლიჯა ინგლისელ ვარსკვლავს, წარბი გაუხეთქა და ძირს დააგდო... წყალივით წამოუვიდა სისხლი ტრევორს, ატყდა აყალმაყალი, ჩვენ ბექა გვიკავია, იმათ - ბრუკინგი... მოკლედ, ჩაიშალა თამაში, შვიდი თუ რვა ნაკერი დაადეს ბრუკინგს, ორიოდ დღეში კი ინგლისში, თუ არ ვცდები საქვეყნოდ ცნობილ „დეილი ტელეგრაფში", მეგობრული შარჟი დახატეს - ბრუკინგი უმანკო სახით გარბის და დიდმუშტიანი წვერიანი ქართველი (ანუ ბექა) მოსდევს...

P.S. 1997 წელს, იმ ჩხუბიდან ერთი წლის შემდეგ ლონდონში, „ჩარლთონის" სტადიონზე, საქართველოსა და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას ჩემი თვალით ვნახე ბრუკინგის წარბზე ბექას მიერ დატოვებული სამუდამო იარა, თუმცა, მაშინ მომერიდა გამოცნაურებისა...

P.P.S. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და დონეცკში, სასტუმრო „ატლასში", ჩემს გვერდით ოთახში არ აღმოაჩინე ცნობილი ინგლისელი ვარსკვლავი, მაინც რა არის ცხოვრება... ახლა იგი ინგლისის ფედერაციასთან თანამშრომლობს და რაკილა მათი ჭაბუკები ფინალში გავიდნენ, ბრუკინგი ფინალზე დასასწრებად ჩამოვიდა. სასტუმროს სამრეცხაომ კი ჩემი და ბრუკინგის ტანსაცმელი აურია. როდესაც ორივემ მნე გოგონა დავიბარეთ, აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის გვერდითა ნომრებში გვიცხოვრია! ტანსაცმელი გავცვალეთ, მე კი დრო ვიხელთე და გამოვეცნაურე ინგლისელ ვარსკვლავს...

... თბილისური ჩხუბი რომ გავახსენე, ბრუკინგი ინგლისელ კოლეგათა გარემოცვაში იჯდა, მეგონა გაბრაზდებოდა, მაგრამ ისეთი ხარხარი ატეხა, ფოიეში ყველამ ჩვენსკენ მოიხედა...

- მაგარი ისტორია იყო - უყვებოდა ბრუკინგი ინგლისის ფედერაციის მაღალჩინოსნებს - ისეთი მგლიჯა, კინაღამ გონება დავკარგე, კარგა ღონიერი ჯეელი გახლდათ, გავიწიე, მაგრამ დამაკავეს, მერე მივხვდი, რომ შვილისტოლა ბავშვთან არ მეკადრებოდა ჯაჯგური და დავმშვიდდი. მართლა როგორ არის ის ბიჭი, ისევ მაგრად იქნევს ხელებს?

...ბექა კარგა ხანია არ მენახა, მაგრამ იმედია ყოჩაღადაა და ბრუკინგს კი ვუთხარი - თუ გინდა სამაგიერო გადაუხადო, აგერ ვარ მისი მეგობარი, ხელს არ გავანძრევ და შენც წარბში დამარტყი-მეთქი. ახლა ამაზე ატეხა ხარხარი, მერე 1981 წლის „დინამოც" გავიხსენეთ და ბოლოს ისე დავძმაკაცდით, ყოველ დილას სასაუზმოდ საკუთარ მაგიდასთან მეპატიჟებოდა...

## ორი მამუკა, ორივე -კვა..!

ოთხმოცდაათიანებში, [illegible]ბისას, ბევრი სტატიის დაწერა მიწევდა. ერთხელ მახსოვს, 1993 წლის საახალწლო ნომერში 12 სტატია დავწერე!!! მერიდებოდა ყველაზე ჩემი გვარის მოწერა და ჩემი ლეხაინდრაოელი ძმაკაცის, ჩემი თანაგუნდელის, მამუკა კვანტალიანის გვარს ვაწერდი ნახევარს. მამუკა ჩემთან სახლში ცხოვრობდა და დედაჩემი შვილივით უვლიდა. „სარბიელს" ვჩუქნიდი ხოლმე და ემაყებოდა, მისი გვარიც რომ ფიქსირდებოდა. მერე ავდექი და... „სარბიელში" მოვიყვანე და მართლა გავაჟურნალისტე! კაი ხანს წერდა ჩემს მერე (1998 წელს წავედი გაზეთიდან), თუმცა აზრადაც არ მოსვლია, ზოგ სტატიისთვის ჩემი გვარი დაეწერა და „ვალი გადაეხადა".

მამუკა კვარაცხელია

## ორნი გორში

ორი კვანტალიანი ვმუშაობდით „სარბიელში". მე უკვე „ვეტერანი" მერქვა, როცა პაატა შემოგვიერთდა. აზრიანი და მკვირცხლი ბიჭი გამოდგა ჩემი მეგვარე, ქართლის ფეხბურთი გვებარა და ერთმანეთს ვეხიდებოდით. მე ძირითადად გორის „დილას" დავსდევდი, პაატა ბოლნისის „სიონს". ისე მოხდა, რომ ზედიზედ ორი ტური გორში პაატა გაამწესეს. მერე ჩვეულებრივსამებრ მე დავუბრუნდი „დილას". გავიდა ორი კვირა და მორიგი საშინაო თამაშის შემდეგ გორელი ქომაგები მომადგნენ:

- თითქმის ჩვენიანი ხარ, მაგრამ ერთი უცნაური სათხოვარი გვაქვს და უნდა შეგვისრულოო. გისმენთ, მეთქი...

- გთხოვთ გორში, "დილას" თამაშის გასაშუქებლად ნუ ჩამოხვალთ, შენი ძმა, პაატა გამოუშვი-ხოლმე, შენზე „ტკბილი" კალამი აქვსო.

გულიანად ვიცინე, მათი თხოვნა კი მალევე შესრულდა - სამუშაოდ „ამერში" გადავედი და „დილას" დამწუხრების უშუალო მონაწილედაც ვიქეცი. ჩემს მოგვარეს და მოულოდნელად შეძენილ „ძმას" კი მთელი ქართლის ფეხბურთის „მემატიანეობა" ერგო.

მამუკა კვანტალიანი

## სარბიელი 30



Many congratulations to Sarbieli newspaper. As a Fronteir of Georgian and regional sport news maker we hope you will continue the successful path into the new digital and fast passed media world as well as continuing to provide the quality updates and interview content with aiming the yuth and other sport followers in the region.

Best regards, VLADIMIR STEPANIA

სარბიელს ვულოცავ იუბილეს და როგორც რეგიონში ქართული სპორტის მესაზღვრე, ვიმედოვნებ, რომ კვლავ განაგრძობთ წარმატებულ გზას ახლა უკვე ციფრული მედიის სამყაროში.

ვლადიმერ სტეფანია



სარბიელი

უნგრეთი 2
საქართველო 1

ვიცხოვროთ უბრალოდ!

გინდა ეროვნული. გინდა ვაშაში. მაინც არ დაჯდა ჩვენი დუშაში

EXCLUSIVE

პაოლო მალდინი:
...მაფასებს უბრალოებას, ჩემთვის სულერთია, ვინ როგორი ოჯახიდანაა
...ტრეზეგემ „ოქროს გოლი" რომ გაგვიტანა, თვალთ დამიბნელდა
...ჩემს საფეხბურთო საქმეებში მამა არ ერეოდა. ახლა კი, ხანდახან რჩევასაც მეკითხება

# სასწაული კამპ ნოუზე



1999 წლის 26 მაისი. ბაიერნი-მანჩესტერ იუნაიტედი 1:2. ოლე-გუნარ სულშერის გოლი






დავით კაკაბაძე

სარბიელი 30

21 წლის წინანდელი ამბავია. ბარსელონაში ვარ და „სარბიელისთვის" ვაშუქებ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს — „ბაიერნი" - „მანჩესტერ იუნაიტედი".

ზუსტად გამიჭირდება დათვლა, საქართველოსა თუ უცხოეთში უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებიდან რამდენი თამაშისთვის მიდევნებია თვალი (ათასზე მეტი ნამდვილად დაგროვდებოდა), ის კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სცენარის ლამის წარმოუდგენელი განვითარებითა და დრამატიზმით 1999 წლის 26 მაისს ჩატარებულ ამ შეხვედრას ვერც ერთი სხვა ვერ შეედრება. ვისაც მასზე არაფერი სმენია, მოკლედ ვუამბობ, რა მოხდა იმ საღამოს კატალონიის დედაქალაქში.

შეხვედრისთვის განკუთვნილი 90 წუთი რომ ამოიწურა, მე-6 წუთზე ბასლერის მიერ გატანილი გოლით მატჩს მიუნხენელები იგებდნენ — 1:0. მთავარმა მსაჯმა, იტალიელმა პიერლუიჯი კოლინამ ძირითად დროს სამი წუთი წაამატა, რომლებმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა: ამ სამად სამ წუთში ჩაეტია ბექჰემის ორი კუთხური და შეცვლაზე გამოსული ფეხბურთელების, შერინგემისა და სულშერის ორი გოლი! ცოტა ხნით ადრე, 72-ე და 77-ე წუთებზე შოლისა და იანკერის დარტყმების შემდეგ მანჩესტერელთა კარი ორჯერ იხსნა ძელმა. მოკლედ, მოხდა ნამდვილი საფეხბურთო სასწაული (სწორედ ეს სიტყვა გამოიტანა „სარბიელმა" 27 მაისის ნომრის პირველ გვერდზე)!

მიუხედავად იმისა, რომ 10-11 წლის ასაკიდან „ბაიერნს" ვქომაგობდი (და დღესაც მას ვგულშემატკივრობ), „მანჩესტერის" მეორე გოლის შემდეგ „კამპ ნოუს" პრესის ლოჟაში, აღტაცებულმა, ისეთი ღრიალი მოვრთე, ინგლისელმა კოლეგებმა ძირძველ მანჩესტერელად მიმიჩნიეს და ალბათ ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ამ კაცს აქამდე რატომ არ ვიცნობდითო. ჩემს ზომაგადასულ სიხარულს კი არაფერი ჰქონდა საერთო ამა თუ იმ გუნდისადმი კეთილგანწყობასთან: იმ წუთში მხოლოდ და მხოლოდ თბილისში მყოფი სარბიელელი კოლეგებისა და გაზეთის ხვალინდელი ნომრის ბედი მაღელვებდა.

ახლავე აგიხსნით, რასაც ვგულისხმობ: ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა რომ დაიწყო, თბილისში შუაღამე გადასული იყო. არადა, სისხამ დილით, „სარბიელის" ახალი ნომერი რომ გამოვიდოდა, ფეხბურთის მოყვარულს მასში აუცილებლად უნდა წაეკითხა რეპორტაჟი ბარსელონიდან (ოპერატიულობა მუდამ „სარბიელის" ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი იყო). ამ რეპორტაჟის წერას მატჩის შემდეგ თუ დავიწყებდი (თბილისის დროით ლამის ორი საათის შემდეგ, ისიც, თუ დამატებით დროს „გადავურჩებოდით"), მასალა რედაქციას, საუკეთესო შემთხვევაში, დილის ოთხისთვის ექნებოდა, ეს კი სათუოს გახდიდა ნომრის დროულად დაბეჭდვას — რომ აღარაფერი ვთქვათ რედაქციის თანამშრომლებისა და სტამბის მუშების უძილო ღამეზე. ამიტომ რეპორტაჟის დიდი ნაწილი დღისითვე, ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე დავწერე და თბილისში გავგზავნე.

ჩემს ვრცელ მასალაში, რომელმაც „სარბიელის" ბოლო, მე-16 გვერდი შეავსო, ფინალს „მანჩესტერ იუნაიტედი" იგებდა (ცარიელი დავტოვე მხოლოდ რამდენიმე აბზაცი, რომ მატჩის შემდეგ რეპორტაჟი გოლების ავტორებითა და მათი გატანის წუთებით შემევსო).

კი მაგრამ, რატომ ვიყავი ასე დარწმუნებული ინგლისელთა გამარჯვებაში? მათი მარცხის შემთხვევაში ხომ ეს მასალა გადასაგდები, ხოლო რეპორტაჟი თავიდან დასაწერი გამიხდებოდა?

საქმე ის არის, რომ მატჩის დღეს, 1999 წლის 26 მაისს, სრულდებოდა 90 წელი „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელის, სერ მატ ბასბის დაბადებიდან. ეს ის ბასბია, რომლის „ჩვილებმაც" (Busby babes) 50-იან წლებში ნამდვილი სენსაცია მოახდინეს და 1956-57 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს ინგლისის ჩემპიონის ტიტული („მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეთა საშუალო ასაკი მაშინ 21-22 წელი იყო). მერე კი მოხდა ტრაგედია: 1958 წლის 6 თებერვალს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩიდან შინ მიმავალ მანჩესტერელთა თვითმფრინავი საწვავის ჩასასხმელად დაეშვა მიუნხენის აეროპორტში, ხოლო აფრენისას კატასტროფა განიცადა. თვითმფრინავის 44 მგზავრიდან, რომელთა შორის ჟურნალისტები და ქომაგებიც იყვნენ, 23 დაიღუპა, მათგან რვა ფეხბურთელი (კიდევ ორი ისე მძიმედ დაშავდა, რომ ველარასოდეს დაუბრუნდა მინდორს).

მატ ბასბიმ, რომელიც ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, გამოჯანმრთელებისთანავე დაიწყო ახალი გუნდის შენება და ათი წლის თავზე ამ ახალ „მანჩესტერ იუნაიტედს" თავის ისტორიაში პირველად მოაპოვებინა ევროპის ჩემპიონთა თასი.

ხსენებული ორი ფაქტორის გარდა (ბასბის იუბილე და მიუნხენის კატასტროფა, რომელმაც ამავე ქალაქის „ბაიერნთან" თამაშის კონტექსტში დამატებითი დატვირთვა შეიძინა), იყო მესამეც: ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპის საკლუბო ტურნირში პირველად 1956-57 წლების სეზონში გამოჩნდა, ხოლო ჩემპიონთა თასს 12 წლის შემდეგ, 1968-ში დაეპატრონა. ახლა კი მანჩესტერელთა თავკაცის პოსტზე სწორედ მე-12 სეზონს ატარებდა ალექს ფერგიუსონი, ბასბის კოლეგა და მისი ღირსეული მემკვიდრე, მასავით შოტლანდიელი.

ერთი სიტყვით, 1999 წლის 26 მაისს ყველაფერი „მანჩესტერ იუნაიტედის" სასარგებლოდ მეტყველებდა! მერე რა, რომ ამ „ყველაფერს" რაციონალურისა არაფერი ეცხო და მხოლოდ სიმბოლოების სფეროს მიეკუთვნებოდა. მე მაინც მტკიცედ მწამდა, რომ ის თამაში „მანჩესტერს" უნდა მოეგო. თუ, რა თქმა უნდა, ამქვეყნად სამართალი არსებობდა.

...მატჩი მთავრდებოდა, წინ კი „ბაიერნი" იყო. მიუნხენელები გონებაში უკვე დაჯილდოების საზეიმო ცერემონიისთვის ემზადებოდნენ, როცა მოხდა ის სასწაული, დასაწყისშივე რომ ვახსენე: პირველ დამატებულ წუთზე ბექჰემმა მარცხენა ფლანგიდან კუთხური ჩამოაწოდა. ბურთი მიიღო გიგზმა და კარისკენ დაარტყა. შერინგემმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და წონასწორობა აღადგინა!

ახლა უკვე ყველა დამატებითი დროისთვის ემზადება: „კამპ ნოუზე" მოსული 90 ათასი მაყურებელიც, მილიონობით ტელემაყურებელიცა და, ცხადია, თავად ფეხბურთელებიც. თუმცა გადის ორი წუთი და „ბაიერნის" კართან კიდევ ერთი კუთხური ინიშნება. ისევ მარცხენა ფლანგი, ისევ ბექჰემი. ჩამოწოდება, შერინგემის თავური და ამჯერად სულშერმა შეუცვალა მიმართულება ბურთს, რომელიც გაოგნებული ოლივერ კანის კარის ბადეში გაეხვა!

ეს იყო მომენტი, როცა ემოციამ გონება დამიბნელა და სიხარულის ყიჟინა აღმომხდა. ჩემი სარბიელელი კოლეგები კი უძილო ღამეს გადაურჩნენ...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ალექს ფერგიუსონმა თქვა: „დღეს მატ ბასბის დაბადების დღეა. დარწმუნებული ვარ, ამ საღამოს იქ, ზემოთ, მარჯვედ დასდევდა ბურთს". მერე გულიანად გაიცინა და თითი ზეცისკენ აიშვირა.

## სარბიელი 30



მიხარია რომ მეც ვიყავი იმ გადასარევი გაზეთის ერთ-ერთი ავტორი, რომელიც იმ ბნელი ოთხმოცდაათიანი წლების მთავარი სიხარული იყო უამრავი ადამიანისთვის.

და მახსოვს როგორ ელოდნენ ხოლმე ადამიანები „სარბიელის" ყოველ ახალ ნომერს და მათ შორის მეც და პირადად, მყავდა არა ერთი, არამედ რამდენიმე საყვარელი ავტორი.

რასაკვირველია ყველაზე მეტად მაინტერესებდა ჩემი თანაკლასელის, გიო ახვლედიანის სვეტები, რადგან ეს გადასარევი გაზეთი, ყველაზე მეტად მაგონებდა იმ გაზეთს, რომელსაც მეშვიდეკლასელი გიო გამოსცემდა. სინამდვილეში, მაშინ, ჩვენ საბჭოთა ჩაკეტილობაში, აბა ნამდვილი გაზეთი როგორ უნდა გამოგვეცა და ეს იყო თაბახის ფურცლებზე ხელნაწერი გაზეთი, სადაც წერილების გარდა, მისივე ნახატებიც ქვეყნდებოდა.

თუმცა „სარბიელი", მგონი უფრო მეტი იყო ჩემთვის, ვიდრე უბრალოდ გაზეთი, რადგან მას შემდეგ რაც „სარბიელი" აღარ არსებობს, გაზეთებს აღარც ვკითხულობ...

დათო ტურაშვილი

## საჭიროპოროტოდ კითხვა-პასუხი

**- რობინიოს იჭერენო.**

- ვაააა. ისევ იმ პასპორტზე?

**- რა პასპორტზე?**

- აი სადღაცა რო გადაკეთებული პასპორტით ჩავიდა. პარაგვაიში.

**- ეგ რონალდინიო იყო.**

- აბა რობინიო ვინაა?

**- რობინიო სიტიში თამაშობდა. რეალში თამაშობდა. მილანში კიდე.**

- ადრიანო?

**- არა კაცო. ადრიანო ინტერში თამაშობდა. მერე სმა დაიწყო.**

- აბა რობინიო სხვაა?

**- ადრიანო მაღალია, რობინიო დაბალი. პატარა რო იყო სანტოსში თამაშობდა დიეგოსთან ერთად.**

- დიეგო? ჩვენი?

**- არა, სხვა დიეგო. ჩვენი დიეგო არა. რობინიო პატარა რო იყო ამ სხვა დიეგოსთან ერთად თამაშობდა სანტოსში და მერე რეალში. მერე სიტიში.**

- სიტიში ცოტა ხანს ყველა თამაშობდა. მგონი, მეც.ოლონდ დიეგო არ თამაშობდა.

**- არა კაცო, დიეგო ნაპოლიში თამაშობდა.**

- ჩვენი დიეგო, ხო. და ის მეორე დიეგო ვინაა?

**- არავინ, უბრალოდ რობინიოსთან ერთად თამაშობდა სანტოსში და მერე ევროპაში წამოვიდნენ.**

- მე მახსოვს,რო ადრიანოსაც იჭერდნენ, წამალს ყიდდაო და გაუშვეს. ახლა ხელახლა იჭერენ?

**- არა, რობინიოს იჭერენ.**

- ეგეც წამალს ყიდდა?

**- არა, მილანში ვიღაც გააუპატიურაო.**

- მილანშიც ყველა თამაშობდა, როგორც სიტიში, ისე. ვიღაცა რამე ცუდს იზამდა.

**- ჰოდა, იტალიაში ვერ დაიჭირეს და ახლა ბრაზილიაში იჭერენო.**

- ვის?

**- რობინიოს!**

მაგაზე ხო ტაისონი იჯდა.

**- ტაისონი კი იჯდა, მაგრამ ადრე. ახლა რობინიოსაც იჭერენ.**

- ეგეც ბოქსიორი იყო?

**- ვაჰ! როგორ არ გახსოვს, რობინიო. კრაიზე, ატყუებდა.**

- ეგ დენილსონი იყო. დენილსონი მახსოვს. მაგასაც იჭერენ?

**- არა, მაგას რატო დაიჭერენ. წესიერი კაცია.**

- ხო. ეტყობოდა რო წესიერი კაცია. თავიდან მაგრა ატყუებდა და მერე ვეღარ. ეტყობა ერიდებოდა.

**- ეგრე რობინიოც ვეღარ ატყუებდა მერე. თავიდან კიდე მაგრად და აგე იჭერენ.**

- მაგ რობინიოს?

**- სხვა რობინიო არ არსებობს.**

- ელიველტონი, ემერტონი, ევერტონი, ადაილტონი... მახსოვს. ვაგნერ ლავი მახსოვს, ის მეორე ვაგნერი, კიდევ ერთი ხუთი ვაგნერი. ეს რობინიო რატომ არ მახსოვს?

**- იმიტო, რო სანტოსს არ უყურებდი. მერე კიდე ეგ ვეღარ ატყუებდა.**

- კიდე იცი ვინ მახსოვს?

**- ვინ?**

- ტიმი.

**- ტიმი ვინღაა?**

- ელბა დი პადუალიმა. ტიმი. მერე პერუს ტრენერი იყო, ორმოცი წლის წინათ. კეპკა ეხურა.

**- არ მახსოვს.**

- და გაზა?

**- რა გაზა?**

- გაზასაც იჭერენ?

**- გაზას ვინ დაიჭერს.**

- აბა სადაა რო არ ჩანს?

**- ალბათ იზოლაციაში.**

- სად?

**- პაბში. შევიდა და ვეღარ გამოდის.**

# ყოჩი დიდი გულით





დავით გულუა
სარბიელი 30

წერილს სათაურად „დიდგულა ყოჩი" უფრო მოუხდებოდა, მაგრამ ქართულ ენაზე ჭირვეული სხვა რომელია სამყაროში და „დიდგულობა" მკითხველს იქნებ სხვაგვარად გაეგო. არადა მამუკა გორგოძის გულის სიდიდე და სიდიადე ცნობილი ამბავია.

ვთანხმდებით: რაგბი გუნდური თამაშია, გუნდი აწვება, გუნდი იტანს. მრავალფაზიანი შეტევებისას ერთს ჩანიხლავენ, მეორე შეენაცვლება, მესამე, მეოთხე, ისევ ფეხზე წამომდგარი პირველი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. წინამძღოლი, ლიდერი, ყოჩი - თითქოს ამგვარი ამპლუისთვის რაგბში მაინცდამაინც დიდი ადგილი არ არის, მაგრამ მამუკა გორგოძე გამონაკლისია. იგი მუდამ საქართველოს ნაკრების ყოჩი იყო, რადგან ქართველებს მაგალითის მიმცემი ერთობ და ხშირად გვჭირდება. ისტორიის ბრალია, რომელიც საუკუნეების მანძილზე გვიჩაჩქუნებდა თავში და გულის ადვილად გატეხვას მიგვაჩვია. სპორტის რომელი სახეობის ქომაგს არ ავარდნია გულისფრიალი, როცა პირველივე გაშვებული გოლის თუ ანგარიშში ჩამორჩენისთანავე ხელფეხჩამოყრილი ქართველი მობურთალეები უხილავს.

და ამ დროს გამოჩნდება მამუკა გორგოძე, რომ შეუძახოს, შემოულაწუნოს, დაძრას და მორიგი ლელო შეიტანოს ან შეატანინოს. იგი ეტალონად იქცა ქართულ რაგბიში, როგორც მესი ფეხბურთში, ბოლტი სპრინტში, ტალახაძე - ძალოსნობაში. რომელი ერთი ეპიზოდი გინდა მოთვალო, როცა სასწორის პინა მეტოქისკენ გადახრილა და გორგოძე კი იმ ყველაზე კრიტიკულ წამებში ნესვა ბურთიან - მეტოქის მეომრებიანად შესულა ჩათვლის მოედანზე. სტატისტიკის მოყვანა, კეპების ჩამოთვლა, ლელოების აღნუსხვა და მისთანები აქ ზედმეტია, ქომაგმა ისედაც ყველაფერი იცის. ეროვნული სტადიონი თუ მიხეილ მესხი, თუნდაც ავჭალის ციცქნა სარბიელი - ქართველ გულშემატკივართა წინაშე მამუკა გორგოძეს წარბი არასდროს შეუხრია და დაცემამდე უომია, რადგან:



„ნებისმიერი ერის შვილისთვის მშობლიურ კედლებში, საკუთარი ხალხის წინაშე თამაში არის რაღაც განსაკუთრებული. ეს არის ყველაზე ამაღელვებელი და ყველაზე სასიამოვნო მომენტი ნებისმიერი სპორტსმენის ცხოვრებაში. ამას სიტყვებით ვერ იტყვი. უნდა განიცადო, რომ გაიგო." - ეს მისი სიტყვები გახლავთ.

ყოჩი, მაგრამ თავმდაბალი — ესეც მამუკა გორგოძეზე ითქმის. თავისი დიდი ღვაწლის საპირწონედ მას არასდროს მოუთხოვია ჩინ-მედლები და ქართველთა თუ უცხოელთაგან ყოველ აღიარებას მორიდებული ღიმილით შეხვედრია. ერთ მშვენიერ დღეს, სარაგბო კრიტერიუმებით არცთუ ვეტერანმა, იგრძნო - ახალგაზრდების დრო მოსულაო და საქართველოს ნაკრების რვა ნომერი მაისურიც ალალად გადაულოცა მომდევნოს.

გამოვიდა რომ შემცდარა. საქართველოს ნაკრებს ისევ დასჭირდა მისი ჯანი და კლასი, დაბრუნდა და ნაკრებს კვლავ შეეხიდა ისე, როგორც ყოველთვის შეხიდებია.

მაგრამ თავმდაბლობაცაა და თავმდაბლობაც. ქართული რაგბის, ეროვნული ნაკრების მომავალზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, მამუკა გორგოძეს გულის ფხანა არ უყვარს, არც თავისი და არც ქომაგისა. მისი ფხიზელი შეფასებები ხანდახან ხასიათს მოუშხამავს ქართველს, მაგრამ ყურის გდება ჯობია, რადგან რაგბის მოედანზე პირდაპირ თუ ირიბად არაერთი ლელოს გამტანმა კარგად იცის, რომ რაც ტრიბუნიდან ჩანს, მოედანზე ზოგჯერ სულ სხვაგვარად გამოიყურება.

„ექვს ერში სათამაშოდ საქართველო მზად არ არის" - უთხრა მამუკამ „სარბიელს", როცა საზღვარი არ ჰქონდა სრულიად ქართველთა აღშფოთებას სარაგბო ელიტაში ჩვენი მილების კიდევ გაჭიანურებისთვის. დრომ აჩვენა, რომ მამუკა მართალი იყო, რომ ქართველებს კიდევ ბევრი წვრთნა სჭირდებათ, ამპარტავან ანგლოსაქსებს და ფეხმარდ გაუჩოებს მეტნაკლებად თანაბრად რომ შეებრძოლონ.

ესეც უთხრა, მამუკამ ორიოდე წლის წინ სარბიელელ სლავა გასპაროვს: „შესაძლოა, ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია და ფიჯელებმა მხოლოდ მე მომხიბლეს, მაგრამ მათი ახლანდელი ნაკრები დაახლოებით ორჯერ ძლიერია იმ ტონგაზე, რომელსაც შარშანწინ მსოფლიო თასზე მოვუგეთ. სულაც არ მინდა, გულშემატკივრები პესიმისტურად განვაწყო. უბრალოდ, დღეს ფიჯელებს ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ. ფიჯელებს მართლა თუ უჭირთ, ეს მხოლოდ კარგად ორგანიზებულ გუნდებთან. ჰოდა, თუ გუნდურად არ დავუდექით, თუ ბურთი არ დავუმალეთ და გალაღების უფლება მივეცით, ძალიან რთული იქნება ფიჯის ნაკრების შეჩერება". ყველაფერი კარგი აგიხდეთ ისე, როგორც ჩვენებურის ნათქვამი ახდა, ხოლო ამგვარი რჩევები ოქროს ფასი ღირს და საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ელიტას უეჭველად წაადგება მომავალში.

ის რაგბი კი, რომელიც შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს ბალეტად იქცეს, მამუკა გორგოძეს ეჯავრება. საფრანგეთის პირველობაზე მან რამდენჯერმე შემოჰკრა მეტოქეებს და ზოგადად, არცთუ ყველაზე დისციპლინირებული მორაგბის რეპუტაცია აქვს, მაგრამ თვლის რომ ეს მისი უხეშობის კი არა, სარაგბო რეგულაციების ნამეტნავად განაზების ბრალია. „უკვე აღარც ვიცი, რა ვქნა - გულმოსულად უთხრა ერთხელ მამუკამ „სარბიელს" - ყველაფერზე ჯარიმას დებენ მსაჯები, რაგბი ბალეტს ემსგავსება. ამაზეც თუ არ ამოიღეს ხმა რაგბის მამებმა, საშინელება იქნება. მაგალითად, მე დიდი მომხრე ვიქნები, თუ შემოიღებენ წესს, როცა გუნდს ვიდეორეფერის ჩართვის მოთხოვნა შეეძლება, სიმულაციაში მხილებული მოთამაშე წითელი ბარათით გააგდონ და დისკვალიფიკაციით დასაჯონ. ესაა სასწრაფო და გადაუდებელი ზომა, უფსკრულისკენ მიექანება რაგბი. კატასტროფაა, რასაც სიმულანტები კადრულობენ. როცა 200-კილოიან კაცს კისერი საერთოდ არ აქვს და მის მხარზე ხელი აგიცდება, ამხელა კაცი გაითხლაშება და ვითომ ფეხზე ვეღარ დგება, ეს სირცხვილია". ფულის ტრიალი და შემოსავლების მატება, ეტყობა, ნელნელა რაგბისაც ფეხბურთის გზაზე აყენებს და თუ რამე არ შეიცვალა, ეს ის რაგბი აღარ იქნება, რომელსაც მამუკა გორგოძემ მიგვაჩვია.

„ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, მაგრამ გვაქვს დიდი გული" - თქვა ერთხელ ქართული რაგბის ყველა დროის უდიდესმა ვარსკვლავმა სხვათა გასაგონად, საქართველოს დიდ გულში მამუკა გორგოძის გულსაც დიდი წილი უჭირავს.


სარბიელი

იამაყეთ!

ქართველმა მორაგბეებმა გაგვახსენეს: საქართველოს ღირსებისთვის ბრძოლა და გამარჯვება შეუძლია. გმადლობთ, კაცებო!

25

23

საქართველოს მესაჭე

GAGUIMARJOSSE CLAUDE!

დიდი მადლობა დაუვიწყარი სიხარულისთვის!

MERCI BEAUCOUP POUR CE COUR
ET CETTE JOIE INOUBLIABLE!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# არა?









ზურაბ ფოცხვერია
სარბიელი **30**

კარგა ხანია, სპორტული რეპორტაჟების დროს, ლოზუნგი Black lives matters მხვდება თვალში. ჩემს საყველპურო ინგლისურს არ ვენდე და ერთხელაც, ენის მცოდნეს ვთხოვე ეთარგმნა. შავი სიცოცხლე მნიშვნელოვანიაო, გადმომიქართულა.

საკუთარი მიამიტობიდან გამომდინარე ერთადერთი შეკითხვა გამიჩნდა: მხოლოდ შავი სიცოცხლე?

**ჩემი მოკრძალებული აზრით,**
**ნებისმიერი სიცოცხლე მნიშვნელოვანია!**

# ANY LIFE MATTERS

# არა კაც ჰკლა




უკვე დიდი ხანია კაცობრიობა პროტოკოლებით, პრეცედენტებით და სტანდარტებით ცხოვრობს. ამას გვერდს ვერ აუვლი, არ გამოგივა და თუ სტანდარტის დანგრევას შეეცდები, ამით უბრალოდ ახალ სტანდარტს შექმნი და დაამკვიდრებ.

ცალკე კიდევ პოლიტკორექტულობა, რომელმაც ყოველდღიური სალაპარაკო ენაც კი შეცვალა.

არ ვამბობ, რომ ეს ცუდია.

ცუდი სტანდარტებით მანიპულაციაა, ის, რასაც ორმაგ სტანდარტს ვეძახით.

აი, მაგალითად, ფიფა/უეფა კატეგორიულად, გადაჭრით გმობს ყოველგვარ პოლიტიკურ მოწოდებას, რაც შესაძლოა ტრიბუნაზე გაშლილი ტრანსპარანტით, ქომაგთა შეძახილით ან სპორტსმენის შიდა მაისურაზე წარწერით გამოიხატოს.

ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში ფიფა/უეფა მკაცრი და შეუვალია.

მაგრამ რა ვუყოთ მაგალითად იმ ფაქტს, რომ ქვეყნის თუ შეჯიბრის ჰიმნის გაჟღერებისას, იგივე ფიფა/უეფა დაუფარავი მოწონებით ხვდება სპორტსმენთა ცალ მუხლზე დაჩოქების რიტუალს. ეს რიტუალი, მოგეხსენებათ, რასიზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

ცხადია, რასიზმის წინააღმდეგი ჩვენც ვართ, თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ეს რიტუალი აშკარად პოლიტიკური ხასიათისაა.

ანუ გამოდის, რომ ფიფა/უეფა ერთი მხრივ გულმოდგინედ ებრძვის პოლიტიკურ მოწოდებებს, მაგრამ როცა „ძალა აღმართს ხნავს", პოლიტიკურ მოწოდებებს პირველი უკრავს ტაშს.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომელიმე ფეხბურთელმა შიდა მაისურაზე „არა კაც ჰკლა" რომ დაიწეროს. რა რეაქცია ექნება ფიფა/უეფას ამაზე? ეს სიტყვები ხომ მთელი კაცობრიობისთვის და სხვათა შორის, არა მხოლოდ ქრისტიანულისთვის, ფუნდამენტურ მოწოდებას წარმოადგებს. გვგონია, რომ ფიფა/უეფა, ამას, ალბათ, „გაატარებს".

მაგრამ რა მოხდება, თუკი ამ ზოგადსაკაცობრიო მოწოდებასთან ერთად მაისურზე გიგა ოთხოზორიას ან არჩილ ტატუნაშვილის პორტრეტებს დავხატავთ?

ხომ ხვდებით, რომ იქ, „ზევით", ამას კატეგორიულად დაგმობენ.

ასეა, ყველას სიცოცხლე მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგის - უფრო მნიშვნელოვანი.

**კოტე კეკელია**

## სარბიელი **30**



მქონდა შესაძლებობა ჩემი სიტყვა მეთქვა „სარბიელის" პირველი ნომრის გამოცემიდან ათი წლის საიუბილეო ნომერში.

იმჟამინდელ პათოსს ახლაც ვერ გავექცევი.

სპორტული ჟურნალისტობა მინდოდა - მინდოდა ფეხბურთზე მეწერა და ფეხბურთზე მელაპარაკა. მიზეზთა გამო არ გამომივიდა. თუმცა ჟურნალისტობაზე ოცნებას მაინც ვერ შევეშვი.

ამ ოცნების ასრულების საშუალება და შესაძლებლობა „სარბიელმა" და სარბიელელებმა მომცეს. მათი მეშვეობით შევძელი რამდენიმე ჟურნალისტური პროექტის ხორცშესხმა. რამდენად საინტერესო იყო ჩემეული ნაწერები მკითხველისთვის, რამდენად იჯდა გაზეთის კონცეფციაში, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ მეც და სხვებმაც კარგად იცოდნენ - „სარბიელი" და მისი ხელმძღვანელები პროფესიონალიზმისა და შემოქმედებით ფრთილში კომპრომისზე წამსვლელნი არ იყვნენ.

გულწრფელი პიროვნული მადლობა „სარბიელს" და პირადად ზურაბ ფოცხვერიას ნდობისა და ბავშვობის ოცნების თუნდაც ნაწილობრივ ასრულებისთვის.

საოცარი იყო ურთიერთობა გაზეთის შემოქმედებით ჯგუფთან - სპორტზე შეყვარებულნი და სპორტის მცოდნენი, წარმატებების გულანთებულად გამშუქებლები, ჩავარდნების ობიექტურად შემფასებლები... როგორი მოთხოვნადი იყო „სარბიელი", როგორი ინტერესით იკითხებოდა „სარბიელი", როგორ უწევდნენ ანგარიშს სპორტის მესვეურები (და არა მარტო ისინი) „სარბიელში" დაფიქსირებულ პოზიციას.

ნამდვილად აკლია ქართულ სპორტულ სივრცეს და ზოგადად ბეჭდურ მედიას „სარბიელი", აკლია სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს...

ყველაზე მეტად კი აკლია მის უდიდებულესობას - სპორტის გულშემატკივარსა და ქომაგს.

**ემზარ ზენაიშვილი**

# ფაქტი, მოვლენა... ფეხბურთი



პაატა
კვანტალიანი

სარბიელი 30

მთელი ეპოქაა 30 წელი. ბევრი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე მსოფლიო ფეხბურთში, მათ შორის ჩვენთან, საქართველოშიც. საგაზეთო ფორმატიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას ვერც ჩამოვთვლით მაგრამ, შევეცდებით, იმ ამბების გახსენებასაც, წლების მანძილზე „სარბიელის" ფურცლებზე რომ კითხულობდით და რამაც დიდი კვალი დატოვა თითოეულ ჩვენთაგანზე. იყო ბევრი სიხარული, სამწუხაროდ, ტრაგედიებით გამოწვეული ტკივილიც, მაგრამ ყოველთვის იყო ის უდიდესი და განუმეორებელი ემოცია, რასაც მისი უდიდებულესობა ფეხბურთი გვანიჭებს...



ზინედინ ზიდანის ყველაზე ცნობილი თავური

## ფაქტი

1992 წელს სამი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ევროპულ ფეხბურთში — ფიფას და უეფას სრულუფლებიანი წევრი გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; შეიქმნა ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის პრემიერლიგა... ერთი წლის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოსაგებად შემართული „მარსელი" ერთი კვირით ადრე შიდა პირველობაზე „ვალანსიენს"ეთამაშებოდა. მატჩისას ჟან-ჟაკ ეიდელმა სტუმარ ფეხბურთელებს გადაულაპარაკა, თავს ნუ მოიკლავთ და ჩვენი პრეზიდენტი ბერნარ ტაპი გულუხვად დაგაჯილდოვებთო. კრისტოფ რობერი და ხორხე ბურუჩაგა დათანხმდნენ ეიდელის წინადადებას, მესამემ, ჟაკ გლასმანმა კი ეს ამბავი გახეთქა. მოგვიანებით რობერის მამიდის ბაღში 250 ათასი ფრანკიიპოვეს დეტექტივებმა.,,მარსელს", უკვე მოპოვებული ლიგის ტიტული ჩამოერთვა, გლასმანს კი 1995 წელს fifa fair play award გადაეცა.

1992 წლის 2 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა ფიფას ეგიდით გამართა პირველი მატჩი: ლიტვა-საქართველო 1:0. ჩვენებმა ისტორიაში პირველი მატჩიც ლიტვასთან გამართეს, 1990 წელს, თბილისში - 2:2.

1993-ში დიდი ამბები იყო სამხრეთ ამერიკაშიც... 5 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში, ბუენოს აირესში, არგენტინა კოლუმბიას ხვდებოდა. არგენტინას მოგებული ჰქონდა 1991 და 1993 წლების კოპა ამერიკა და 33 მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებდა თავს. თამაშის წინ დიეგო მარადონას თხოვეს გუნდების შედარება. დიეგომ ერთი ხელი თავზე დაიდო, ეს ჩვენ ვართო, მეორე კი დაბლა, მიხვდებით სადაც - ეს კოლუმბიაო... სტუმრებმა 5-0 შემუსრეს მეტოქე... ამის მერე იყო პელემ რომ თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატს კოლუმბია მოიგებსო, მაგრამ აშშ-ს მუნდიალზე დიდი კრახი ელოდა კოლუმბიურ ფეხბურთს, რასაც მოგვიანებით ტრაგედიაც მოჰყვა, თუმც ამაზე ქვემოთ...

1995 წელი ბოსმანის სკანდალით გამოირჩა. ბელგიელმა ფეხბურთელმა სამართლებლივი ბრძოლა მოუგო ფეხბურთის მმართველ ორგანოს. სწორედ იქიდან მოყოლებული ფეხბურთელებს თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობა შეუძლიათ. 1996 წელს უეფას სულელური წესის გამო არნახულად დაისაჯა ჩეხეთის ნაკრები - ევრო 96-ის ფინალში გერმანიამ ოლივერ ბირჰოფის ისტორიული პირველი „ოქროს გოლით" დაამარცხა მეტოქე. უნდა ვახსენოთ რობერტო კარლოსის ფენომენალური ჯარიმა ფრანგების კარში. 1997 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის წინა გასახურებელ ოთხთა ტურნირზე კარლოსმა ისეთი ტრაექტორიით გაუშვა ბურთი, ბევრი დღემდე ფიზიკის კანონების დარღვევად თვლის.

1998 წელი. 12 ივლისი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დღეს რობერტო კარლოსი, რონალდო და ედმუნდო სადილობენ. ამ დროს რონალდოს ეწყება კანკალი და პირიდან დუჟი მოსდის. კარლოსი პანიკაშია და ყვირის: სეზარ სამპაიო რონალდოს ენას უჭერს... კიჟას ჩაეძინა. როგორც ედმუნდო იხსენებს, თამაშამდე მხოლოდ 40 წუთით ადრე გადაწყდა რომ რონალდო ითამაშებდა. აშკარა ფავორიტმა 3:0 წააგო ფრანგებთან და რონალდო, ფაქტობრივად, არ ჩანდა მოედანზე. ზაგალომ ვერ გაბედა მისი სკამზე დასმა, ან არ გააბედინეს... საფრანგეთი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ძალიან იმიტომ გვძულხარ რომ ძალიან გვიყვარდი — ეს პლაკატი გადაუფინეს 2000 წელს „კამპ ნოუზე" „ბარსადან" „რეალში" გადასულ ლუიშ ფიგუს და ტრაფარეტულ სიძულვილს „ბარსას" ფანებმა ჩაროზად ტრიბუნიდან ნასროლი გოჭის თავი დააყოლეს. 2002 წელს პირველად გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი აზიაში. კორეულ-იაპონური ბატალიები არნახულად საზიზღარი მსაჯობით გამოირჩა. პელეს მერე კაფუ გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც მუნდიალის სამ ფინალში ითამაშა.

იტალიაში „კალჩოპოლის" სკანდალი აგორდა, რომელმაც „იუვენტუსი" სერია B-ში ჩააქვეითა...

იმავე 2006-ში იყო ზიდანის დამატერაცის,,თავური"ინციდენტი, რამაც იტალია მსოფლიოს სათავეში მოაქცია, 21-ე საუკუნის ლეგენდარულმა ფრანგ-ალჟირელმა კი წითელი ბარათით დაასრულა კარიერა...

2007 წელს ხმაურით და დიდი სკანდალით დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. გამარჯვებულ გიორგი ნემსაძეს უარი ათქმევინეს სამთავრობო ფავორიტის სასარგებლოდ...

2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე ჩატარდა, სამხრეთ აფრიკაში.

2013 წელს დასრულდა ლეგენდარული ალექს ფერგიუსონის მანჩესტერული სამწვრთნელო კარიერა, რომელიც 27 სეზონი გრძელდებოდა.

2015 წელს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: თბილისმა უეფას სუპერთასს უმასპინძლა. ლეო მესის და „ბარსელონას" სტუმრობა მართლაც გამორჩეული იყო. კატალონიელებმა ფეერულ მატჩში 5:4 დაამარცხეს ,,სევილია".

2017 წელს ბომბის აფეთქების ტოლფასი იყო „ბარსადან" პსჟ-ში ნეიმარის გადასვლა. სატრანსფერო თანხა - 222 მილიონი ევრო დღემდე სარეკორდოა.

2018 წელს ამოქმედდა VAR-სისტემა რომელიც ჯერ კიდევ საყოველთაო განსჯის თემაა.

## ტრაგედია

1994 წლის 2 ივლისს მოკლეს ანდრეს ესკობარი, ვისაც მონდიალზე აშშ-სთან მატჩისას საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთი არ აპატიეს2016 წლის 29 ნოემბერს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა: ბრაზილიური ,,შაპეკოენსეს" თვითმფრინავი საწვავის ნაკლებობის გამო ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი 81 მგზავრიდან 79 დაიღუპა. ავიაკატასტროფას ემსხვერპლა „ნანტიდან" „ლესტერში" ახლადგადასული არგენტინელი ფეხბურთელი ემილიანო სალაც და... მარადონა! ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი 60 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

## ტრიუმფი

როცა ტრიუმფზეა საუბარი, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ დანიურ დინამიტს, 1992-ში რომ იფეთქა. რიქარდ მიოლერ ნილსენის გუნდი პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, იუგოსლაველთა ნაცვლად მოხვდა ევროფორუმზე და მართლაც შეუძლებელი შეძლო. დანიელებმა ნახევარფინალში ფავორიტი ჰოლანდია დაიფრინეს, ფინალში კი ზემძლავრ გერმანიას სძლიეს.

მოულოდნელი და შთამბეჭდავი იყო ბერძნების და პორტუგალიელების ევროჩემპიონობები: ამ ორთა ზეობას საერთო ის ჰქონდა, რომ ფავორიტი მასპინძლები დაამარცხეს. ოტო რეჰაგელის დამოძღვრილმა საბერძნეთმა 2004-ში გადამწყვეტ მატჩში პორტუგალიას, ლისაბონში სძლია. ამ ამბიდან თორმეტი წლის შემდეგ კი პორტუგალიელებმა კრიშტიანუ რონალდუს გარეშე პარიზში, ფრანგები დაამარცხეს. რონალდუ ვახსენეთ და მისი დიდი დამსახურებაა „რეალის" ფანტასტიკური მიღწევა, მადრიდელებმა 2016-18 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიგეს ჩემპიონთა ლიგა. ფენომენალურია „ბარსელონას" წარმატებაც - კატალონიელებმა 2011-14 წლებში მიჯრით ოთხჯერ მოიგეს ლა ლიგა.

და ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ფინალების დიდი „ქამბექები," სადაც გმირებად ინგლისელები ითვლებიან. გასული საუკუნის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედმა" მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ტედი შერინგემის და ოლე-გუნარ სულშერის გოლებით „ბაიერნს" ანაპნა მოგება... 2005-ში კი დაუჯერებელი რამ მოხდა სტამბოლური სიგიჟისას -„ლივერპულმა" საპირველტაიმო 0:3 შემოუტრიალა „მილანს"...

2016 და 2020 წლებში, შესაბამისად „ლესტერი" და „ლივერპული," პირველად გახდნენ ინგლისური პრემიერლიგის ჩემპიონები.



ჟან-მარკ ბოსმანის (შუაში) საქმემ ევროპული ფეხბურთი თავდაყირა დააყენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეძახილების გამოძახილი
## უყურე ფეხბურთს ყურებით !



ვაჟა ხუციშვილი
სარბიელი 30

სამი წელია სამსახურებრივად (სტატისტიკას ვაკეთებ) მიწევს სიარული საქართველოს ჩემპიონატის ოთხივე ლიგის მატჩებზე. დაახლოებით 200 თამაში გავატარე თვალსა და ხელს შუა ( ნოუთბუქით ვმუშაობ). ნათქვამია, გაგონილს ნანახი სჯობსო, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ნანახს გაგონილი სჯობს, რაკი სტადიონზე მუშაობისას თვალი და ხელი დაკავებული მაქვს, ყურები კი ხვეტენ და აგროვებენ ფეხბურთელების თუ გულშემატკივრების შეძახილებს. სწორედ ზოგიერთი ამ შეძახილისგან შედგენილ ჩამონათვალს გთავაზობთ მიკერძოებული კომენტარ-განმარტებებით.

**1) თავიდანვე!** - იძახიან პირველი ტაიმის დაწყებამდე, მსაჯის პირველ სასტვენამდე და ომახიანად, ტაშის შემოკვრით. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამის დამძახებელი შესვენებაზე სხვა საქმეზეა გასაქცევი. გამოიყენება მეორე ტაიმის დასაწყისშიც, თუ შესვენებამდე გოლი არ გასულა. თუ პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიშია 5:0, შეიძლება დაიძახოს ხუთის გამტანი გუნდის ფეხბურთელმა, რომ კიდევ ხუთის გატანა მოასწრონ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გუნდს პირველი ტაიმი წაეგოს 0:5 და მეორე ტაიმის დასაწყისში ამ გუნდის ფეხბურთელს დაეძახოს: „თავიდანვე, რა, თავიდანვე" !

**2) პირველი!** - იძახიან მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს. მეკარეები ამას გაჰკივიან ხმამაღლა, დანარჩენები კი დაბალ ხმაზე იმეორებენ. თამადის ნათქვამს რომ ვერ გაიგებენ კარგად გრძელი სუფრის ბოლოს, და გაუმარჯოს, გაუმარჯოსო, ცალყბად რომ ჩაილაპარაკებენ უკვე ტუჩზე მიდებული ჭიქით, დაახლოებით ასე ისმის დანარჩენების „პირველი".

**3) მეორე!** - პირველი ბურთისთვის ბრძოლას მოყვება შეძახილი „მეორე". ჩემი აზრით ეს გასაუქმებელია, იმიტომ რომ ფეხბურთელებს აბნევს. ზოგჯერ „პირველი" არაა დაძახებული, ვიღაც უკვე „მეორე"-ს ყვირის. თუმცა ვინ იცის, შეიძლება ეს მწვრთნელის მზაკვრულ-მუხანათური ჩანაფიქრიც იყოს მეტოქის დასაბნევად. წარმოიდგინე, რომ პირველ ბურთზე ხტები, ამ დროს ვიღაც იძახის „მეორეს" და იძულებული ხარ ჩამოხტე და გაარკვიო, პირველია თუ მეორე. ამასობაში კი ძვირფასი დრო იკარგება.

**4) უჯარიმოდ!** - უჯარიმო ლომბარდები გამიგია, უჯარიმო ფეხბურთი არა.

**5) ლადაობ?** - ასე მიმართავენ მატჩის მთავარ არბიტრს ის ფეხბურთელები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ეს უცხო კაცი ( მსაჯი) სადმე სხვაგან მიდიოდა, მოედანზე გასართობად შემოიარა და არასწორი ჯარიმა დაუსტვინა.

**6) „მანდვე"!** - ფაქტობრივად ესაა ღია, აშკარა და დაუფარავი მოწოდება ძალადობისკენ. ბურთიანი ადამიანისთვის გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვის მცდელობა მეტოქე ფეხბურთელის ან ფეხბურთელთა ჯგუფის მიერ. სხვანაირად ამას ჰქვია წნეხი ნგი. სადაა ადამიანის უფლებათა დამცველთა ჩართულობა, მზაობა, წვდომა ?

**7) არ იცის!** - ესაა მავანი გულშემატკივრის მიერ მოგონილი ფსიქოძალადობრივი შეძახილი ბურთიანი მეტოქის დასათრგუნად და თავისი გუნდის ფეხბურთელის გასამხნევებლად. იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგე თვალცრემლიანი ჩამოჯდება ბურთზე, მოითხოვს კალამფურცელს და დაწერს აღიარებით ჩვენებას, რომ ფეხბურთის აზრზე არაა და ძალით ათამაშებენ.

**8) არა უშავს, კიდევ იქნება!** - ასე დაუძახა გულშემატკივარმა მსაჯს, რომელმაც ყვითელი ბარათის ამოსაღებად ჯიბისკენ წაღებული ხელი უკანვე ჩამოიღო .

**9) დააჩქარებინე** - ეს გახლავთ ერთი გუნდის ფეხბურთელის მიერ მსაჯის გავლით გაგზავნილი საპროტესტო ნოტა მეტოქე ფეხბურთელის მისამართით, რომელიც დროის გაყვანის მიზნით თაღლითურად გორაობს მოედანზე იმ ექიმის მოლოდინში, რომელიც მის გუნდს არ ჰყავს.

**10) „გაანებე თავი, წამოდი სახლში"!** - ამის დამძახებელს ძნელია არ დაეთანხმო.

**11) მარტო! ან მარტო ხარ!** - ასე ეძახიან თანაგუნდელები ბურთიან ფეხბურთელს, როცა მეტოქეები მისგან შორს არიან და შეუძლია მშვიდად გააგოროს. რეალურად ეს დაძახება ასე იშიფრება: რაც გინდა ის გიქნია, ჩვენი იმედი არ გქონდეს. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რაოდენ დაუნდობელია სამყარო.

**12) აბა რაა, აბა რაა...!** - უმაღლესი საფეხბურთო ნეტარების გამომხატველი შეძახილი. წარმოიდგინეთ, რომ მოთამაშეს ცენტრიდან მიაქვს ბურთი, სამ კაცს ატყუებს, საჯარიმოში აქცევენ, მსაჯი პენალტს უსტვენს და ამ დროს ტრიბუნიდან: „აბა რაა, აბა რაა..."!




# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

გა-და-ჯე-ქი! გა-და-ჯე-ქი! – ისმოდა ქუჩიდან. ფეხბურთის კლუბ „მაგრების" პრეზიდენტი, რომლის სახელი და გვარიც არასდროს ყოფილა ცნობილი და ვერც ახლა გეტყვით, დამორჩილდა 12345 მომიტინგის (ასე აცხადებდნენ აქციის ორგანიზატორები) მოთხოვნას და სამზარეულოს სკამიდან დივანზე გადაჯდა. მისი ფანჯრიდან კარგად ჩანდა, რომ საჯარო შეკრების მონაწილეები ზუსტად ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილი. მარცხნივ იდგა შედარებით უფროსი 6 172,5 კაცი პლაკატებით: „ნუ გვიმალავთ ჩვენი გუნდის ლეგენდარული მწვრთნელის, ენგელბერტ პონტელავას ადგილსამყოფელს!", „სად არის ენგო?" და „საერთოდ, სად ვართ ჩვენ?", ხოლო მარჯვნივ იდგა არც მეტი არც ნაკლები 6 172,5 გაბრაზებული ახალგაზრდა ერთადერთი ბანერით: „ვინ არის ენგო პონტელავა?"

პრეზიდენტს ოფლმა დაასხა. ალბათ, მოიწმინდა კიდეც. პრინციპში მოიწმენდდა, აბა რას იზამდა. მან კარგად იცოდა სადაც იყო ის კაცი, ვინც ამ 20 წლის წინ ქართული კლუბი „მაგრები" არნახულ წარმატებებამდე მიიყვანა. რომლის ხელმძღვანელობითაც ფ.კ. „მაგრებმა" წააგეს, მაგრამ ღირსეულად ითამაშეს ბელგრადის „აგრესიასთან" (მწვრთნელი ზლობომირ აგრესოვიჩი, RIP), ნიჟნი ნოვგოროდის „ველიკი ნოვგოროდთან", ველიკი ნოვგოროდის „ნიჟნი ნოვგოროდთან", ბრნოს „კრივე კოლოსთან" და კიდევ 13 კლუბთან ჩრდილო-სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან.



(ახლო საზღვარგარეთთან თამაშს ენგო იმენნა არ კადრულობდა).

ენგელბერტ (ენგო) პონტელავას მომზადებული „მაგრები" რეგულარულად აწყობდნენ კონსტრუქტორებს, ფაზლებს და ამხანაგურ შეხვედრებს ვერტყვიჟალის „ვერტყვთან", ნაჩობაოს „სასიმინდესთან" და მეორეხარისხოვან ქართველ პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა (აგრეთვე პოლიტიკოსბიზნესმენთა და ბიზნესმენ-პოლიტიკოსთა) მიერ ფეხბურთზე ფულით ნატარები შვილების ნაკრებთან (4321 კაცის შემადგენლობით). მაგრამ, რაც მთავარია, ენგელბერტ (ენგო) პონტელავას ხელში გავლილი უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ამბავში და გაგებაში კაცი დადგა. 13 მათგანი სულაც მიმალვაშია – დღევანდელ ქართულ კლუბებს ემალება, თამაში რომ არ შესთავაზონ. ხომ არის რაღაც, რაზე დაბლაც ენგოს სასტავის კაცი არ უნდა დაეცეს? ჰოდა, ეგაა. ვინმემ რომ გაიგოს ამათგან წინადადება მიიღო, პასუხს მოთხოვენ.

გა-და-ჯე-ქი! გა-და-ჯე-ქი! – არ წყდებოდა ქუჩიდან. პრეზიდენტი მძიმედ წამოდგა და ისევ სამზარეულოს სკამზე დაბრუნდა.

რა ქნას? თქვას? „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ სიცოცხლე სახელოვანი" – გაიფიქრა მან და ლეპტოპი ჩართო. მერე, მისამართი ჩაწერა: www.engopontelava.uk. ეკრანზე სამი თითის კომბინაცია გამოისახა. ქვეშ ეწერა, „ჩემს @@@-ს შემოგიშვებ, პაროლი თუ არ ჩაწერე". პრეზიდენტმა ჩაწერა: Me Var Engo, Prezidenti.

სეზამი... ტოესწ, საიტი გაიხსნა.

– რა? – მოისმა იქიდან.

– გამოსვლებია, – გაისმა აქედან.

– მერე, რა? – თქვეს იქიდან.

– ვიტისკები, – თქვეს აქედან.

– რა უნდათ? – იკითხეს იქიდან.

– სად არისო, – უპასუხეს აქედან.

– სად უნდა ვიყო, ტო, 21-ე საუკუნეა. იასნია აქ ვარ. აბა, ისევ მანდ ხომ არ ვიქნები, – აყვირდნენ იქიდან.

– მე რა ვუპასუხო, მე? – ატირდნენ აქედან.

– უთხარი, რომ ის დრო აღარ არის, ტო. დროა მაგათ გაიგონ, რომ დღეს მთავარი მყრალი პოსტი და ჩათლახური კომენტარია. რა დროს ფეხბურთია, ჩემი... დაიხურა ფუტბოლი, ვსიო. თუ ვინმეს თავიდან უნდა რამის დაწყება, მატრიცა-გადატვირთვის მეტი ამ საქმეს არაფერი უშველის, მაგრამ მაგის ცოდნა მანდ არავის არ აქვს. იმენნა, ვინდოუსია წასაშლელი და თავიდან არის დასაყენებელი ვაფშე ახალი. უთხარი, დანარჩენი ყველაფერი რიჟა ბაზარია, თქო. იმენნა, ბაზარი, ვაგზალი, გაგება, მეობა, ვისაც ჩემთან რამის გარკვევა უნდა ბრატ, ინსტაგრამზე ფოტო დადოს. ჩემი მეილია...

და ამ დროს, პრეზიდენტის სამზარეულოს ფანჯარას მომიტინგეების ნასროლი კომენტარი მოხვდა. ჩამტვრეული შუშის ნატეხი „ვაი-ფაი როუტერს" დაეცა. როუტერს ანტენა მოტყდა. ინტერნეტი წავიდა. პრეზიდენტის ლეპტოპის ეკრანი გადებილდა.

გა-და-ჯე-ქი! – ისმოდა გარედან.

სხვა რა გზა იყო. ფ.კ. „მაგრების" პრეზიდენტი სამზარეულოს სკამიდან ოხვრით წამოდგა და დივანზე გადაჯდა.

**პაპუნა კედია**

**P.S.** „სარბიელის" კოსმოპოლიტურ ბიუროში ენგელბერტ (ენგო) პონტელავას სმს მოვიდა. წარსულში დიდი ქართველი მწვრთნელი წერს, რომ მას შეუძლია ჩაატაროს ონლაინ ლექცია თემაზე „რატომ იწერება ხოლმე ფეისბუქში პოსტები სხვა რაღაცაზე, მასტები კიდე კომენტარებში ავტორს ვაფშე ნი პრი ჩომ რაღაცის გამო აგინებენ".

# რა გვიხაროდა და რა გვიხარია


ილია ნანობაშვილი
სარბიელი 30

სად ვიყავით და სად ვართ?! რამდენიმე წლის წინ საქართველოს ნაკრებმა შინ ფინეთთან წააგო. პრესკონფერენციაზე შევედი და იქ ტაშის ხმა მომესმა. ჯერ აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა - ტაშს უკრავდა რამდენიმე კაცი. შესაძლოა, არც იყვნენ ჟურნალისტები, მაგრამ რა აზრი აქვს?! ისინი მწვრთნელს ბრძოლას უქებდნენ. ხომ ვიბრძოლეთო?! თავი ცუდად ვიგრძენი. მწარედ გამეღიმა.

გამახსენდა, უმაგრეს ინგლისის ნაკრებთან სტუმრად მართლაც ბრძოლაში წაგებას რომ გადააყოლეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. განსხვავებას გრძნობთ? მაშინ სხვანაირად მომთხოვნები იყვნენ ჟურნალისტებიც და გულშემატკივრებიც. სად გაქრა ამბიცია? როგორც ცხოვრებაში ბევრი რამ, ფეხბურთშიც ასე შეიცვალა ფასეულობები. თან შეიცვალა მთელი თაობა და რაღაც იოლად შესაგუებელი გახდა წაგება. არ ვიცი, ეს გარდატეხა როდის მოხდა.




**KING KINKY**

(ეს ქართველებს არ მოუგონიათ, „მანჩესტერ სიტიში" შეარქვეს. ქართველი ფეხბურთელი ინგლისის პრემიერლიგაში მცველებს მონსტრად ევლინებოდა. დღეს კი პარალიმნისთან თუ აია ნაპასთან გოლის გატანაზე ასეთი სათაური შეიძლება შეგხვდეთ: „წარმოუდგენელი გოლი!")

**მზიანი ღამე**

(„დინამო"-"ლევერკუზენის" მატჩის მერე. ეს თამაში „დინამომ" 1:0 მოიგო გასვლითი 1:6 წაგების მერე. და იცით, რომელი „ლევერკუზენია"? მეორეადგილოსანი და საერთოდ, იმ პერიოდში მუდმივად ბუნდესსამეულში რომ გადიოდა, ისეთი. მაგრამ სათაური ასეთია: „მზიანი ღამე". იმიტომ რომ მხოლოდ კუდის მოქნევა იყო და მეტი არაფერი... დღეს რომ „დინამომ" „ლევერკუზენს" მოუგოს, სათაურში ღამეს, სიბნელეს და წყვდიადს სად ნახავთ. დარჩება მხოლოდ მზე და ნათება. დაახლოებით ასეთი: „შოკი! მზემ გაანათა" ან რაღაც ამდაგვარი)

**ნიუკასლი ლიგაში ქეცბაიამ გაიყვანა**

(ეს 1997 წლის ზაფხულს. „ნიუკასლი" ისტორიაში პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და ეს ქართველი თემურ ქეცბაიას გოლით მოახერხა, თან 119-ე წუთზე, ზაგრებში. დღეს ასეთი მნიშვნელობის გოლი რომ გაიტანოს ჩვენიანმა, ერთი წელი საიტებიდან არ ჩამოვა)

**ქინქლაძე - 3 200 000 დოლარი**

(მაშინდელი 3,2 მილიონი დოლარი დიდი ფული იყო. რაღა შორის წავიდეთ, იურგენ კლინსმანი იმ პერიოდში „ტოტენჰემმა" 2 მილიონ გირვანქად იყიდა „მონაკოდან". დღეს კი... ცოტა უხერხულია შედარება)

**ლხინი აქა**

(„დინამო" - „ატლეტიკ" ბილბაო 2:1. ესპანეთის „ვილაც მეორეადგილოსანს" მოუგეს, „დიდი ამბავი". დღეს უფრო მეტი აღტაცებაა ხოლმე, როცა „გაბალას" ვუგებთ)

**იაშვილმა მგლებზე ინადირა**

(„ფრაიბურგმა" „ვოლფსბურგს" 3:2 მოუგო და სამივე გოლი იაშვილმა გაიტანა. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რომელმა ქართველმა ლეგიონერმა შეასრულა ბოლოს ჰეთ-თრიქი არათუ გერმანულ ბუნდესლიგაში, არამედ ზოგადად. ალბათ, ზაქარია ბეგლარიშვილმა ესტონეთში?)

**ყველაფერი, რასაც ფეხბურთი ჰქვია**

(21-წლამდელები. საქართველო-იტალია 2:0. ამით ყველაფერი ნათქვამია)

**არველაძემ აიბროქსი აღრიალა**

(წელან რაც თემურ ქეცბაიას შემთხვევაზე დავწერეთ: „გლაზგო რეინჯერსმა" საშინაო 1:1-ის მერე გასვლაზე 2:1 აჯობა „კოპენჰაგენს" და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. გადამწყვეტი გოლი შოთა არველაძემ 87-ე წუთზე გაიტანა. ამავე დროს გვხვდება საიტის მთავარ მასალაზე გამოტანილი სათაური: ბუდუ ზივზივაძემ „ფეჰერვარში" გაიტანა!) აუცილებლად ძახილის ნიშნით.

**მილანელი ვარ, უნდა ვაჯობო! კალაძემ ფიგუს ორი ფეხი დაუთვალა და მარჯვნივ გასწია**

(ქართველმა მცველმა ფეხი არ გაანძრევინა „ოქროს ბურთის" მფლობელს. მაგრამ ეს არ გვიკვირდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო)

ბევრი იტყვის, როგორ ადარებთ, ის საბჭოთა სკოლაგამოვლილები იყვნენ, მომდევნო თაობამ კი ომი და უშუქობა გამოიარაო. გარკვეულწილად ასეც არის, თუმცა მწარედ გაგეღიმება, როცა მაშინდელ და ახლანდელ სათაურებს გადახედავ. დღეს პატარაც გვიხარია.

კონკრეტულად არავისზე ვბრაზობთ და არც ვაკრიტიკებთ. ეტყობა, დრომ მოიტანა და ფასეულობებიც ამან შეცვალა...



ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი". ამ გოგონებმა შეძლეს ის, რაც აქამდე არცერთ ქართულ კლუბს არ გაუკეთებია - ითამაშეს ჩემპიონთა ლიგაში...

# ცარიელი გვერდი


მამუკა კვანტალიანი
სარბიელი 30

თბილისის „ლოკომოტივი" უეფას თასის გათამაშებიდან უსახელო გუნდმა გამოაგდო. თამაშიდან რედაქციაში ვბრუნდები, მატჩის პერიპეტიები უნდა მიმოვიხილო და მკითხველს ვაახლო. როგორც სიკვდილი, ისე არ მინდა წერა. „ლოკომოტივის" მიწასთან გასწორება მომიწევს. თანაც „გაცოფებული" ვარ და ვიცი ზღვარს გადავალ.

მოკლედ ფეხს ვითრევ და... თამაზ მიგრიაულმა გადამარჩინა.

– მოდით, მხოლოდ ანგარიში დავწეროთ და ცარიელი გვერდი გავუშვათ. ცხადია, იდეას ორივე ხელით მივესალმე.

- მაგარი რამე იყო, მაგრამ მაგ სიცარიელეს გვერჩივნა გეგინებინათ, ასე პირდაპირ დაგვასამარეთო, - მაშინდელი „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის გულწრფელობაში ეჭვი არ შემპარვია.






## სარბიელი 30

„სარბიელს" მინდა მივულოცო იუბილე! მაშინ, როცა თითქმის ყველა გაზეთი დაიხურა, მისი გამოჩენა იყო უდიდესი ბედნიერება სპორტის მოყვარულთათვის. ამ ხნის განმავლობაში ის გახდა ერთ-ერთი საყვარელი და საჭირო გაზეთი ყველასათვის. ყველანაირ ინფორმაციას მისგან ვიღებდით. გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს სპორტის ქართველ მოყვარულთა გულის გასახარად.

ნიკო ლეკიშვილი



კობა ინასარიძე

სარბიელი 30

# სარბიელი ქვეყნის კიდიდან კიდემდე

## სარბიელი და პარტნიორები

დაარსებიდან 30 წლის იუბილემდე „სარბიელი" რამდენიმე საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ თუ გამოცემამ საქართველოში ექსკლუზიურ პარტნიორად ცნო და მის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვა-რეფერენდუმებში ჩვენი გაზეთის აზრს ითვალისწინებს. გზის გამკვლავი ყოველკვირეული ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი" იყო, ევროპის ყველაზე პრესტიჟული გამოკითხვის თაოსანი. „ფრანს ფუტბოლი" პირველად 1994 წელს დაეკითხა „სარბიელის" გამომცემელს, ბატონ ზურაბ ფოცხვერიას ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის თაობაზე და ეს თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიდან „სარბიელთან" საქმე პირველმა ევროპის ძიუდოს კავშირმა დაიჭირა. 1996 წლიდან ჩვენი გაზეთი კონტინენტის წლის საუკეთესო ძიუდოისტი ქალის და ვაჟის გამოსავლენ რეფერენდუმში მუდმივად მონაწილეობდა. 1990-იანი წლების ბოლოს „სარბიელი" მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დააფასა და მსოფლიოს წლის საუკეთსო მძლეოსანი ქალ-ვაჟის გამოვლენის ამბავს ჩვენს გარეშე აღარ ჩაუვლია. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) კი „სარბიელი" საქართველოს მოსახლეობასთან შუამავლად აირჩია. ფიბა ყოველწლიურად აწყობდა ევროპის ვარსკვლავთა მატჩს, „ევროსტარზს", რომლის მონაწილეებსაც საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგების მიხედვით ასახელებდა. ფიბა-ს ანკეტების ქართველ გულშემატკივართათვის მიწოდების და მათი აზრის ფიბა-ში დაბრუნების მისია „სარბიელმა" იტვირთა. ასე რომ, „ევროსტარზის" გუნდების დაკომპლექტებაში „სარბიელის" მკითხველსაც მიუძღვის წვლილი.

„სარბიელი" დღემდე არის ფიფასა და უეფას პარტნიორი საქართველოში. ჩვენი ჟურნალისტები მონაწილეობენ მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების გამოსავლენ გამოკითხვაში.

სხვადასხვა დროს „სარბიელის" ინიციატივით გამოიცემოდა ჟურნალი „გოლი" და „სარბიელი".

„სარბიელის" ინიაციატივითა და ძალისხმევით 1991 წლის აპრილში დაფუძნდა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, რომლის პირველი პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი იყო.

## სარბიელი და საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი

1999 წლის 19 ოქტომბერი - განსაკუთრებული, გამორჩეული თარიღი ქართულ სპორტში და მის ისტორიაში. საუკუნის სახელით საუკუნის საქმე შეჯამდა. ამ დღეს საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთვნელების და სპორტული მოღვაწეების გამოსავლენი რეფერენდუმის შედეგები გამოცხადდა. რეფერენდუმის ორგანიზატორი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია გახლდათ. სხვებთან ერთად მისი ოფიციალური პარტნიორი კი - გაზეთი „სარბიელი". ასე რომ, გაზეთმა, რომელიც მაშინ ათი წლისაც არ მოყრილიყო, საუკუნის საქმეშიც მიიღო მონაწილეობა. ხოლო რეფერენდუმმა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების თობაზე ბრძანა: ქალებში - ნონა გაფრინდაშვილი, ვაჟებში - ვიქტორ სანეევი.



სარბიელი

თქვენ რას ფიქრობთ



სარბიელი

ГРУЗИЯ!

1 0

## სარბიელი და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი

და ვინ არის სეზონის საუკეთესო ფეხბურთლი? „სარბიელის" ამ კითხვა-გამოკითხვას 1993 წლიდან მოყოლებული უკვე 18-ჯერ უპასუხეს საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა. „სარბიელის" საფეხბურთო პრიზის ლაურეატთა ჩამონათვალი ასეთია:

1992-93 - **გიორგი ქინქლაძე** (დინამო); 1993-94 - **შოთა არველაძე** (დინამო, ტრაბზონსპორი); 1994-95 - **აკაკი დევაძე** (შევარდენი-1906, როსტელმაში); 1995-96 - **გიორგი ქინქლაძე** (მანჩესტერ სიტი); 1996-97 - **თემურ ქეცბაია** (აეკ); 1997-98 - **შოთა არველაძე** (აიაქსი); 1998-99 - **ზაზა ჯანაშია** (ლოკომოტივი მოსკოვი); 1999-2000 - **ლევან კობიაშვილი** (ფრაიბურგი); 2000-01 - **კახა კალაძე** (დინამო კიევი, მილანი); 2001-02 - **კახა კალაძე** (მილანი); 2002-03 - **კახა კალაძე** (მილანი); 2003-04 - **ალექსანდრე იაშვილი** (ფრაიბურგი); 2004-05 - **ლევან კობიაშვილი** (შალკე); 2005-06 - **კახა კალაძე** (მილანი); 2006-07 - **შოთა არველაძე** (ალკმაარი); 2007-08 - **ალექსანდრე იაშვილი** (ფრაიბურგი); 2017-18 - **საბა კვირკველია** (ლოკომოტივი მოსკოვი); 2018-19 - **გიორგი ჩაკვეტაძე** (გენტი).

მიზეზთა გამო 2008-2017 და 2020 წლებში გამოკითხვა არ ჩატარებულა.

## სარბიელი, სეოკი, სინი და ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელი

„სარბიელის" გამოკითხვით სამჯერ გამოვლინდა საქართველოს საუკეთესო კალათბურთელი. 1993-94 სეზონის შედეგად ეს პატივი ნიკოლოზ დერიუგინს ხვდა წილად, 1994-95 წლებში ვახტანგ ნაცვლიშვილს, 1995-96 წლებში კი გელა დარსაძეს. 1995 წლიდან თამაშდებოდა რაგბიში „სარბიელის" სინი. ნებისმიერი მსურველი ჩემპიონატის მატჩში სთავაზობდა მფლობელს სინზე თამაშს და მოგების შემთხვევაში მას ეპატრონებოდა. „სარბიელი" 1993-94 წლებში გამართული საქართველოს ხელბურთელთა მეოთხე ჩემპიონატის გენერალური სპონსორი იყო და უზრუნველყოფდა ევროტურნირებისა და სანაკრებო მატჩების საინფორმაციო მხარდაჭერას. და კიდევ, 1996 წლის ატლანტის და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშებისას თუ მათთვის მზადებისას „სარბიელი" საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი ოფიციალური პარტნიორი გახლდათ.

## სარბიელი და უცხოური მივლინებები

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები, ტურნირები, შესარჩევი თუ ამხანაგური მატჩები... ატლანტა უკიდურესი დასავლეთით და სიდნეი აღმოსავლეთით. 1990 წლიდან ქვეყნის კიდიდან კიდემდე. ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთში დიდი მუზარადის ტურნირები, რაგბი, ხელბურთი, ჭადრაკი, ძიუდო, ჭიდაობა და სპორტის კიდევ ბევრი სახეობა... საგანგებოდ მივლინებულ კორესპონდენტთა რეპორტაჟები სარბიელში - 60-მდე ქვეყნის 200-მდე ქალაქიდან...

# სარბიელის ავიახაზები






ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვეამაყება!



1962 წელი. ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული თბილისის დინამოს კალათბურთელთა გუნდი

კალათბურთში ჩემპიონთა თასის 1962 წლის გათამაშება ახლა რომ გამართულიყო, კაცმა არ იცის, რომელი უფრო დაგვიამებდა ნერვებს: ნახევარფინალში მოსკოვური ცსკა-ს 15 ქულით დამარცხება თუ ფინალში მადრიდის „რეალის" ძლევა. ფაქტი ისაა, რომ 1960-იან წლებში ქართველები დაფრინავდნენ და ამ ფრენის შეჩერება საბჭოელთა ნარჩევ გუნდებს სულ უფრო უჭირდათ. ათწლეულში სსრკ-ის სამი ოქრო და ჩემპიონთა თასის მოგებამდე ორი წლით ადრე ამავე თასის ფინალში თამაში ამის დასტურია. გვარს და სახელს არ მოუგია, ქართველთა ერთობამ და გუნდურმა სულმა მოიგო რაც მოიგო. ნამდვილი „ოქროს ხანა" და ამავე სინჯის თაობა...





მსოფლიო ჭადრაკის დედოფლები: ნანა იოსელიანი, მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია

ეს მთელი ეპოქა იყო. თითქოს არსაიდან მოსულმა პატარა ქართველმა გოგონებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გათამაშება 29 წლის განმავლობაში საშინაო საქმედ აქციეს. 21 წლის ასაკში ტახტზე ასულმა დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა 1962-1978 წლებში ახლოს არავინ გაიკარა და ტიტული მხოლოდ 17 წლის ვუნდერკინდ მაია ჩიბურდანიძეს დაუთმო. მათი უშუალო მატჩის გარდა, საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობის უფლება ორ-ორჯერ ნანა ალექსანდრიამ და ნანა იოსელიანმა მოიპოვეს. რა გუნდი უნდა გვყოლოდა, რომ დიდებული ნინო გურიელი და ქეთევან არახამია ოლიმპიურ გუნდში სათადარიგოთა შორის დარჩენილიყვნენ. მათ მიერ საჭადრაკო ოლიმპიადებზე მოპოვებული ოქროს მედლების დათვლა უაღრესად შრომატევადი საქმეა და ვერც ვერავის გავაოცებთ.

ქართველთა ზეობის ეპოქას ქალთა ჭადრაკში „ლეკვი ლომისა სწორია" ერქვა...



1981 წელი. ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული თბილისის დინამო

ყველაზე მზიანი ღამე ქართული ფეხბურთის ისტორიაში - 1981 წლის 13 მაისი. გენიალური შემსრულებლები, რომლებიც ერთ მუშტად არანაკლებ გენიალურმა „ფარსადანოვიჩმა" შეკრა. ის „დინამო" პირველ რიგში გუნდური სული იყო და არა ყიფოს, ჩივას, ჭომას, შენგელიას, დარასელიას ინდივიდუალიზმის იმედად მყოფი გუნდი. ძალაც ერთობაში იყო და ამიტომაც გადმოვხედეთ ზემოდან ევროპას.




# საახალწლო ოცნება



ქართული ფეხბურთის მატიანეში არის ერთი, ბოლომდე ვერმიყვანილი, მაგრამ მაინც ბრწყინვალე გვერდი: გიორგი ქინქლაძე.

გიო ჯერ კიდევ მაშინ აკეთებდა მინდორზე ზუსტად იმას, რისი კეთებისთვისაც დღეს მესი მესიად შერაცხა ბევრმა. თანაც, ცალი ფეხით. აქ, გთხოვთ გაიხსენოთ, დიდი დიეგო მარადონაც ხომ ცალი ფეხით ქმნიდა თავის გენიალურ მარადონიზმებს.

როცა ხვიჩა კვარაცხელიას თამაშს ვუყურებ, გამოგიტყდებით, გარდასულ დღეთა ბუმბერაზი ქართველი ფეხბურთელები მახსენდებიან. ნოსტალგიას კი ოცნებებში გადავყევარ: ისევ გადაძეძგილი ტრიბუნები.. ისევ სიამაყით სავსე ხმაურიანი გულშემატკივარი... ისევ მედლებითა და თასებით დახუნძლული ჩვენი ვარსკვლავები... ღმერთო, ნეტავი ხვიჩამ გიო ქინქლაძის გამოცდილება გაითვალისწინოს!!!

ზურაბ ინასარიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

ელექტრონული ვერსია
https://www.sarbieli.com/
https://www.sarbieli.ge/
ელექტრონული ფოსტა
info@sarbieli.com
www.facebook.com/sarbielicom/

საიუბილეო-საკოლექციო ნომერზე მუშაობდნენ:
ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, გიორგი დარჯანია, ზურაბ მეძველია, თამაზ მიგრიაული
რედაქტორი კობა ინასარიძე
ფოტო: გია ახალაძე, ბადრი კეთილაძე
დიზაინი: დავით ფაჩუაშვილი, მიხეილ ჯაში

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
დახმარებისთვის მადლობა: თამარ ბალავაძე, დავით კაკაბაძე, ვაჟა სიმონიშვილი, გვანცა ფოცხვერია
იდეა და ტექნიკური უზრუნველყოფა
დავით ფოცხვერია, გიორგი ფოცხვერია

2009882619131